

სახელმწიფო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2017, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2017, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2017, №11

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2017, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ზაზა ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299-04-18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. ნასყიდობა

ნივთობრივად უნაკლო ნივთის გინოდება

განჩინება

№ას-854-804-2015

7 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 12 ნოემბერს ს.თ.ს-სა (შემდეგში: „მყიდველი, ან მოსარჩელე ძირითად სარჩელში“) და შპს „ი-ვ ტ-ს“ (შემდეგში: გამყიდველი, ან მოპასუხე ძირითად სარჩელში“) შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №727 (შემდეგში: ხელშეკრულება) {„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 16¹, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 477-ე მუხლი}.

1.1. მოპასუხემ ძირითად სარჩელში იკისრა ვალდებულება, არა უგვიანეს 2014 წლის 31 იანვრისა, მოსარჩელისათვის მიენოდებინა 112 480 ლარის ღირებულების შალისა და ბამბის წინდები, რომელთა მახასიათებლებიც მოცემული იყო ხელშეკრულების დანართში.

1.2. დანართის მიხედვით მისაწოდებელი ბამბის წინდების ხარისხი განისაზღვრა შემდეგნაირად:

1.2.1. ფერი – მუქი ლურჯი ან შავი;

1.2.2. ფეხის ქუსლიდან ყელის სიმაღლე – არანაკლებ 25 სმ;

1.2.3. შემადგენლობა: ბამბა – არანაკლებ 79%, რეზინი – 2%, ნეილონი – 2%, პოლიესტერი – 15% (დასაშვები ცდომილება +1%).

1.3. ხელშეკრულების 16.1.1. პუნქტით დადგინდა გამყიდველის ვალდებულება გადაეხადა პირგასამტეხლო – საქონლის მიწოდებისათვის (მათ შორის: დადგენილ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%-ი {სსკ-ის 417-418-ე მუხლები}.

2. გამყიდველმა ხელშეკრულების საგანი 2014 წლის 10 იანვარს მიაწოდა მყიდველს. ამ უკანასკნელმა არ გადაიხადა მიწოდებული საქონლის ღირებულება იმ მიზეზით, რომ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამებოდა ხელშეკრულების პირობებს {სსკ-ის 487-488-ე მუხლები}. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მან მიუთითა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 18 თებერვლის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, მყიდველის განმარტებით, მიწოდებული ბამბის წინდები არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით შეთანხმებულ ტექნიკურ მონაცემებს.

3. მყიდველმა გამყიდველს 2014 წლის 26 მარტის აქტით №727-1.13, მოსთხოვა პირგასამტეხლოს, 2013,76 ლარის, გადახდა. მოგვიანებით მან სარჩელი აღძრა გამყიდველის წინააღმდეგ იმავე მოთხოვნით.

4. მოპასუხემ (ძირითად სარჩელში) წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მან ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა სრულად იმ პირობების მიხედვით, რაც მყიდველთან მისი ახალი წინადადების შესაბამისად იყო შეთანხმებული.

5. მან, თავის მხრივ, შეგებებული სარჩელით მოითხოვა:

5.1. მიწოდების ვალდებულების შესრულებულად ჩათვლა;

5.2. მყიდველისათვის მიწოდებული საქონლის ღირებულების, 32 480 ლარის, გადასახდელად დაკისრება;

5.3. მყიდველისათვის 2014 წლის 26 თებერვლიდან ყოველთვიურად, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის, 243,60 ლარის, დაკისრება.

6. გამყიდველი შეგებებულ სარჩელს აფუძნებდა შემდეგ გარემოებებს:

6.1. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო ბამბის წინდის ტექნიკური მონაცემები: ფერი – მუქი ლურჯი ან შავი; ფეხის ქუსლიდან ყელის სიმაღლე – არანაკლებ 25 სმ; შემადგენლობა: ბამბა – არანაკლებ 79%, რეზინი – 2%, ნეილონი – 2%, პოლიესტერი – 15% (დასაშვები ცდომილება +1%).

6.2. სატენდერო კომისიის 2013 წლის 25 ოქტომბრის №9 ოქმით მას (გამყიდველს) დაევალა წარედგინა ლაბორატორიული დასკვნა მისაწოდებელი საქონლის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის შესახებ; მან წარადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 29 ოქტომბრის დასკვნა, რომლის შესაბამისადაც, ექსპერტიზაზე წარდგენილი შავი ფერის წინდა შეიცავდა: 80% ბამბას, – 18% ნეილონს, 2% ლაიკრას;

6.3. აღნიშნული დასკვნიდან გამომდინარე, გამყიდველმა მყიდველს შესთავაზა ახალი წინადადება (ოფერტი), რაც ამ უკანასკნელმა მიიღო {სსკ-ის 333.2}. სატენდერო კომისიის 2013 წლის 4 ნოემბრის №10 ოქმის საფუძველზე გამყიდველი ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და მხარეთა შორის იმავე წლის 12 ნოემბერს დაიდო მინოდების ხელშეკრულება.

6.4. გამყიდველმა 2014 წლის 10 იანვარს მყიდველს მიანოდა 20 000 წყვილი შავი ფერის ბამბის წინდა {სსკ-ის 477.1}. მყიდველმა დაინუნა მინოდებული საქონელი, იმ მოტივით, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს {სსკ-ის 487-ე მუხლი}, რასაც არ დაეთანხმა გამყიდველი.

6.5. მყიდველმა არ გადაიხადა მინოდებული პროდუქციის ღირებულება 32 480 ლარი {სსკ-ის 477.2}. მისი ამ მოქმედების გამო გამყიდველს მიადგა ზიანი (მიუღებელი შემოსავლის სახით) მიუღებელი თანხის მინიმუმ წლიური 9%-ის ზიანი მიადგა, რაც თვეში 243, 60 ლარს შეადგენს {სსკ-ის 411-412-ე მუხლები}.

7. მყიდველმა წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი, რომლითაც იგი არ დაეთანხმა შეგებებულ სარჩელს.

8. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს ძირითად სარჩელში დაეკისრა 1006,88 ლარის გადახდა. სასამართლომ სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე შეამცირა მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა, გამყიდველის შეგებებული სარჩელი კი, არ დააკმაყოფილა.

9. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ძირითადი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გამყიდველის შეგებებული სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 327-ე, 329-ე, 333-ე, 316-317-ე, 361-ე, 477-ე, 394-ე, 408-ე, 411-ე და 412-ე მუხლებით.

11. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

11.1. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გამყიდველის მიერ მინოდებული წინდები მყიდველმა არასწორად ჩათვალა

ნაკლის მქონედ იმის გამო, რომ წინდები საერთოდ არ შეიცავდა პოლიესტერს. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2013 წლის 29 ოქტომბრის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის №... დასკვნით ცალსახად დგინდებოდა ის გარემოება, რომ გამყიდველის მიერ სატენდერო კომისიისათვის შეთავაზებული ბამბის წინდა თავიდანვე არ შეიცავდა პოლიესტერს, თუმცა ეს არ გამხდარა ტენდერიდან მისი დისკვალიფიკაციის საფუძველი და კომისიამ მიიჩნია, რომ შეთავაზებული ბამბის წინდის შემადგენლობა შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. ვინაიდან ხელშეკრულების დადებამდე გამყიდველის მიერ სატენდერო კომისიისთვის წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე აშკარა იყო, რომ შეთავაზებული ბამბის წინდის შემადგენლობაში არ იყო პოლიესტერი და მიუხედავად ამისა, კომისიამ ტენდერში გამარჯვებულად მაინც გამყიდველი გამოაცხადა, პალატის მოსაზრებით, ამით სატენდერო კომისია დაეთანხმა ბამბის წინდის ისეთი შემადგენლობის შესყიდვას, როგორც გამყიდველმა შესთავაზა.

11.2. 2014 წლის 18 თებერვლის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის №... დასკვნით დადგინდა, რომ გამყიდველის მიერ მიწოდებული ბამბის წინდები ნაქსოვია შერეული ნართით, რომელიც შეიცავს: 75%-ს ბამბას, 21%-ს ნეილონს, ე.წ. (LYKRA, ELASTANE, SPANDEX) – 4%-ს ლაიკრას.

11.3. პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ გამყიდველმა დაარღვია ხელშეკრულების პირობები. მან დაადგინა, რომ მყიდველს უნდა დაკისრებოდა ნასყიდობის ფასის სხვაობის, 32480 ლარის, გადახდა.

11.4. სააპელაციო პალატა დაეთანხმა შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტებას, რომ მიწოდებული პროდუქციის ღირებულების დროულად გადახდის შემთხვევაში, მას შეეძლო ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში ანაბარზე განეთავსებინა დავალიანების თანხა და მიეღო სარგებელი, საბანკო საპროცენტო განაკვეთის სახით, მინიმუმ წლიური 9%, რაც დავალიანების თანხის (32480 ლარის) გათვალისწინებით ყოველთვიურად 243.6 ლარი იქნებოდა, რომლის ანაზღაურების ვალდებულებაც მყიდველს დაეკისრებოდა 2014 წლის 12 მარტიდან ვალდებულების სრულ შესრულებამდე;

11.5. პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, რადგანაც, განსახილ-

ველ შემთხვევაში, გამყიდველს ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია;

12. მყიდველმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო წესით. მან მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, შეგებებულ სარჩელზე კი უარის თქმა იმ საფუძველით, რომ გადაწყვეტილება, როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სახელდობრ:

12.1. გამყიდველმა ტენდერში გაიმარჯვა იმ პირობით, რომ მას მყიდველისათვის უნდა მიენოებინა ბამბის წინდები, შემდეგი შემადგენლობით: ბამბა – 80%, ნეილონი – 18%, ლაიკრა – 2%;

12.3. გამყიდველის მიერ მიწოდებული ბამბის წინდების შემადგენლობა არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ მონაცემებს, ვინაიდან ბამბის შემცველობაა 75%, ნეილონი 21%, ლაიკრა 4%. შესაბამისად, მან დაარღვია სსკ-ის 487-ე მუხლის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, არ არსებობდა ძირითადი სარჩელის უარყოფისა და შეგებებულ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, მხარეთა მოსაზრებების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საკასაციო საჩივრის უსაფუძველობის თაობაზე, კერძოდ:

15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივად ძირითადად სწორად შეაფასა.

17. მხარეთა შორის უფლება-მოვალეობები წარმოიშვა ნას-ციდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც აკმაყოფილებდა გარიგების დადების ზოგად პირობებს {სსკ-ის 477-ე მუხლი}.

18. გამყიდველის ძირითადი მოვალეობა იყო მყიდველისათვის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის (საქონლის) მონოდება {სსკ-ის 487-ე მუხლი}.

19. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა {სსკ-ის 488-ე მუხლის პირველი წინადადება}. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები შეთანხმებული იყვნენ ხარისხზე. წინდის ქსოვილის შემადგენლობა უნდა ყოფილიყო შემდეგი: ბამბა – 80%, ნეილონი – 18%, ლაიკრა – 2% {სსკ-ის 488-ე მუხლის პირველი წინადადება}.

20. გამყიდველმა მყიდველს დათქმულ ვადაში მიაწოდა 20 000 წყვილი შავი წინდა, რომელიც ნაქსოვი იყო შერეული ნართით: ბამბა – 75%, ნეილონი – 21%, ე.წ. ლაიკრა (LYKRA, ELASTANE, SPANDEX) – 4%. სტანდარტის მიხედვით, ცდომილება დასაშვები იყო +/-2%-ის ფარგლებში. მყიდველმა 2014 წლის 19 თებერვალს შეამოწმა საქონელი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ დაინუნა, მაინც მიიღო და უკან არ დაუბრუნებია გამყიდველისათვის. მას არც მინოდებული საქონლის ახლით შეცვლისა და არც ფასის შემცირების უფლებით არ უსარგებლია {სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილი, 492-ე მუხლი}. ამ შემთხვევაში ორივე მხარე მენარმე სუბიექტია. ნივთის ნაკლის დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მატარებელია მყიდველი {სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი}. ის ვალდებული იყო, დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით დაესაბუთებინა ნივთობრივი ნაკლის საქონლის გადაცემის დროისათვის არსებობის ფაქტი. მან გასაგებად და დამაჯერებლად ვერ გააქარწყლა მისივე ინიციატივით ჩატარებული 2014 წლის 18 თებერვლის სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა და ვერ დაამტკიცა, რომ შესრულება ნაკლიანი იყო.

21. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ სწორად დაასკვნა, რომ გამყიდველს არ დაურღვევია ვალდებულება. მან მიაწოდა მყიდველს შეთანხმებული ხარისხის საქონელი, ამიტომაც მყიდველი ვალდებული იყო, დათქმულ ვადაში გადაეხადა მისი ღირებულება {სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილი}, რაც მან არ შეასრულა.

22. აქედან გამომდინარე, რადგანაც მყიდველმა გადააცილა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას, გამყიდველს უფ-

ლება ჰქონდა ვალდებულების შესრულებასთან ერთად მოეთხოვა ვადაგადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაც, რადგანაც მან ვერ მიიღო ის შემოსავალი, რასაც ის მიიღებდა ჩვეულებრივ პირობებში ფულის გამოყენებით {სსკ-ის 404-ე და 411-412-ე მუხლები}. მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ესაა ანაცდენი მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული.

23. შესაბამისად, გასაზიარებელია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ მიწოდებული პროდუქციის ღირებულების დროულად გადახდის შემთხვევაში, გამყიდველს შეეძლო ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში ანაბარზე დავალიანების თანხის განთავსებით მიეღო სარგებელი საბანკო საპროცენტო განაკვეთის სახით მინიმუმ წლიური 9%, რაც დავალიანების თანხის გათვალისწინებით (32480 ლარი) ყოველთვიურად 243.6 ლარი იქნებოდა, რომლის ანაზღაურების ვალდებულებაც უნდა დაკისრებოდა მყიდველს 2014 წლის 12 მარტიდან ვალდებულების სრულ შესრულებამდე. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: „რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლს, აღნიშნული ნორმა არეგულირებს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წესს და მიუღებლად განიხილება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს, და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას ვადიანი ხელშეკრულებების შესრულების ვადის დარღვევით გამოწვეული ზიანის ნაწილში და მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ ფულის თვისობრივი ფუნქციიდან გამომდინარე, მართებულად დაუკავშირა ამგვარი ზიანი საბანკო სფეროში ანაბარზე თანხის განთავსების შემთხვევაში მისაღებ სარგებელს“ იხ. სუსგ №ას-725-693-2014, 3 ივლისი 2015 წელი.

23. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონი არ დარღვეულა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-8, 399-ე, 408-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ს.თ.ს-ოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება;
3. ს.თ.ს. გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. იჯარა

ქირაველობის (იჯარის) ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმა

საიჯარო ქონების უკან დაბრუნება ვალდებულად

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-183-176-2016

30 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ს/ს-ას „ე-ი“ (შემდეგში: პირველი სანარმო) და შპს-ას „ტ-ი“ (შემდეგში: მოსარჩელე, მოიჯარე, აპელანტი, მეორე სანარმო ან კასატორი) შორის დადებული ფრენშაიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 607-ე მუხლი), მეორე სანარმომ ბიზნეს – საქმიანობისთვის, 2008 წლის 17 მარტს ფ/პ გ. ვ-ისაგან (შემდეგში: მეიჯარე) იქირავა ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული 196.6 კვ.მ. ფართი (შემდეგში: საიჯარო ან კომერციული ფართი), მდებარე ქობულეთში, დ. ა-ის გამზ. №.... იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 7 წლით, ქირა თვეში შეადგენდა 1 კვ.მ-ზე 10 აშშ დოლარს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ რემონტის ხარჯებს გაიღებდნენ თანაბრად, კერძოდ: ხარჯს გასწევდა მოიჯარე, საიდანაც 50% გაიქვითებოდა საიჯარო ქირიდან. ხელშეკრულების თანახმად, თუ მოიჯარე თავისი ინიციატივით ვადაზე ადრე, ცალმხრივად მოშლიდა იჯარის ხელშეკრულებას, მაშინ მას, მეიჯარის სასარგებლოდ, დაეკისრებოდა, პირგასამტეხლოს, 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის გადახდა (სსკ, 581-ე, 417-ე, 418-ე მუხლები).

2. მოიჯარემ, საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რემონტის ხარჯებისა და, ასევე, პირველი სანარმოსათვის ფრენშაიზინგული მომსახურების განვების გათვალისწინებით,

მისგან სარეალიზაციო საქონლის შექმნისა და ამ საქონლის ტრანსპორტირებისათვის, ავტომანქანის შესაძენად, 2008 წლის 1 მაისს, ს/ს „ვ-ას“-თან (შემდეგში: ბანკი) გააფორმა ხელშეკრულება საკრედიტო მომსახურებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარემ ბანკისგან სესხად მიიღო 298 000 (ორას ოთხმოცდათვრამეტი ათასი) აშშ დოლარი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა მ. ფ-ის (შემდეგში: მეორე სანარმოს დირექტორი; იხ. ხელშეკრულება; ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან) ქონებით (სსკ-ის 867-ე, 870-ე მუხლები).

3. მოიჯარის მიერ ბანკისგან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება ბანკსა და ა. ქ-ეს (შემდეგში: პირველი სანარმოს დირექტორი, მეორე მოპასუხე, თავდები) შორის, რომლითაც თავდებმა სოლიდარულად იკისრა ვალდებულება მოიჯარის (მოსარჩელე, მეორე სანარმოს) მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისთვის (სსკ-ის 891-ე, 893-ე, 895-ე, 898-ე მუხლები). დამტკიცებული გრაფიკის თანახმად, სესხი უნდა დაფარულიყო 2013 წლის 9 მაისამდე. ნასესხები თანხით მოიჯარემ გაარემონტა იჯარით აღებული კომერციული ფართი (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), გასწია სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, შეიძინა ტვირთის გადასაზიდად სატრანსპორტო საშუალებები და, ასევე, პირველი სანარმოსგან – სარეალიზაციო საქონელი (იხ. კომერციული ფართის სარემონტო ხელშეკრულება).

4. მოიჯარე მეიჯარეს ყოველთვიურად უხდიდა ქირას, 1150 (ათას ას ორმოცდაათი) აშშ დოლარს, რემონტის ხარჯების წილის გაქვითვით (სსკ-ის 581-ე მუხლი).

5. პირველი სანარმოს დირექტორს – ა. ქ-ეს, როგორც ფრენშაიზინგის მიმცემს და მეორე სანარმოს (მოსარჩელე, მოიჯარე) დირექტორს – მ. ფ-ს, როგორც ფრენშაიზინგის მიმღებს შორის (იხ. ამ განჩინების 2-3 პუნქტები), 2010 წლის 20 იანვარს, გაფორმდა ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოიჯარემ (მეორე სანარმომ), როგორც ფრენშაიზინგის მიმღებმა და მის რეგიონში ექსკლუზიურმა დილერმა, აიღო ვალდებულება, რომ, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, საბითუმო ფასებით იყიდდა ფრენშაიზინგის მიმცემის სავაჭრო ქსელში არსებულ საქონელს. ხელშეკრულების თანახმად ფრენშაიზინგის მიმღების საქმიანობის ადგილს წარმოადგენდა ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული იჯარით აღებული უძრავი ქონების მისამართი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 20 იანვრამდე (სსკ-ის 607-ე მუხლი).

6. 2010 წლის თებერვლის თვეში, პირველ სანარმომზე მარ-

თვის უფლება მოიპოვა სს „თ-მა“. მოიჯარის (მოსარჩელე, მეორე სანარმო) განმარტებით, რადგან მხარეთა შორის არსებულ ზემოსხენებულ ურთიერთვალდებულებებს, პირველი სანარმოს დირექტორის (თავდების – იხ. მე-5 პუნქტი) გარეშე, შესაძლოა, შექმნოდა პრობლემები და მისთვის ცნობილი იყო, რომ ის აპირებდა პირველი სანარმოს ანალოგიური პროფილის სანარმოსა და სავაჭრო ქსელის შექმნას, ამიტომ გადაწყვიტა, პირველ სანარმოსთან ურთიერთობა შეენწყვიტა. 2010 წლის 1 მაისს შპს „ტ-სა“ (შემდეგში: მესამე სანარმო) და მოიჯარეს (მეორე სანარმო) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელმა პირველი სანარმოსგან (იხ. პირველი პუნქტი) სარეალიზაციოდ შეძენილი და მის ობიექტზე არსებული აქტივები, კონსიგნაციით მიყიდა მესამე სანარმოს (სსკ-ის 477-ე მუხლი).

7. შპს „ტ-ი“ (შემდეგში: მეოთხე სანარმო, ქვემოიჯარე, პირველი მოპასუხე ან კასატორი) მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულია 2009 წლის 31 აგვისტოს და მისი 100%-იანი წილის მფლობელია ე. ქ-ე, ხოლო დირექტორია – ე. ქ-ე.

8. 2010 წლის 1 აგვისტოს მოიჯარესა (მეორე სანარმოს) და მეოთხე სანარმოს შორის დაიდო ქვეიჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულებით მოიჯარემ კომერციული ფართის (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) ნაწილი ქვეიჯარით გადასცა მეოთხე სანარმოს. ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ქირა, ქონებით სარგებლობისათვის, შეადგენდა 2011 წლის 1 იანვრამდე, თვეში 1150 (ათას ას ორმოცდაათი) აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, დღგ-ს გარეშე. ქვემოიჯარეს საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად, თვის პირველი კვირის განმავლობაში. ამავე ხელშეკრულების 11.3. პუნქტით მოცემული ხელშეკრულების ტექსტში ყოველგვარ ცვლილებას იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებისას, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით და დაერთვის ხელშეკრულებას. ამავე ხელშეკრულების 4.2. პუნქტით, იჯარის ვადა შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით (სსკ-ის 587-ე მუხლი; იხ. ქვეიჯარის ხელშეკრულება).

9. ქვემოიჯარე (მეოთხე სანარმო – იხ. მე-7 პუნქტი), 2011 წლის 1 იანვრამდე, იხდიდა საიჯარო ქირას, ყოველთვიურად 1150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით. 2011 წლის თებერვალში კი ქვემოიჯარემ გაიტანა საქონელი, საიჯარო

ფართი დაცალა და 2011 წლის თებერვლის შემდეგ საიჯარო ფართით აღარ უსარგებლია. 2011 წლის თებერვლის ჩათვლით ქვემოიჯარეს ქირა სრულად აქვს გადახდილი და მას დავალიანება არ ერიცხება.

10. მოსარჩელის (მოიჯარის) დირექტორსა და მეიჯარის მინდობილ პირს – ჯ. მ-ეს (შემდეგში: მინდობილი პირი) შორის, 2012 წლის 2 მაისს, გაფორმდა “შეთანხმება იჯარის შეწყვეტის თაობაზე”, რომლის თანახმადაც შეწყდა მოიჯარესა და მეიჯარეს შორის 2008 წლის 17 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება და იჯარით გადაცემული უძრავი ქონება (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) დაუბრუნდა მეიჯარეს.

11. მოსარჩელის (მეორე სანარმოს) მტკიცებით, მასსა და მეოთხე სანარმოს (პირველი მოპასუხე – იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი), შორის არსებული შეთანხმების თანახმად, რომელიც მიმდინარეობდა მეორე მოპასუხესთან (იხ. მე-3 პუნქტი), ზეპირი მოლაპარაკებით, მოსარჩელემ გადაიბარა მესამე სანარმოს (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი) აქტივები და, ასევე, იკისრა ვალდებულება, რომ მეოთხე სანარმო გადაუხდიდა მოიჯარეს (მეორე სანარმოს, მოსარჩელეს) დარჩენილი საბანკო დავალიანების 3/4 ნილს, ხოლო 1/4-ს დაფარავდა თავად მოსარჩელე. ამ უკანასკნელის განმარტებით, სწორედ აღნიშნული შეთანხმების გამო, მეოთხე სანარმო (პირველი მოპასუხე), ბანკში კრედიტის დაფარვის საბანკო დღეს, რიცხავდა მესამე სანარმოს ანგარიშზე დასაფარი კრედიტის ოდენობის თანხას, საიდანაც იმავე საბანკო დღეს ხდებოდა საბანკო დავალიანების საფუძველზე ჩარიცხული თანხის გადარიცხვა მეორე სანარმოს (მოსარჩელის, მოიჯარის) ანგარიშზე და, იმავდროულად, ხდებოდა ვალუტის კონვერტაცია და იფარებოდა მორიგი კრედიტის თანხა. მოსარჩელის მტკიცებით, მეოთხე სანარმო (პირველი მოპასუხე – იხ. მე-7 პუნქტი) ასრულებდა მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას და იხდიდა საიჯარო ქირას, თვეში – 1150 აშშ დოლარს. მითითებული ოდენობით მეოთხე სანარმოს ქირა უნდა გადაეხადა 2011 წლის 1 იანვრამდე, ამის შემდეგ კი, როგორც მოსარჩელე (მეორე სანარმო) აღნიშნავს, უნდა გაზრდილიყო საიჯარო ქირა, კერძოდ, მას დაემატებოდა კრედიტის გრაფიკით დასაფარი თანხა, რომელიც 2011 წლის 1 იანვრამდე იფარებოდა მეოთხე სანარმოსათვის (პირველი მოპასუხისათვის) გადანიერილი საქონლის ღირებულების გადახდილი თანხით, რაც გაგრძელდა 2011 წლის თებერვლამდე.

12. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნულის შემდეგ, მეოთხე სანარმომ (პირველმა მოპასუხემ – იხ. ამ განჩინების მე-7

პუნქტი), გაფრთხილებისა და შეტყობინების გარეშე, შეუწყვიტა საიჯარო ქირისა და ბანკის კრედიტის დაფარვა, რის შემდეგაც მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება პირველი მოპასუხის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულებასთან დაკავშირებით, მაგრამ მას რაიმე ქმედითი შედეგი, დაპირების გარდა, არ მოჰყოლია. იჯარისა და ქვეიჯარის ხელშეკრულებების თანახმად, პირველ მოპასუხეს (მეოთხე საწარმოს, ქვემოიჯარეს) ნაკისრი ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2015 წლის ჩათვლით.

13. მოსარჩელის (მეორე საწარმოს) მტკიცებით, მეოთხე საწარმომ (ქვემოიჯარემ) არ შეასრულა ვალდებულება და არ გადაიხადა გაზრდილი საიჯარო ქირა და საკრედიტო დავალიანება, ამიტომ მეორე საწარმო, 2012 წლის 2 მაისს იძულებული გახდა, ცალმხრივად შეეწყვიტა ქვეიჯარის ხელშეკრულება (იხ. მე-8 პუნქტი) და შეიჯარისათვის (იხ. პირველი პუნქტი), საჯარიმო სანქციის სახით, გადაეხადა 80 000 (ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარი, ასევე, თავისი სახსრებით დაეფარა ბანკის მიმართ დარჩენილი დავალიანება. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეების (იხ. მე-3 და მე-7 პუნქტები) მიერ, საბანკო კრედიტის ნაწილობრივი დაფარვისაგან თავის არიდების გამო, მას მიადგა 147 459,77 (ას ორმოცდაშვიდი ათას ოთხას ორმოცდაცხრამეტი აშშ დოლარისა და სამოცდაჩვიდმეტი ცენტის) აშშ დოლარის, ხოლო პროცენტის სახით – 46 844,55 (ორმოცდაექვსი ათას რვაას ორმოცდაოთხი აშშ დოლარისა და ორმოცდათხუთმეტი ცენტის) აშშ დოლარის ოდენობის ზიანი, ასევე, საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო მის მიერ გადახდილმა პირგასამტეხლომ შეადგინა 80 000 (ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარი და საიჯარო ქირამ, კონტრაქტის შეწყვეტამდე 15 თვის განმავლობაში, – 17 250 (ჩვიდმეტი ათას ორას ორმოცდაათი) აშშ დოლარი. მოპასუხეების (იხ. მე-3 და მე-7 პუნქტები) მოქმედებით მიყენებული ზიანი, ჯამში, 291 554 (ორას ოთხმოცდათერთმეტი ათას ხუთას ორმოცდათოთხმეტი) აშშ დოლარს შეადგენს.

14. მოპასუხეთა განმარტებით, არანაირი საკრედიტო ხელშეკრულება არ გაფორმებულა არც მოსარჩელესა (მოიჯარეს) და მეოთხე საწარმოს (პირველი მოპასუხე) და არც მოსარჩელესა (მოიჯარეს) და თავდებს (მეორე მოპასუხე – იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) შორის. შესაბამისად, მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის არ წარმოშობილა საკრედიტო თუ სასესხო ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა. მოპასუხეების მტკიცებით, მათ მოსარჩელის წინაშე არ უკისრიათ კრედიტის

დაფარვის ვალდებულება და აღნიშნულზე არც არანაირი მტკიცებულება არ არის საქმის მასალებში. შესაბამისად, მოსარჩელეს არ გააჩნდა მოპასუხეების მიმართ რაიმე სახის ვალდებულების შესრულების და, ხელშეკრულების შეუსრულებლობის საფუძვლით, მოპასუხეებისათვის რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

15. მეორე მოპასუხე (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) წარმოადგენს თავდებს, ამიტომ თავდებობის ხელშეკრულებით ბანკს წარმოეშობოდა მოთხოვნის უფლება თავდების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ შეასრულებდა ვალდებულებას და არ დაფარავდა სესხს. მოცემულ შემთხვევაში კი, მოსარჩელე (მოიჯარე, მეორე სანარმო) თავად ფარავდა თავის საბანკო კრედიტს. რაც შეეხება პირველი სანარმოსათვის თანხების გადარიცხვას, მეორე მოპასუხის განმარტებით, მართალია, მეოთხე სანარმო მესამე სანარმოს (იხ. ამ განჩინების 6-7 პუნქტები) ყოველთვიურად ურიცხავდა ანგარიშზე თანხებს, მაგრამ აღნიშნული თანხები არ წარმოადგენდა მოსარჩელის კრედიტის დასაფარ თანხებს. არამედ იგი წარმოადგენდა მესამე სანარმოს მიერ მეოთხე სანარმოსათვის მიყიდული ინვენტარის ღირებულებას, რაც მითითებულია კიდევ თანხების გადარიცხვის დანიშნულებებში და რომელიც ირიცხებოდა სწორედ მესამე სანარმოს და არა მოსარჩელის (მეორე სანარმოს) ანგარიშზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავდები მიიჩნევს, რომ ვინაიდან მხარეთა შორის არ არსებობს არანაირი საკრედიტო/სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობა, ხელშეკრულების შეუსრულებლობის საფუძვლით, მოპასუხეებისათვის რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და, მით უმეტეს, დაკისრების სამართლებრივი გარემოება არ არსებობს.

16. მოპასუხეთა მტკიცებით, მათ ბრალი არ მიუძღვით მოსარჩელესა (მოიჯარესა) და მეიჯარეს შორის გაფორმებული 2008 წლის 17 მარტის იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტაში და მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს გადახდაში, ვინაიდან მხარეებს შორის ხელშეკრულება შეწყდა ორმხრივი კონსენსუსით, რასაც მოწმობს 2012 წლის 2 მაისს გაფორმებული შეთანხმება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე (იხ. მე-10 და მე-13 პუნქტები). ამასთან, აღნიშნულ ხელშეკრულებასთან შეხება არ ჰქონია თავდებს.

17. მოპასუხეთა განმარტებით, მოსარჩელესა (მეორე სანარმო, ქვემეიჯარე) და მეოთხე სანარმოს (ქვემოიჯარეს) შორის 2010 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების თანახმად, ამ უკანასკნელს საიჯარო ქირა – 1150 აშშ

დოლარი უნდა გადაეხადა 2011 წლის 1 იანვრამდე, 2011 წლის იანვრის შემდეგ კი, ქვემოიჯარემ (მოსარჩელემ) მოითხოვა გაზრდილი საიჯარო ქირა – 10 370 აშშ დოლარის ოდენობით, რომელსაც არ დაეთანხმა ქვემოიჯარე, რის გამოც მოსარჩელემ (ქვემოიჯარემ) მოითხოვა ქვეიჯარის საგნის დაცლა. სწორედ ამ მიზეზით შეწყდა ქვეიჯარის ხელშეკრულება და 2011 წლის 19 თებერვალს ქვემოიჯარემ დაცალა საიჯარო ფართი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ამ დროიდან აღარ გააჩნდა ქირის მოთხოვნის უფლება. მოიჯარეს (მოსარჩელესა) და მეიჯარეს შორის კი სადავო იჯარის ხელშეკრულება (იხ. პირველი, მე-10 და მე-13 პუნქტები) შეწყდა 2012 წლის მაისში და, შესაბამისად, მოპასუხეთა მტკიცებით, აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტაში მათ არანაირი ბრალი არ მიუძღვით.

18. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებულმა მეორე სანარმომ (მოიჯარემ, ქვემოიჯარემ) 2014 წლის 14 აგვისტოს სარჩელი აღძრა მოპასუხეების (მეოთხე სანარმოსა და თავდების – იხ. მე-3 და მე-7 პუნქტები) წინააღმდეგ და მოითხოვა მათთვის, სოლიდარულად, 291 554 აშშ დოლარის დაკისრება, გადახდის დღისათვის შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

19. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით მოიჯარის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

20. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-10 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ მხარეთა განმარტებები (11-17 პუნქტები) ურთიერთსაწინააღმდეგოა და გამორიცხავენ ერთმანეთის არგუმენტებს.

21. სასამართლომ განჩინება დააფუძნა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე, სსკ-ის 317-ე, 319-ე, 394.1-ე, 412-ე, 891-905-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-2, მე-4, 102-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ (მეორე სანარმომ) ვერ წარადგინა საკმარისი მტკიცებულებები მის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად, კერძოდ: საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ არსებობდა რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა მხარეებს შორის, რომლის თანახმადაც მოპასუხეებმა იკისრეს ვალდებულება მოსარჩელისადმი, რომ დაფარავდნენ მოსარჩელის მიერ ბანკიდან აღებული საკრედიტო თანხის $\frac{3}{4}$ ნაწილს, არც ის დასტურდება, რომ საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა გამონვეული იქნა მოპასუხეების ბრალეული მოქმედებით და ამ მოქმედების შედეგს

წარმოადგენს მოსარჩელის მიერ მეიჯარისათვის პირგასამტეხლოს – 80 000 აშშ დოლარის გადახდა.

22. სასამართლოს განმარტებით, 2008 წლის 1 მაისს ბანკსა და თავდებს შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებით (იხ. მე-3 პუნქტი), ბანკს, თავდებობის ხელშეკრულების ფარგლებში, მოთხოვნის წაყენების უფლება წარმოეშობოდა თავდების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე (მეორე სანარმო) არ შეასრულებდა ბანკისადმი ნაკისრ ვალდებულებას და არ დაფარავდა კრედიტის თანხას შეთანხმებულ ვადაში. ამ შემთხვევაში კი, დადგენილია, რომ მოსარჩელე ფარავდა საბანკო კრედიტს, შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, და ამიტომ არ გამხდარა თავდების (მეორე მოპასუხის) მიმართ კრედიტის დაფარვის მოთხოვნის საჭიროება.

23. სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად, საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის გადახდილი პირგასამტეხლოს 80 000 აშშ დოლარის და საიჯარო ქირის კონტრაქტის შეწყვეტამდე 17 250 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილშიც, იმ საფუძველზე, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია მოსარჩელესა (მეორე სანარმოსა) და მეოთხე სანარმოს შორის და არა ფიზიკურ პირთან, ამ სანარმოს დამფუძნებელთან (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი). შესაბამისად, დაუშვებელია ქვეიჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის, ან აღნიშნული ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, თავდების მიმართ რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება.

24. სასამართლოს შეფასებით, ქვეიჯარის ხელშეკრულება მხარეებს შორის ფაქტობრივად შეწყდა 2011 წლის იანვრის შემდეგ. ქვემოიჯარის მიერ 2011 წლის იანვრის ჩათვლით გადახდილია საიჯარო ქირა, მას არ ერიცხებოდა არანაირი დავალიანება და მხარეებს ეს სადავოდ არ გაუხდიათ. მხარეებს შორის ქვეიჯარის ხელშეკრულება შეწყდა იმ საფუძველზე, რომ მათ შორის ვერ მოხდა შეთანხმება 2011 წლის იანვრის შემდეგ გადასახდელი საიჯარო ქირის ოდენობაზე, რის გამოც მხარეებმა სსკ-ის ის 399-ე მუხლის თანახმად უარი თქვეს გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე (იხ. ამ განჩინების 8-9 პუნქტები).

25. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევას არ გამოუწვევია მოსარჩელის მიერ მეიჯარისათ-

ვის შესაბამისი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობა, ვინაიდან 2012 წლის 2 მაისის იჯარის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით (იხ. მე-10 პუნქტი), მხარებს შორის იჯარის ხელშეკრულება შეწყდა შეთანხმების საფუძველზე და არა 2008 წლის 17 მარტის იჯარის ხელშეკრულების მე-7.2 პუნქტის საფუძველზე. არ დასტურდება ის გარემოება, რომ მეოთხე საწარმოს მიერ 2010 წლის 1 აგვისტოს ქვეიჯარის ხელშეკრულების დარღვევის უშუალო შედეგს წარმოადგენს 2008 წლის 17 მარტის იჯარის (იხ. პირველი და მე-8 პუნქტები) ხელშეკრულების შეწყვეტა.

26. მოსარჩელემ (მეორე საწარმომ) სააპელაციო წესით გაააზარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელის უარყოფილ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

26.1. სასამართლომ არ შეაფასა მხარეთა შორის ურთიერთვალდებულებების ფორმირებისას არსებული ისეთი გარემოებები, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა და რისგანაც შემდგომში განსახილველი დავის საგანი წარმოიშვა. ამდენად, დარღვეულია სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი;

26.2. სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოპასუხის (იხ. მე-3 და მე-7 პუნქტები) პოზიცია, რომ მხარეთა შორის არ არსებობდა შეთანხმება საბანკო კრედიტისა და ასევე საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, არ არსებობდა მოპასუხის რაიმე ვალდებულება, რაც საქმის მასალების არასწორი ანალიზის შედეგია;

26.3. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 115-ე, 69-ე, 361-ე, 464-ე, 573-ე მუხლები;

26.4. საქმის გარემოებებით დგინდება, რომ მოპასუხე 2010 წლის 1 აგვისტოდან ასრულებდა მოსარჩელის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს – საბანკო კრედიტისა და, ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, საიჯარო ქირის გადახდას, რასაც ვალდებულების გარეშე არ შეასრულებდა. აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ არსებობდა ვალდებულება და, შესაბამისად, მისი შესრულება;

26.5. მართალია, განსახილველ შემთხვევაში, 2008 წლის 1 მაისის საკრედიტო და სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ თავდებობის ხელშეკრულებებით თავდები ბანკის წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენდა სოლიდარულად პასუხისმგებელ პირს, თუ ძირითადი მოვალე გადააცილებდა გა-

დახდის ვადას და უშედეგოდ იქნებოდა გაფრთხილებული, ან-და მისი გადახდისუუნარობა აშკარა იქნებოდა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, 2010 წლის მაისიდან მეორე მოპასუხემ (თავდებმა) იცოდა, რომ მის მიმართ შექმნილი პრობლემური სიტუაციიდან გამომდინარე, მოსარჩელემ (მეორე სანარმომ) შეწყვიტა ბიზნესსაქმიანობა და ამით ფაქტიურად გადახდისუუნარო გახდა. მიუხედავად თავდების შეპირებისა, რომ მის მიერ ახლად შექმნილი ფირმის, მეოთხე სანარმოს, სახით ჩაანაცვლებდა ფრეშაიზინგის გამცემ კომპანიას (პირველ სანარმოს) და მოსარჩელე (მეორე სანარმო), როგორც ფრეშაიზინგის მიმღები, კვლავ დარჩებოდა ბიზნესურთიერთობაში, რომელიც საკუთარი შემოსავლებით, ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებდა საბანკო კრედიტის მომსახურებას, მეოთხე სანარმომ (პირველმა მოპასუხემ) თავად დაიკავა საქვეიჯარო ხელშეკრულებით სავაჭრო ფართი, „გადაიწერა“ მესამე სანარმოსაგან (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი) სარეალიზაციო საქონელი და მოსარჩელის (მეორე სანარმოს) გარეშე, თავადვე ახორციელებდა პროდუქციის რეალიზაციას, რის გამოც მოსარჩელესთან მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, თავადვე აიღო პასუხისმგებლობა საბანკო კრედიტის დაფარვასთან დაკავშირებით, რასაც ასრულებდა კიდევ 2010 წლის ბოლომდე (თავდები /მეორე მოპასუხე/ პატიმრობაში იმყოფებოდა 03.08.2010-დან 2012 წლის მაისამდე, ხოლო მოსარჩელის მეორე სანარმოს დირექტორი (იხ. მე-2 პუნქტი) კი, 04.10.2010-დან 03.12.2010-მდე).

26.6. მოპასუხე მხარე, საბანკო კრედიტსა და საიჯარო ქირასთან დაკავშირებით, ფაქტიურად 2010 წლის მაისიდან, უშუალოდ კი, იმავე წლის 1 აგვისტოდან მოსარჩელის (მეორე სანარმოს) წინაშე ნაკისრი ვალდებულებებითა და მასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებით, მოექცა სსკ-ის 463-ე, 464-ე და 473-ე მუხლებით დეფინიცირებულ სამართლებრივ რეჟიმში თანამდევი შედეგებით. ე.ი. მოპასუხე ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებით წარმოადგენდა სოლიდარული პასუხისმგებლობის მქონე თავდებ პირს (სსკ-ის 463-464-ე მუხლი), ხოლო ამავე საბანკო კრედიტთან და საიჯარო ქირასთან დაკავშირებით, მოსარჩელის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებითა და გარკვეულ ეტაპზე განხორციელებული ქმედებებით, მოექცა სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დეფინიცირებულ სამართლებრივ რეჟიმში (სსკ-ის 473-ე მუხლი) იმ თანამდევი შედეგებით, რასაც სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება.

27. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის (მეორე სანარმოს) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, მეორე სანარმოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შედეგად, პირველ მოპასუხეს (მეოთხე სანარმოს), მოსარჩელის (მეორე სანარმოს) სასარგებლოდ, 17 250 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა დაეკისრა.

28. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის (აპელანტის, მეორე სანარმოს) პრეტენზია პირველი მოპასუხისათვის (მეოთხე სანარმოსათვის) 17 250 აშშ დოლარის დაკისრების მოითხოვნის ნაწილში იმ საფუძველით, რომ ქვემოიჯარის მიერ ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, მას მოუხდა მესამე პირთან დადებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა და ამის გამო მათთვის პირგასამტეხლოს გადახდა, რითაც არსებითი ზიანი მიადგა მოსარჩელეს. სასამართლომ უარყო ამ თანხის სოლიდარულად მეორე მოპასუხისათვის (თავდებისათვის) დაკისრების მოთხოვნა (იხ. ამ განჩინების მე-3 და მე-7 პუნქტები).

29. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 8-10 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ წერილობითი შეთანხმება საიჯარო ქირის გაზრდაზე საქმეში არ არსებობდა.

30. სასამართლოს შეფასებით, 2010 წლის 1 აგვისტოს ქვეიჯარის ხელშეკრულება (იხ.მე-8 პუნქტი) არ შეიცავს დათქმას ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ და არც პასუხისმგებლობის მუხლში არის მოცემული რომელიმე მხარის რაიმე კონკრეტული საჯარიმო სანქციების შესახებ. ხელშეკრულების შინაარსი იძლევა იმის საფუძველს, რომ მხარეებს შორის უკვე არსებული სამართალურთიერთობისა და საერთო ვალდებულების შესრულების მიზნით დადებული შეთანხმება შეფასდეს მარტივ ქვეიჯარის ხელშეკრულებად, რომლითაც არც მეიჯარის და არც მოიჯარის უფლებები არ იყო სათანადოდ დაზღვეული.

31. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულება არ შეიცავს კონკრეტული ვითარებების დაზღვევას ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებით ან/და პასუხისმგებლობის სხვა ზომებს, ხელშეკრულების მე-10 მუხლში მითითებულია, რომ „მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის

შემთხვევაში, ამით გამოწვეული ზიანისათვის, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად“. აღნიშნული ნორმის განმარტების შესაბამისად, იგულისხმება სამოქალაქო კოდექსი. მხარეთა შორის დადებული ქვეიჯარის ხელშეკრულება არ შეიცავს ხელშეკრულების ვადამდე მოშლის უფლებას არც მოიჯარის და არც მეიჯარის მიერ, შესაბამისად, მხარეთა შორის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის წესი განისაზღვრებოდა სსკ-ის დებულებებით.

32. სასამართლომ, სსკ-ის 581-ე, 561-ე, 563-ე, 588-ე მუხლებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ საიჯარო ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტა მხარეთა შორის, მოიჯარის ინიციატივით, უნდა მომხდარიყო მოსარჩელისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით მინიმუმ 3 (სამი) თვით ადრე; მხარეთა შორის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, თუ მხარეები თანხმობას გამოხატავდნენ, უნდა გაფორმებულიყო წერილობითი ფორმით, ხოლო თუ მოიჯარე ცალმხრივი ნების საფუძველზე წყვეტდა ხელშეკრულებას, მაშინ მას უნდა შეეთავაზებინა მეიჯარისათვის სხვა გადახდისუნარიანი ახალი მოიჯარე. ხელშეკრულების მე-10 მუხლი პასუხისმგებლობის შესახებ, თავისი არსით, ბლანკეტურ დათქმას წარმოადგენს და იგი პირდაპირ მიუთითებს მხარეთა პასუხისმგებლობის შემთხვევაში არსებული სამართალურთიერთობის სამოქალაქო კოდექსით რეგულირებაზე.

33. სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 588-ე მუხლი არეგულირებს ხელშეკრულების ვადამდე მოშლისას მოიჯარის პასუხისმგებლობის ფარგლებსა და პასუხისმგებლობის დადგენის წესს, ხოლო მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში (ბრალეული მოქმედება) გამოიყენება სსკ-ის 408, 409-ე და 412-ე მუხლები.

34. სასამართლოს დასკვნით, ქვემოიჯარისათვის (მეოთხე საწარმო – იხ.მე-7 პუნქტი) წინასწარ იყო ცნობილი, რომ საიჯარო ქირის გადახდით მოსარჩელე ასრულებდა საბანკო ვალდებულებას, ქვემოიჯარისათვის ცნობილი იყო, რომ მოსარჩელეს არ გააჩნდა სხვა ფულადი სახსრები ან/და მატერიალური აქტივი და, შესაბამისად, მისთვის წინასწარ იყო სავარაუდო, რომ ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში, ქვემოიჯარე (მეორე საწარმო, მოსარჩელე) ვარდებოდა გამოუვალ მდგომარეობაში და მის კეთილსინდისიერ მოქმედებაზე (საიჯარო ქირის დროულ გადახდაზე) იყო დამოკიდებული მოსარჩელის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება. აქედან გამომდინ-

ნარე, ხელშეკრულების მე-10 მუხლის დათქმა პასუხისმგებლობის შესახებ, უნდა განიმარტოს მოიჯარის უფლების შეზღუდვაში, მეიჯარის სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არ შეენწყვიტა სამართლებრივი ურთიერთობა. ამავდროულად, მოწინააღმდეგე მხარისათვის ქვეიჯარის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო ძირითადი იჯარის ხელშეკრულების პირობები და წესები და, შესაბამისად, იმთავითვე იყო ინფორმირებული, თუ რა პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა მოსარჩელეს და აცნობიერებდა, რომ მის მიერ ქვეიჯარის ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსარჩელის (მეორე სანარმოს, ქვემეიჯარის) პასუხისმგებლობა რეგრესის წესით იქნებოდა მის მიერ ასანაზღაურებელი.

35. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა მოსარჩელის (მეორე სანარმო, ქვემეიჯარის) ინიციატივით მოხდა, თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა ამ უკანასკნელის მტკიცება, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულება მოსარჩელემ (მეორე სანარმომ) იმიტომ შეწყვიტა, რომ მოპასუხემ (მეოთხე სანარმომ) არ გადაიხადა გაზრდილი საიჯარო ქირა. სასამართლომ განმარტა, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულებით, ნებისმიერი ცვლილება წერილობითი ფორმით უნდა გაფორმებულიყო, ასეთი ფორმით შეთანხმება საიჯარო ქირის გაზრდაზე კი, საქმეში არ იყო წარდგენილი. შესაბამისად, სასამართლომ საიჯარო ქირად მიიჩნია 1150 აშშ დოლარი, რასაც მოპასუხე იხდიდა კიდევ 2011 წლის იანვრამდე. საქმის მასალებით ასევე არ დასტურდებოდა, რომ მოსარჩელემ (მეორე სანარმომ, ქვემეიჯარემ) მოსთხოვა მოპასუხეს (მეოთხე სანარმოს, ქვემეიჯარეს) საიჯარო ქირის გაზრდა (ან შემცირება) – იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

36. ზემოხსენებულის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ განმარტა, რომ დადგენილია, მოწინააღმდეგე მხარე (ქვემოიჯარე) ვალდებული იყო, 2010 წლის 1 აგვისტოდან 5 წლის განმავლობაში გადაეხადა საიჯარო ქირა, ვინაიდან, ხელშეკრულება დაიდო 5 წლით. ხელშეკრულების 5.1 პუნქტში მითითებულია, რომ 2011 წლის იანვრამდე მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს 1150 აშშ დოლარი. აღნიშნული პუნქტი უნდა განიმარტოს არა სიტყვა-სიტყვით, არამედ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობისა და კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ხელშეკრულების ლოგიკაა, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა გაგრძელდეს 5 წლის ვადით, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებისთანავე მხარეთათვის ცნობილი იყო, რომ მათ შორის ურთიერთობა გაგრძელდებოდა 5 წლის ვადით. ასევე, ხელ-

შეკრულების დადებისთანავე, ქვემოიჯარისათვის (მეოთხე სა-
წარმოსათვის) ცნობილი იყო, რომ 2011 წლის იანვრის თვიდან
საიჯარო ქირის ოდენობა გადაიხდებოდა მეიჯარის მიერ, სა-
ხელშეკრულებო დათქმა ამის თაობაზე წარმოადგენს მითითე-
ბას მეიჯარის უფლებაზე, მოითხოვოს საიჯარო ქირის გაზრდა
ან/და შემცირება. მაგრამ მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომ საი-
ჯარო ქირის გაზრდის უფლება მეიჯარის მხრიდან არც სახელ-
შეკრულებო და არც საკანონმდებლო ნორმების თანახმად არ
წარმოადგენს იმპერატიულ უფლებას, შესაბამისად, საიჯარო
ქირის გაზრდისათვის საჭირო იყო მხარეთა შეთანხმება, ხოლო
მხარეთა შეთანხმებამდე, მინიმუმ, მეიჯარეს უნდა მიემართა
მოიჯარისათვის, რაც არ განხორციელებულა. არც მხარეთა შო-
რის არსებული ხელშეკრულება და არც მოქმედი სამოქალაქო
კოდექსი არ აძლევდა უფლებას მოიჯარეს, საიჯარო ხელშეკ-
რულება ვადამდე მოეშალა, თუნდაც გაზრდილი საიჯარო ქი-
რის მოთხოვნის შემთხვევაშიც, პირიქით, საიჯარო ქირის გაზ-
რდის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშ-
ლის უფლება წარმოემობოდა მეიჯარეს, სსკ-ის 562-ე მუხლის
პირველი ნაწილის და მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

37. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შო-
რის 2010 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკ-
რულება, ფაქტობრივად, შეწყდა 2012 წლის 2 მაისს. ასევე, დად-
გენილია, რომ პირველმა მოპასუხემ (მეოთხე საწარმომ), 2011
წლის იანვრის ჩათვლით გადაიხადა ქირა, ხოლო 2011 წლის იან-
ვრიდან 2012 წლის 2 მაისამდე, ანუ ქვეიჯარის ხელშეკრულე-
ბის შეწყვეტამდე, 15 თვის მანძილზე (თვეში 1150 აშშ დოლარ-
ი), მას ქვეიჯარის თანხა არ გადაუხდია, რის გამოც მოსარჩე-
ლემ განიცადა ზიანი 17 250 აშშ დოლარის ოდენობით. პირველი
მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია მოსარ-
ჩელისათვის ზიანის მიყენება სწორედ იმ თანხის ფარგლებში,
რაც მოპასუხეს უნდა გადაეხადა ქვეიჯარის ქირის სახით, ამა-
ვე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, 17 250 აშშ დოლარის ოდე-
ნობით.

38. სასამართლომ სსკ-ის 394-ე, 395-ე და 412-ე მუხლების
დანაწესიდან გამომდინარე, აღნიშნა, რომ პირს ზიანის ანაზ-
ღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პა-
სუხისმგებლობის დაკისრების პირობები, ანუ თუ სახეზეა ზია-
ნი, რომელიც მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედე-
ბით; მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არ-
სებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს
მიუძღვის, რაც მოცემულ შემთხვევაში წარდგენილი მასალებ-

ბით არ დასტურდებოდა.

39. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, სამოქალაქო კანონმდებლობით ზიანის მიმეცენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის, ანუ მისი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 415-ე მუხლის პირველი ნაწილიდანაც, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

40. სასამართლომ აღნიშნა, რომ სხდომაზე წარდგენილი მასალებით დადასტურდა მოპასუხის (მეოთხე საწარმოს) მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი, რომლის გამოც მოსარჩელეს მიადგა ზიანი. ასევე დასტურდება მიზეზობრივი კავშირი მოსარჩელის მიმართ დამდგარ ზიანსა და მოპასუხის ქმედებას შორის. რაც პირველი მოპასუხისათვის, ზიანის ანაზღაურების სახით, 17 250 აშშ დოლარის დაკისრების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს იძლევა.

41. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა მეორე მოპასუხისათვის (თავდებისათვის – იხ. ამ განჩინების მე-3 და მე-5 პუნქტები) სადავო თანხის სოლიდარულად დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, იმ საფუძველით, რომ მოსარჩელე და თავდები არ იმყოფებოდნენ ერთმანეთთან არანაირ საიჯარო თუ სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რაც გამორიცხავდა ამ უკანასკნელისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივ შესაძლებლობას.

42. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და, სსკ-ის 129-ე, 130-ე მუხლების საფუძველზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 1 აგვისტოს ქვეიჯარის ხელშეკრულება (რომლის ვადა 5 წელია) შეწყდა 2012 წლის 2 მაისს, ხოლო სარჩელი აღძრულია 2014 წლის 14 აგვისტოს, მიიჩნია, რომ არ იყო გასული კანონით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

43. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, მოპასუხეებისათვის, სოლიდარულად, მოსარჩელის (მეორე საწარმოს, მოიჯარის) მიერ მიეჯარისათვის გადახდილი პირგასამტეხ-

ლოს (იხ. პირველი პუნქტი) 80 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი მოპასუხის (მეოთხე სანარმოს, ქვემოიჯარეს) მიერ ვალდებულების დარღვევას არ გამოუწვევია მოსარჩელის მიერ მეიჯარისათვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობა, ვინაიდან 2012 წლის 2 მაისს მხარეებს შორის იჯარის ხელშეკრულება შეწყდა შეთანხმების საფუძველზე და არა 2008 წლის 17 მარტის იჯარის ხელშეკრულების მე-7.2 პუნქტის საფუძველზე. ამასთან, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ 2010 წლის 1 აგვისტოს ქვეიჯარის ხელშეკრულების დარღვევის უშუალო შედეგს წარმოადგენდა 2008 წლის 17 მარტის ხელშეკრულების შეწყვეტა.

44. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, იმ ნაწილში, რომლითაც უარყოფილი იქნა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებისათვის 291 554 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, იმ საფუძველით, რომ მოპასუხეებმა იკისრეს საბანკო კრედიტის $\frac{3}{4}$ ნაწილი ვალის დაფარვის ვალდებულება.

45. სასამართლომ, სსკ-ის 317-ე, 319-ე, 394-ე, 412-ე, 891-ე-905-ე, სსსკ-ის მე-4, 102-ე მუხლებზე დაყრდნობით, იმსჯელა წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ მხარეებს შორის არ წარმოშობილა საკრედიტო თუ სასესხო ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა და მოპასუხეებს არ უკისრიათ მოსარჩელის მიმართ კრედიტის დაფარვის ვალდებულება. შესაბამისად, სახეზე არ იყო მოპასუხეების მიერ მოსარჩელის მიმართ რაიმე სახის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფაქტი და დაუშვებელი იყო არარსებული ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველით მოპასუხეებისათვის რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

46. სააპელაციო სასამართლომ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. პირველმა კასატორმა (პირველი მოპასუხე) გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. მეორე კასატორის/შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორის (მოსარჩელე) მოთხოვნა კი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაა.

47. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის (შეგებებული საკასა-

ციო საჩივრის ფარგლებში) არგუმენტები ძირითადად იმეორებს სააპელაციო საჩივრის მოტივაციას (წინამდებარე განჩინების 26-ე პუნქტი). მეორე კასატორის მტკიცებით:

47.1. სესხის აღების წინაპირობას, მის გადახდასთან დაკავშირებით სათანადო პასუხისმგებლობის ერთმანეთში გადანაწილებით, ორივე მხარის ურთიერთდამოკიდებული ინტერესები განსაზღვრავდა. სესხის მიზნობრივ ხარჯვას ფაქტიურად მოპასუხე (მეოთხე საწარმო) განაგებდა და აკონტროლებდა;

47.2. სესხის აღების წინაპირობებითა და მისი ხარჯვითი ნაწილის მიზნობრივობით იყო განპირობებული ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების მიმართ მეორე მოპასუხის სოლიდარული თავდებობა, რაც მყარ გარანტიას წარმოადგენდა მოსარჩელისათვის, რადგან მოპასუხისათვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება დამოკიდებული იყო მოსარჩელესთან ბიზნესურთიერთობის შენარჩუნებითა და განვითარებით, რამეთუ ამ უკანასკნელს, როგორც მსესხებელს, სესხის დაფარვა შეეძლო მხოლოდ ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით და თუ მათ ბიზნესურთიერთობას რაიმე დამეუქრებოდა, როგორც სოლიდარულ თავდებს, თავად მოუწევდა ბანკის ვალდებულების შესრულება;

47.3. სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, 2010 წლის 9 აგვისტოს პირველმა მოპასუხემ 10 200 ლარი გადაურიცხა ანგარიშზე მოსარჩელეს, საქონლის ღირებულების დანიშნულებით; მოპასუხემ (მეოთხე საწარმო) აღიარა, რომ მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, მან ზუსტად იმ დღეს დაიწყო თანხის გადარიცხვა მოსარჩელისათვის, როდესაც ამ უკანასკნელს, გრაფიკის მიხედვით, დასაფარი ჰქონდა კრედიტი – 7 268 აშშ დოლარი. იმ პერიოდის კურსით ჩარიცხული თანხა შეადგენდა გადასახდელი თანხის 3/4-ს, დარჩენილი 1/4 მოსარჩელის ანგარიშიდან შეივსო, იმავე დღესვე განხორციელდა კონვერტაცია და დაიფარა ბანკის კრედიტი. 09.09.2010 წლის და მომდევნო თვეების საბანკო ამონაწერების მიხედვით, დასტურდება, რომ იმავე სქემით ხდებოდა პირველი მოპასუხის მიერ საქონლის ღირებულების დანიშნულებით თანხის ჩარიცხვა მესამე საწარმოსათვის, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მოსარჩელისათვის, მოსარჩელის მიერ კი, ბანკისათვის, გადასახდელი თანხის 3/4-ის ოდენობით, რის შემდეგაც იმავე დღეს იფარებოდა ბანკის კრედიტი (იხ. შეგებებული საკასაციო საჩივარი, გვ. 12; ამ განჩინების 6-7 პუნქტები). აღნიშნული მტკიცებულებით დასტურდება, რომ სესხის აღება მოხდა მხარეთა შეთანხმებით, ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შეს-

რულება განპირობებული იყო მოპასუხესთან ბიზნესურთიერთობის შენარჩუნებით და ამ უკანასკნელის მხარდაჭერის უზრუნველყოფით. 2010 წლის მაისიდან კი, ამ ვალდებულების შესრულების მთლიანად მოპასუხის მიერ საკუთარ თავზე აღებით, დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით მისი გადახდის განხორციელებით (იხ. შეგებებული საკასაციო საჩივარი);

47.4. მხარეთა ურთიერთობაში მესამე საწარმო თავდებმა (მეორე მოპასუხემ – იხ. მე-3 და მე-5 პუნქტები) შემოიყვანა იმ მიზნით, რომ ვინაიდან 2010 წლიდან მოსარჩელე (მეორე საწარმო) წყვეტდა ბიზნესურთიერთობას პირველ საწარმოსთან, მას პრობლემები არ შექმნოდა მეოთხე საწარმოსთან (პირველი მოპასუხე – იხ. მე-7 პუნქტი) ჩანაცვლებამდე. ეს ვალდებულებები დროებით მესამე საწარმოს უნდა შეესრულებინა და შეასრულა კიდევ;

47.5. მხარეთა შორის არსებული შეთანხმებისთვის წერილობითი ფორმის სავალდებულობას კანონი არ ადგენს. ვინაიდან 2010 წლის 1 აგვისტოდან მოპასუხე ასრულებდა მოსარჩელის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, საბანკო კრედიტისა და საიჯარო ქირის გადახდას, რასაც ვალდებულების გარეშე არ შეასრულებდა. ფაქტია, რომ არსებობდა ვალდებულება და შესაბამისად, მისი შესრულებაც (იხ. შეგებებული საკასაციო საჩივარი);

47.6. ქვეიჯარის ხელშეკრულება შეწყდა არამართლზომიერად ხელშეკრულების უხეში დარღვევით, რის გამოც მოსარჩელეს მიაღდა 80 000 აშშ დოლარის ზიანი, რაც ამ უკანასკნელმა გადაუხადა მეიჯარეს იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო. სასამართლოს აღნიშნული ზიანის საკომპენსაციოდ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 394-ე, 412-ე, 52-ე, მე-8, 115-ე, 351-ე, 316-ე, 317-ე, 417-ე, 992-ე, 588-ე მუხლები;

47.7. ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისთვის სასამართლოს შეეძლო მოპასუხისათვის დაეკისრებინა თანხის გადახდა 2012 წლის მაისიდან 2015 წლის მაისამდე, ანუ 37 თვის ქირა, რაც 42 550 აშშ დოლარს შეადგენს;

47.8. ძირითადი იჯარის ხელშეკრულება მხარეთა შორის 2011 წლის დეკემბერში შეწყდა, რაზეც მითითებულია 2011 წლის ხელწერილში. მოსარჩელემ ამ დროს გადაიხადა პირგასამტეხლოს ნაწილი – 20 000 აშშ დოლარი. 2012 წლის 2 მაისის შეთანხმება იჯარის შეწყვეტის შესახებ (იხ. მე-10 პუნქტი) წარმოადგენს საჯარო რეესტრში წარსადგენ დოკუმენტს რეგისტრირებული იჯარის ხელშეკრულების გასაუქმებლად და მას არავი-

თარი ფაქტობრივი და სამართლებრივი კავშირი არ ჰქონდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტასთან.

48. პირველი მოპასუხე (პირველი კასატორი) შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე მიუთითებს:

48.1. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ვადის – 2011წ. 1 იანვრის დადგომის შემდეგ მეიჯარემ მოიჯარეს შესთავაზა ახალი საიჯარო ქირა, რაც, თითქმის 10-ჯერ აღემატებოდა მანამდე არსებულ ქირას. ქვემოიჯარე არ დაეთანხმა ქვემეიჯარის (მოსარჩელის) მიერ მოთხოვნილ გაზრდილ ქირას და დაცალა ობიექტი. სასამართლომ არ იმსჯელა, რამდენად წარმოადგენდა მეიჯარის მიერ საიჯარო ქირის ერთბაშად და თან მნიშვნელოვნად გაზრდა მოიჯარის მხრიდან საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს. სასამართლოს არ შეუფასებია გაზრდილი საიჯარო ქირის გადახდაზე ქვემოიჯარის უარი და მისი სამართლებრივი წინაპირობა, კერძოდ, სსკ-ის 399-ე მუხლით დადგენილია გრძელვადიანი ურთიერთობის საფუძველზე, პატივისაღები გარემოებებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები;

48.2. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეებმა ქვეიჯარის ხელშეკრულებაში არ გაითვალისწინეს ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი. ამის გამო გამოიყენება სსკ-ის საიჯარო ურთიერთობის მომწესრიგებელი და 561- 563-ე და 588-ე მუხლები;

48.3. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 561-ე მუხლი, ვინაიდან იგი გამოიყენება მხოლოდ განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების დროს, ხოლო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ქვეიჯარის ხელშეკრულება კი 5 წლის – ანუ განსაზღვრული დროით იყო დადებული, ხსენებული ნორმის გამოყენების შემთხვევაშიც კი, სასამართლოს უნდა დაესკვნა, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნებოდა შესაბამისი ქმედების განხორციელებიდან სამი თვის განმავლობაში, ანუ ყველაზე გვიან 2011წ. აპრილის ბოლოსათვის. სასამართლომ კი ქვეიჯარის ხელშეკრულება, 2012წ. 2 მაისს მიიჩნია შეწყვეტილად;

48.4. სასამართლომ არასწორად გამოიყენა, სსკ-ის 563-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა გაფორმდეს წერილობით, თუმცა, აღნიშნული ნორმა ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ქირავნობის/იჯარ-

რის ხელშეკრულების საგანია საცხოვრებელი სადგომი. ნებისმიერი სხვა ნივთის, მათ შორის სხვა შენობის ქირავნობის შეწყვეტისას, კანონი წერილობით ფორმას არ მოითხოვს. ამ შემთხვევაში ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ზეპირადაც;

48.5. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 562-ე მუხლის პირველი ნაწილი და მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი. აღნიშნულ მუხლებზე დაყრდნობით სასამართლომ აღნიშნა, რომ არც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება და არც სამოქალაქო კოდექსი არ აძლევდა მოიჯარეს უფლებას, ვადამდე მოემალა საიჯარო ხელშეკრულება. თუნდაც გაზრდილი საიჯარო ქირის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლის უფლება წარმოეშობოდა მეიჯარეს და არა – მოიჯარეს. როგორც სსკ-ის 563-ე, ასევე, სსკ-ის 562-ე მუხლის შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს სპეციალურ ნორმასთან, რომელიც ანესრიგებს სპეციალურ შემთხვევას – საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხს. არასაცხოვრებელი სადგომის იჯარის ხელშეკრულებასთან მიმართებით აღნიშნული ნორმა პირდაპირ არ გამოიყენება. არ არის აღნიშნული ნორმის კანონის ანალოგიით გამოყენების საფუძვლები;

48.6. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 588-ე მუხლი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე გათვალისწინებული მოთხოვნები, მოიჯარეს არ შეიძლება წაეყენოს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ხდება მეიჯარის ბრალით, რომელიც არ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ მოიჯარე საიჯარო ქირას იხდიდა 2011 წ. 1 იანვრამდე, ხოლო ამის შემდეგ მხარეებს შეთანხმებით უნდა დაედგინათ ახალი საიჯარო ქირა. მეიჯარემ მოითხოვა ქირის გაზრდა, რაც, მოიჯარის ახსნაგანმარტებიდან და თავად მეიჯარის შესაბამისი პოზიციიდან გამომდინარე, უნდა გაზრდილიყო შესაბამისი კრედიტის დაფარვისათვის საჭირო თანხებით, აღნიშნული კი 10 000 აშშ დოლარს შეადგენდა, ანუ 2011 წ. 1 იანვრამდე მოქმედ საიჯარო ქირაზე თითქმის 10-ჯერ მეტს. სასამართლომ ეს გარემოება არ გაითვალისწინა, როდესაც მოიჯარის მიერ იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ერთადერთ საფუძვლად სსკ-ის 588-ე მუხლი მიიჩნია;

48.7. სასამართლომ არასწორად არ მიიჩნია, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულად და არასწორად გამოიყენა სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სახელშეკ-

რულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობისა – 6 წელს. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად სასამართლომ 2012 წლის 2 მაისი მიიჩნია და დაასკვნა, რომ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა 2014 წლის 14 აგვისტოს, ანუ იმ დროს, როდესაც ჯერ არ იყო გასული კანონით გათვალისწინებული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. დაუსაბუთებელია, რატომ მიიჩნია სასამართლომ 2012 წლის 2 მაისი ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტად. სასამართლომ ქვეიჯარის ხელშეკრულების ბედი მოსარჩელესა და მეიჯარეს შორის არსებული იჯარის ხელშეკრულების ბედს დაუკავშირა, რომელიც შეწყდა 2012 წლის 2 მაისს, თუმცა ქვეიჯარის ხელშეკრულების ბედი დამოკიდებული არ არის იჯარის ხელშეკრულების არსებობაზე;

48.8. ქვეიჯარის ხელშეკრულების 2012 წლის 2 მაისს შეწყვეტის შემთხვევაში, გამოდის, რომ 2011 წლის თებერვლიდან მოყოლებული 2012 წლის 2 მაისამდე, ანუ 15 თვის განმავლობაში, მოპასუხეს ერიცხებოდა ქირის ყოველთვიური გადახდის ვალდებულება. მოცემული დროის მონაკვეთში კი, ყოველი თვის შესაბამის კალენდარულ რიცხვში წარმოიშობოდა საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნის უფლება. ამგვარად, შესაბამისი საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნები წარმოიშობოდა პერიოდულად, 2011წ. თებერვლიდან. სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამგვარად, დამოუკიდებლად უნდა განისაზღვროს ყოველი საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების ხანდაზმულობის საკითხი. ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტთან დაკავშირებით, სასამართლოს პოზიციის მართებულად მიჩნევის შემთხვევაშიც, სარჩელის აღძვრის მომენტისათვის, მოსარჩელის საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნა, 8 050 აშშ დოლარის ოდენობით, ხანდაზმულია და მისი მოთხოვნა ჯამში იქნებოდა არა 17 500, არამედ 9 450 აშშ დოლარი.

49. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინებით დასაშვებადაა ცნობილი წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივრების (მათ შორის შეგებებული საკასაციო საჩივრის) სამართლებრივი საფუძვლიანობის არსებითად გან-

ხილვის, მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოთხოვნის განხორციელებადობის კონტექსტში წარმოდგენილი პირველი კასატორის განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი არსებობს შემდეგი არგუმენტაციით:

50. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. დასაბუთებული შედავებისას, კანონი იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, გადაწყვეტილების გამოტანისას დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

51. განსახილველ დავაში მოსარჩელე (მეორე საწარმო, მეორე კასატორი) მოითხოვს სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების – 194 294.32 აშშ დოლარის, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოსა და ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, 15 თვის იჯარის ქირის სახით (80 000+17 250) 97 250.000 აშშ დოლარის, ჯამში: 291 554.00 აშშ დოლარის ანაზღაურებას. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირველ მოპასუხეს (მეოთხე საწარმო, პირველ კასატორს), მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 17 200 აშშ დოლარი, ქვეიჯარის ხელშეკრულების მოშლის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ე.ი. საკასაციო წარმოების ეტაპზე მო-

სარჩელე მოითხოვს მიყენებული ზიანის სახით მოპასუხეთათვის, სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილის – 274 304 (291 554-17 250) აშშ დოლარის დაკისრებას (იხ. შეგებებული საკასაციო საჩივარი).

52. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უარყოფილია მოსარჩელის მოთხოვნა პირველი და მეორე მოპასუხეებისათვის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, გადახდილი პირგასამტეხლოს ოდენობით, ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში. საკასაციო სასამართლოს კვლევის საგანს, მხარეთა მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების ფარგლებში, იმ საკითხის გარკვევა შეადგენს, წარმოადგენდნენ თუ არა მოპასუხეები იმ ვალდებულ პირებს, რომელთაც ნაწილობრივ უნდა შეესრულებინათ მოსარჩელის სასესხო ვალდებულება და, ამ უკანასკნელის მიერ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, 80 000 აშშ დოლარის პირგასამტეხლოს გადახდა, წარმოადგენს თუ არა მოპასუხეთა მიერ მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანს.

53. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია წინამდებარე განჩინების 1-10 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, აღნიშნავს, რომ არ დგინდება მხარეთა შორის სასესხო-საკრედიტო ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების კონტრაჰენტი მოსარჩელეა (მეორე საწარმო ან კასატორი). კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებების მხარეებს ფარდობითი (რელატიური) უფლებები მხოლოდ ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოპასუხეებმა, მოსარჩელესთან ერთად, სოლიდარული ან სხვა სახით (მაგ. ვალის გადაკისრება – სსკ-ის 203-ე მუხლი) იკისრეს ბანკის წინაშე რაიმე ვალდებულება. სსკ-ის 317.1-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების არარსებობა კი გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას (სსკ-ის 316.1, 394.-ე მუხლები).

54. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მეორე კასატორის (მოსარჩელის, მეორე საწარმოს) მსჯელობაზე, რომლითაც იგი მოპასუხეთა ბიზნეს ისტორიას და მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ასახავს და ამით ცდილობს, დაასაბუთოს, ზეპირი გარიგებიდან გამომდინარე, მოპასუხეთა ვალდებულების არსებობა. მოსარჩელესა

(მეორე სანარმოს) და პირველ მოპასუხეს (მეოთხე სანარმოს) შორის სტაბილური სამენარმოო საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მოპასუხეთა დაინტერესება მათი ბიზნეს პარტნიორის ფინანსური წარმატებითა და სტაბილურობით. უდავოა, რომ მოპასუხემ იცოდა მოსარჩელის საბანკო ვალდებულების შესახებ და ამ უკანასკნელთან გაფორმებული ხელშეკრულებების (სადისკრიბუციო მომსახურების, ფრენშაიზინგის, ქვეიჯარის ხელშეკრულებები, წინამდებარე განჩინების პირველი, მეხუთე პუნქტები) ფარგლებში ვალდებულებების დროული შესრულებით ცდილობდა, ხელი შეეწყო მოსარჩელისთვის, რათა ამ უკანასკნელს ფინანსური ვალდებულებები დროულად შეესრულებინა. ამდენად, პირველი მოპასუხის (მეოთხე სანარმოს) მიერ განხორციელებული გადარიცხვები, რომელიც ემთხვეოდა მოსარჩელის (მეორე სანარმოს) მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების დღეს, არ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ პირველმა მოპასუხემ ივალდებულა ბანკთან მოსარჩელის ვალდებულების ნაწილის შესრულება. შესაბამისად, მოსარჩელის (იხ. წინამდებარე განჩინების 47.3. პუნქტი) პრეტენზია, მისი სახელშეკრულებო ვალდებულების ნაწილის მოპასუხეთა ვალდებულებად მიჩნევისა და შეუსრულებლობის გამო, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

55. ამავე მოტივაციით სასამართლო ვერ გაიზიარებს მეორე კასატორის პრეტენზიას თავდების (მეორე მოპასუხის) შესაძლო პასუხისმგებლობის შესახებ და მიაჩნია, რომ ამ მხრივაც მოსარჩელის არგუმენტები მოკლებულია ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს. სასამართლოს მიაჩნია, რომ მეორე მოპასუხე, როგორც სოლიდარული თავდები, მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნითაა ვალდებული, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, შეასრულოს მოვალის შეუსრულებელი ვალდებულება (სსკ-ის 891-905-ე მუხლები). განსახილველ შემთხვევაში, საბანკო კრედიტის ხელშეკრულების კონტრაჰენტის – მოვალის (მოსარჩელის) მიერ ვალდებულების შესრულების გამო თავდების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. თავდებობის, როგორც მოთხოვნის პიროვნული უზრუნველყოფის ბუნებიდან გამომდინარე, დროს თავდების ბუნებრივი ინტერესია მოვალის გადახდისუნარიანობა და ვალდებულების დროული შესრულება, რათა თავდების ქონებას არ შეექმნას საფრთხე, მაგრამ აღნიშნული არ ადგენს თავდების სამართლებრივ მოვალეობას, შეასრულოს მოვალის საკრედიტო ვალდებულებები.

56. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასევე უსაფუძ-

ვლოა მოსარჩელის არგუმენტი მოპასუხეთა პასუხისმგებლობის შესახებ იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელთა ბრალით მოხდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა და, ამის გამო, მეიჯარისათვის, პირგასამტეხლოს სახით, გადახდილი 80 000 აშშ დოლარი წარმოადგენს მოპასუხეთა ქმედებით გამოწვეულ ზიანს (წინამდებარე განჩინების 47.6. პუნქტი). სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ იჯარის ხელშეკრულება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით 2012 წლის 2 მაისს შეწყდა, ხოლო მოსარჩელემ, როგორც მოიჯარემ, გადაიხადა 17.03.2008წ. იჯარის ხელშეკრულებით შეთანხმებული ერთჯერადი პირგასამტეხლო (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი).

57. სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის“ მიხედვით, ზიანის ანაზღაურება შესრულებაზე ვალდებულ პირს, იჯარის ხელშეკრულების მონაწილე მხარე წარმოადგენს. ვინაიდან მოპასუხეები იჯარის ხელშეკრულების მხარეები არ არიან, მათ, სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, არც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობათ.

58. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხეთა მიერ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების განხორციელების ფაქტი (სსკ-ის 992-ე მუხლი), რამაც უშუალოდ გამოიწვია მოსარჩელესა და მეიჯარეს შორის იჯარის ხელშეკრულების მოშლა და შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდევინება.

59. სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ სარჩელის უარყოფის ნაწილში ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია (სსსკ-ის 102-ე მუხლი) და სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა ზიანის არსებობა.

60. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი მოპასუხის (პირველი კასატორი, მეოთხე საწარმო) არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტაში მას, როგორც ქვემოიჯარეს ბრალი არ მიუძღვის და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არასწორია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორს ამ ნაწილში დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არა აქვს წარმოდგენილი (სსსკ-ის 407.2-ე მუხლი).

61. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას დავის გადასაწყვეტად სსკ-ის 399-ე მუხ-

ლის გამოყენებასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ მოპასუხის მიერ არ არის დასაბუთებული აღნიშნული ნორმის გამოყენების მართლზომიერება. საქმის მასალებითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით არ დგინდება მეიჯარის (ამ შემთხვევაში მეორე სანარმოს, როგორც ქვემეიჯარის) მიერ საიჯარო ქირის გაზრდის ფაქტი და ამ მხრივ პირველი კასატორის (ქვემოიჯარის) არგუმენტები ხელშეკრულების მოშლის პატივსაღები საფუძვლების არსებობაზე არ არის დასაბუთებული.

62. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტია, რომ ქვეიჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა ქვემოიჯარემ 2011 წლის 1 იანვრამდე გადაიხადა, ხოლო ხელშეკრულება, ფაქტობრივად, 2012 წლის 2 მაისს შეწყდა (იხ. წინამდებარე განჩინების 37-ე პუნქტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვალის (ქვემოიჯარის) მიერ ვალდებულების დარღვევა დადასტურებულია.

63. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მითითებულის გათვალისწინებით, სსკ-ის 581-ე, 394.1-ე და მე-400 მუხლების საფუძველზე მოსარჩელეს წარმოეშვა ქვემოიჯარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

64. სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს პირველი კასატორის (მეოთხე სანარმოს, ქვემოიჯარის) პრეტენზიას სსკ-ის 563-ე მუხლის დანაწესთან დაკავშირებით (წინამდებარე განჩინების 48.4. პუნქტი) და განმარტავს, რომ ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის წერილობით გაფორმება აუცილებელი არ არის. კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი შესრულება ავსებს ფორმის ნაკლს.

65. სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი კასატორის მოსაზრებას (წინამდებარე განჩინების 48.6.-ე პუნქტი), იმის თაობაზე, რომ მას საიჯარო ქირის გადახდა არ შეიძლება დაეკისროს სსკ-ის 588-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან ხელშეკრულების მოშლა მეიჯარის (მოსარჩელის, მეორე სანარმოს) ბრალით მოხდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმის მასალებით მეიჯარის ბრალით ქვეიჯარის ხელშეკრულების მოშლის ფაქტი დადასტურებული არ არის, ქვემოიჯარე ვალდებულია, გადაიხადოს საიჯარო ქირა სსკ-ის 588-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

66. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მოსაზრებები სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 561-ე და 562-ე მუხლების არასწორად გამოყენების თაობაზე (წინამდებარე განჩინების 48.3. და 48.5. პუნქტები) მნიშვნელოვანი არ

არის, რადგან მათი გაზიარების შემთხვევაშიც კი სამართლებრივი ვითარება ვერ შეიცვლება.

67. საკასაციო სასამართლო იზიარებს პირველი მოპასუხის (პირველი კასატორის, მეოთხე სანარმოს) საკასაციო პრეტენზიას მოსარჩელის (მეორე სანარმოს ან კასატორის) მოთხოვნის ნაწილობრივ ხანდაზმულობის თაობაზე (წინამდებარე განჩინების 48.7-48.8 პუნქტები) და მიაჩნია, რომ ამ ნაწილში კასატორის მიერ დასაბუთებული საკასაციო შედავებაა წარმოდგენილი.

68. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილი, რამაც საქმეზე ნაწილობრივ არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა (სსკ-ის 393.1-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

69. საკასაციო სასამართლოს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში (წინამდებარე განჩინების 37-ე პუნქტი), მიაჩნია, რომ მოსარჩელესა (მეორე სანარმოს) და პირველ მოპასუხეს (მეოთხე სანარმოს) შორის ქვეიჯარის ხელშეკრულება 2012 წლის 2 მაისს შეწყდა. ქვემოიჯარის მიერ 2011 წლის 1 იანვრამდე საიჯარო ქირა, ყოველთვიურად 1150 აშშ დოლარის ოდენობით, გადახდილია. მეორე სანარმომ სარჩელი 2014 წლის 14 აგვისტოს აღძრა. სააპელაციო სასამართლომ პირველ მოპასუხეს 15 თვის ქირის გადახდა დააკისრა (ამ განჩინების მე-8-9, 27-ე პუნქტები).

70. სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

71. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ვალდებულება, რომლის შესრულება მოვალის მხრიდან გარკვეული პერიოდებით განისაზღვრება. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება (იხ. სუსგ №ას-1688-1673-2011, 02.02.2012 წ.; №ას-1144-1090-2014, 23.02.2015 წ. № ას-445-420-2014, 22.04.2015 წ.).

72. სასამართლო პრაქტიკაში არაერთხელ განიმარტა, სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 130-ე მუხლის გამოყენების

საკითხი, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია: „საკა-საციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოპასუხეს ევალეზობდა საიჯარო ქირის არა ერთიანად, არამედ პერიოდულად, წელიწადში ერთხელ გადახდა და აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს მოთხოვნა წარმოეშობოდა თითოეული პერიოდისათვის ცალ-ცალკე {სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილი და 130-ე მუხლი}“ – იხ. სუსგ №ას-1203-1130-2015, 01.06.2016წ. მითითებულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებლის არსებობის გამო, იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას, რომ საიჯარო ქირის მოთხოვნა ნაწილობრივ არ არის განხორციელებადი. კერძოდ, 2011 წლის თებერვლიდან 2011 წლის აგვისტოს ჩათვლით, ე.ი. 7 (შვიდი) თვის ქირის მოთხოვნა ხანდაზმულია.

73. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, რაც გამოიხატება შემდეგში: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს, რვა თვის (2011 წლის სექტემბრიდან 2012 წლის მაისამდე) გადაუხდელი საიჯარო ქირის გადახდა (1150 ხ 8) 9200 აშშ დოლარის ოდენობით.

74. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი გადაწყვეტილებით გაუქმებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილება, საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება თითოეული მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების/უარყოფის ნაწილში, ასევე, სსსკ-ის 53.3-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი ასახულია სარეზოლუციო ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწი-

ლობრივ;

2. შპს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი და შეგებებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. შპს „ტ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

5. შპს „ტ-ს“ (ს/კ 2..) შპს „ტ-ის“ (ს/კ 2..) სასარგებლოდ დაეკისროს 9 200 აშშ დოლარის გადახდა;

6. შპს „ტ-ს“ შპს „ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს პირველი ინსტანციის სასამართლოში წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 640.32 ლარის გადახდა;

7. შპს „ტ-ს“ შპს „ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს უზენაეს სასამართლოში წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 1 025.05 ლარის, გადახდა;

8. შპს „ტ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადავადებული ბაჟის გადახდა 13 079.04 ლარის ოდენობით,

9. შპს „ტ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადავადებული ბაჟის გადახდა 1 920.96 ლარის ოდენობით;

10. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300 773 150;

11. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იჯარა, საიჯარო ქონების უკან დაბრუნება ვადამდე

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელსახლით

№სს-862-828-2016

24 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი: სასარჩელო მოთხოვნა:

1. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ი.ა.კ.-ის (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა საიჯარო ქირის სახით 142 000 ლარისა და პირგასამტეხლოს – 55 046 ლარის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 6 დეკემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება და მოპასუხეს გადაეცა 18 233 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 3650.60 კვ.მ შენობა-ნაგებობა. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 6.2. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო – გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე. იმავე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოიჯარეს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო 200 ლარის ოდენობით ყოველ დარღვეულ დღეზე.

3. მხარის მითითებით, 2014 წლის 8 დეკემბერს, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, იჯარის ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. მოპასუხის დავალიანებამ შეადგინა 197046 ლარი.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხემ კვალიფიციურ შედავებაში განმარტა, რომ მხა-

რეთა შორის იჯარის ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 6 დეკემბერს. 2014 წლის 23 იანვარს მან მიმართა მოსარჩელეს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისა და იჯარით გადაცემული ქონების მიყიდვის შესახებ განცხადებით, რაზეც არანაირი პასუხი არ მიუღია. 2014 წლის 27 მარტს კვლავ მიმართა მოსარჩელეს, რომელმაც 2014 წლის 8 დეკემბერს მიიღო ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება.

5. ფაქტობრივად, მოსარჩელესთან იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა საიჯარო ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემის შეპირების საფუძველზე, რაც არ განხორციელდა და, მიუხედავად მოიჯარის მოთხოვნისა, სამი თვის ვადაში შეეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება, იგი შეწყვიტა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, რაც მოსარჩელის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას ადასტურებს და გამორიცხავს საიჯარო ქირის დავალიანებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

6. ბათუმის საქალაქო სასამართლო 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის – 142 000 ლარისა და პირგასამტეხლოს 3204,60 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 6 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს გადაეცა 18233 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 3650.60 კვ.მ შენობა-ნაგებობა. ყოველწლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 186000 ლარით. საიჯარო ქირის ყოველთვიური გადასახადი შეადგენდა 15500 ლარს.

9. 2013 წლის 6 დეკემბრის ხელშეკრულების 6.2. პუნქტის

თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარეს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო გადაუხდელო თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ამავე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით დადგინდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოიჯარეს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო – 200 ლარი ყოველ დარღვეულ დღეზე.

11. 2013 წლის 6 დეკემბრის ხელშეკრულების მე-7 მუხლით განისაზღვრა ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევები, კერძოდ: ხელშეკრულება შეწყდებოდა ვადის გასვლით; მეიჯარის მიერ ხელშეკრულების 6.5. პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების მოშლის უფლების განხორციელების შემთხვევაში; მხარეთა ურთიერთშეთანხმებით; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (შემდგომში – სსკ) გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. 2014 წლის 23 იანვარს მოპასუხემ განცხადებით მიმართა მოსარჩელეს და მოითხოვა, რომ 2013 წლის 6 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება – 3650.60 კვ.მ შენობა-ნაგებობა მიეყიდათ მისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით. ქონების მიყიდვის შემთხვევაში, მხარე გეგმავდა სერიოზული საწარმოო კომბინატის შექმნას, სადაც დასაქმდებოდა 70 სოფლის მაცხოვრებელი.

13. შეთავაზებასთან ერთად წარდგენილი იქნა მოკლე ბიზნეს გეგმა, სამომავლო ღონისძიებებთან დაკავშირებით, თუკი სააგენტოს მხრიდან იქნებოდა თანხმობა ობიექტი მიეყიდათ პირდაპირი მიყიდვის ფორმით და შესყიდვის თანხა ხელმისაწვდომი იქნებოდა მისთვის.

14. მოპასუხემ წერილში აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე მის მიერ გადახდილი 45000 ლარი ჩათვლილიყო პირველი 3 თვის ქირაში, რათა მას არ დარიცხოდა პირგასამტეხლო, შემდგომში კი შეენწყვიტათ იჯარის ხელშეკრულება.

15. 2014 წლის 27 მარტს მოპასუხემ მოსარჩელეს მიმართა განცხადებით და მოითხოვა ინფორმაცია, 2014 წლის 23 იანვრის წერილის საფუძველზე შეწყდა თუ არა მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა, ადრესატისაგან პასუხი არ მიუღია.

16. 2014 წლის 16 ივნისს მოპასუხემ კვლავ მიმართა მოსარჩელეს და განცხადებაში მიუთითა, რომ იჯარით ჰქონდა აღებული 18233 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 3650.60 კვ.მ შენობა-ნა-

გეობა. განმცხადებელმა მოითხოვა 2013 წლის 6 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა და საიჯარო ქონების აუქციონის ფორმით შეძენაზე თანხმობის მიცემა. აღნიშნული განცხადებაც დარჩა რეაგირების გარეშე.

17. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 23 იანვრის წერილთან დაკავშირებით პასუხი გაიგზავნა 2014 წლის 22 ოქტომბერს, სადაც დაფიქსირებულია, რომ სააგენტოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია საიჯარო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება წარმოდგენილი საინვესტიციო პირობებით. ამასთან, მიმდინარეობს იჯარის ხელშეკრულებით გაცემულ ქონებაზე სხვა პირის მოთხოვნით საქმის წარმოება სააღსრულებო ბიუროს მიერ და სადავო საკითხის დასრულების შემდეგ მოსარჩელე მზად არის, განიხილოს უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების მიზნობრიობის საკითხი.

18. 2013 წლის 6 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულების 3.1.5. პუნქტის თანახმად, „მოიჯარე“ ვალდებულია, საიჯარო ურთიერთობის ვადის გასვლამდე „ქონების“ დაბრუნების შემთხვევაში შეესაუბროს „მეიჯარეს“ სხვა გადახდისუნარიანი და „მეიჯარისათვის“ მისაღები „მოიჯარე“, რომელიც დაეთანხმება „ხელშეკრულების“ პირობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მოიჯარე“ ვალდებულია, გადაიხადოს საიჯარო ქირა „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საიჯარო პერიოდის დასრულებამდე.

19. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის მითითებით, მოსარჩელე სააგენტოს თავმჯდომარისადმი 2014 წლის 23 იანვრის წერილში მან დააფიქსირა, რომ საიჯარო ქონება განკუთვნილი იყო მანდარინის მიღება-დასაწყობებისათვის, რათა შემდგომში მოეხდინათ მისი რეალიზაცია. ეს საქმიანობა გრძელდებოდა ზამთრის პერიოდში, დეკემბრიდან დაახლოებით სამი თვის განმავლობაში. ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნასთან ერთად, მეიჯარისათვის სხვა გადახდისუნარიანი „მოიჯარე“ არ შეუთავაზებია.

20. 2015 წლის 4 ნოემბერს პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმემ განმარტა, რომ იცნობს მთელი საქართველო, სხვადასხვა პერიოდში დასაქმებული იყო მაღალ საჯარო თანამდებობებზე და გადაწყვიტა აჭარაში ბიზნესი წამოეწყო. მიაკითხა მისი ბავშვობის მეგობარს, რომელიც იყო აჭარაში მინისტრის მოადგილე და სთხოვა შენობის შეძენაში დახმარებოდა. რამდენიმე შენობა მოინახულეს და ბოლოს არჩევანი სადავო ნაგებობაზე შეაჩერეს, სადაც უნდა გაეკეთებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავე-

ბელი, ჩაის მიმღები და სხვადასხვა წარმოების ობიექტი. ამის შემდეგ დაუკავშირდა მოპასუხეს, რომელსაც ჰქონდა საშუალება, დახმარებოდა შენობის შექმნაში. მართლაც, შეხვდნენ მინისტრის მოადგილეს, რომელმაც განუმარტათ, რომ შენობას ეკონომიკის სამინისტრო ყიდდა 500 000 ლარად. მათთვის ეს ფასი მისაღები იყო, მით უფრო, როდესაც თურქებთან ერთად შექმნეს ერთობლივი საწარმო ბიზნესის წარმოებისათვის. ეკონომიკის სამინისტროში განუმარტეს, რომ ისინი ქონების შექმნასთან დაკავშირებით საკითხს ვერ წყვეტდნენ და უნდა მიემართათ თბილისში დეპარტამენტისათვის. დეპარტამენტში სიტყვიერად დაპირდნენ, რომ შენობას მიყიდდნენ, ოღონდ 750 000 ლარად, თან ეს თანხა ანგარიშზე უნდა შეეტანათ. მოპასუხეს თანხა თავისმა ძმამ გადმოურიცხა და 750000 ლარი დაიდო ანგარიშზე. სამინისტროში განუცხადეს, რომ შენობას სამ თვეში მიჰყიდდნენ. აღნიშნულის შემდეგ დაიწყეს შენობის კეთილმონყოლა, დაამონტაჟეს თურქების მიერ მოტანილი დანადგარები, თუმცა სამი თვის შემდეგ შენობის შესაძენად მოსთხოვეს 1 200 000 ლარი, რომლის გადახდაც შეუძლებელი იყო. ამიტომ, მოპასუხემ დაწერა განცხადება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

21. სააპელაციო პალატამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს იჯარის ხელშეკრულებიდან.

22. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს.

23. მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

24. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე საიჯარო ქირის დავალიანების გადახდევინება და ამ თანხის გადახდის დაყოვნებისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 581-ე, 588-ე, 417-ე მუხლებიდან.

25. მოპასუხემ, წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელესთან იჯარის ხელშეკრულების გაფორმება გამოწვეული იყო საიჯარო ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცე-

მის შეპირებით, რაც არ განხორციელდა და, მიუხედავად მოიჯარის მოთხოვნისა, სამი თვის ვადაში შეენწყვიტა იჯარის ხელშეკრულება, იგი შენწყვიტა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, რაც მოსარჩელის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას ადასტურებს და გამორიცხავს საიჯარო ქირის დავალიანებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

26. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის ასევე უნდა გაირკვეს იჯარის ხელშეკრულება დადებული იყო თუ არა იმ პირობით, რომ სამ თვეში მოხდებოდა საიჯარო საგნის მოპასუხისათვის (მოიჯარისათვის) პირდაპირი მიყიდვა.

27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 102-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა საპროცესო ვალდებულებაა, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცონ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. მოსარჩელემ მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება. მოპასუხე კი დაეყრდნო მონმის ჩვენებას, ასევე მოსარჩელისადმი 2013 წლის 23 იანვრის წერილს, 2014 წლის 27 მარტის და 16 ივნისის განცხადებებს.

28. სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების ანალიზის საფუძველზე დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: 2013 წლის 6 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულებით მოპასუხეს 5 წლის ვადით გადაეცა 18233 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 3650.60 კვ.მ შენობა-ნაგებობა. ყოველწლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 186000 ლარის ოდენობით. საიჯარო ქირის ყოველთვიური გადასახადი შეადგენდა 15500 ლარს.

29. საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტაზე მოთხოვნის მიუხედავად, „მოიჯარეს“ „მეიჯარისათვის“ ხელშეკრულების 3.1.5. მუხლის შესაბამისად, თავის სანაცვლოდ ახალი მოიჯარე არ შეუთავაზებია; მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 5 წლით იყო განსაზღვრული, მეიჯარემ ხელშეკრულება შეწყვიტა პირველი საიჯარო წლის დასრულებისთანავე და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხოლოდ ერთი წლის საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

30. ამ ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ

მოიჯარემ უფლება არამართლზომიერად განახორციელა, ვინაიდან, სსკ-ის 588-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მეიჯარისათვის მისაღები მოიჯარის ჩანაცვლებით, რაც ასევე გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით და რაც მოპასუხეს არ განუხორციელებია, აღნიშნული კი გამორიცხავს მეიჯარის მოქმედების არამართლზომიერად მიჩნევის შესაძლებლობას.

31. სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ ვიდრე არ მოხდებოდა მოიჯარის მიერ სანაცვლოდ სხვა პირის ხელშეკრულებაში ჩანაცვლება, მეიჯარეს არათუ საიჯარო წლის დასრულებამდე, არამედ სკ-ის 588-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საიჯარო ურთიერთობის დასრულებამდე 5 წლის განმავლობაში შეეძლო ქირის მოთხოვნა, რაც არ განახორციელა და, კანონით მინიჭებული ამ უფლების ნაცვლად, პირველი საიჯარო წლის დასრულებისთანავე შეწყვიტა ხელშეკრულება.

32. რაც შეეხება მოპასუხის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს (მონმის ჩვენება, სააგენტოსადმი გაგზავნილი განცხადება, წერილები) სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული მტკიცებულებები არ არის საკმარისი, რათა დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ იჯარის ხელშეკრულების გაფორმება გამოწვეული იყო საიჯარო ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემაზე შეპირებით, ვინაიდან, საქმეში განთავსებული მოპასუხის წერილები მოსარჩელე სააგენტოს თავმჯდომარისადმი არ შეიცავს ინფორმაციას ასეთი დაპირების არსებობის თაობაზე. პირიქით, წერილებში დაფიქსირებულია თხოვნა სააგენტოს თავმჯდომარისადმი, მათი მხრიდან გამოვლენილი ყოფილიყო ნება ქონების მიყიდვაზე, რის შემდეგაც მოპასუხე შეძლებდა სათანადო ინვესტიციის ჩადებას.

33. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის შუამდგომლობით დაკითხული მონმის ჩვენებით ასევე არ დასტურდება სათანადო უფლებამოსილი პირის მიერ დაპირება. სარწმუნოდ ვერ მიიჩნევა მონმის ჩვენება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ, შესყიდვის მიზნით, მათი მხრიდან განხორციელდა 750000 ლარის ბიუჯეტში ჩარიცხვა, ვინაიდან ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

34. ამდენად, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე დაპირება და შემდგომში პრივატიზაციის მიზნით ამ ქონებაზე იჯარის ხელშეკრულების გაფორმება.

35. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრი-

ვი შეფასებისას, სსკ-ის 581-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 588-ე მუხლის პირველის ნაწილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა 2014 წლის 6 მარტიდან 2014 წლის 8 დეკემბრამდე (ხელშეკრულების შეწყვეტამდე) რვა თვის საიჯარო ქირის დავალიანების – 142000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

36. აპელანტის (მოსარჩელე) მოთხოვნაზე საიჯარო ქირის გადაუხდელობისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილით, 417-418-ე მუხლებით და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში პირგასამტეხლო წერილობით არის შეთანხმებული მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

37. ამავ ე კოდექსის 420-ე მუხლი იძლევა პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას. პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამოწვევის შემთხვევაა, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამოება ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ.

38. როგორც აღინიშნა, იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს განაკვეთი გადაუხდელი თანხის 0,1%-ია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რამაც, სარჩელის წარდგენის დროისათვის შეადგინა 32046 ლარი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლო – 32046 ლარი შეუსაბამოდ მაღალია, შესაბამისად, უნდა შემცირდეს, განისაზღვროს 3204,6 ლარით და დაეკისროს მოპასუხეს.

39. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოთხოვნა

ნა ხელშეკრულების 3.1.7. მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან ჩათვალა, რომ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ხელშეკრულების 6.2. მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, სრულად უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების თაობაზე და დამატებით მოპასუხისათვის 23000 ლარის დაკისრება გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას. ამდენად, აპელანტის მოთხოვნა 23000 ლარის დაკისრების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პირველი კასატორის (მოპასუხე) მოთხოვნა და საფუძვლები:

40. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივებით:

41. კასატორმა აღნიშნა, რომ აპელანტს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე შეტანილ შესაგებელში მხარეს მითითებულ საკითხზე არ უმსჯელია. ამდენად, სსსკ-ის 377-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას სააპელაციო პალატისათვის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები სავალდებულო იყო. სსსკ-ის 377-ე მუხლი ადგენს გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლებს, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლებით, ხოლო ფაქტობრივი გარემოებების შემოწმებისას ამოწმებს სააპელაციო საჩივარში მითითებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დასაბუთებულ პრეტენზიას და მითითებას შესაბამისად იმ მტკიცებულებებზე, რომელთა შეფასების შედეგად სხვა ფაქტი უნდა დაედგინა სასამართლოს ვიდრე დაადგინა და ფაქტების არასწორად დადგენამ გავლენა მოახდინა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უსამართლობაზე და დასაბუთებულობაზე. ასეთი კი სააპელაციო საჩივარში მითითებული არ აყო, შესაბამისად პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება სავალდებულო იყო სააპელაციო სასამართლოსათვის. აქედან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.6 პუნქტზე, სადაც სააპელაციო სა-

სამართლო მიუთითებს, რომ გაურკვეველია თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით იქნა უდავო ფაქტობრივ გარემოებად დადგენილი, რომ მოპასუხის მიერ ქონების იჯარით აღების დროს, მის ინტერესს მისი შესყიდვა წარმოადგენდა და უფრო მეტიც თითქოსდა აღნიშნულზე მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება და აგრძელებს მსჯელობას და რევიზიას უკეთებს იმ ფაქტებს, რომელიც არ წარმოადგენდა სააპელაციო საჩივარის საფუძველს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ამკარად სახეზეა სსსკ-ის ნორმების დარღვევა.

42. კასატორის მოსაზრებით, სადავო ქონების იჯარით გადაცემისას შენობა-ნაგებობა იყო გაპარტახებული. დადგენილია, რომ იჯარის თანხა ყოველწლიურად შეადგენდა 186 000 ლარს, ანუ ყოველთვიურად – 15 500 ლარს. მითითებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოსარჩელემ სხვა მოიჯარეს იგივე ქონება გადასცა თვეში 5000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, რის შესახებ ხელშეკრულება საქმეშია წარმოდგენილი. კასატორისათვის დაკისრებული სამი თვის იჯარა – 45000 ლარი ამჟამინდელმა მოიჯარემ უნდა გადაიხადოს 9 თვის განმავლობაში. თავად იჯარის თანხაც იყო საბაზრო ფასებთან შეუსაბამო. სოფელ ხუცუბანში შეუძლებელია ისეთი ბიზნესის წარმოება, რომლის პირობებშიც ყოველთვიურად მარტო საიჯარო ქირა შეადგენდა 15500 ლარს.

43. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე და არ გაითვალისწინა დადასტურებული ფაქტი, რაც იჯარის ხელშეკრულების დადებას უსწრებდა წინ. კერძოდ, მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება, რომ 3 თვის საიჯარო ქირის ერთდროულად გადახდის შემთხვევაში, ქონების მიყიდვის პირობებში აღნიშნული თანხა ნასყიდობის გადასახდელ ოდენობას გამოაკლდებოდა, რაც დაადასტურა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა სასამართლო პროცესზე. აღნიშნულის პასუხად სააპელაციო სასამართლო დაინტერესდა, მოსარჩელის წარმომადგენელი ადასტურებდა თუ არა ნამდვილად, რომ სადავო უძრავი ქონების ყიდვაზე იყო მოლაპარაკება, რა დროსაც სასამართლო იყო ტენდენციური და მიანიშნა მოწინააღმდეგე მხარეს, რომ ეს ფაქტი არ უნდა დაედასტურებინა.

44. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის დასაბუთება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით ადმი-

ნისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლების გამოყენებაზე, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია გარკვეული მიზნის მისაღწევად, ამასთან, მას ამ უფლების გამოყენების უფლება აქვს და არა ვალდებულება. გაურკვეველია მოცემულ ნორმაზე მითითების საფუძველი. თუ მონინალმდევე მხარე კასატორს იჯარის გადაცემული ქონების მიყიდვაზე ეტყოდა უარს, ძალით ამ უფლების განხორციელება ვერ განხორციელდებოდა. სავარაუდოდ სასამართლო გულისხმობდა, რომ მიზანს წარმოადგენდა მოტყუებით დადებული იჯარის ხელშეკრულებით მიღებული თანხა. სააპელაციო პალატამ, მართალია, დაადგინა, რომ კასატორის სამ წერილზე მოსარჩელეს რეაგირება არ მოუხდენია, თუმცა აღნიშნული ფაქტი სამართლებრივად არ შეაფასა და არ იმსჯელა ადმინისტრაციული ორგანოს, თუნდაც იჯარის ხელშეკრულების მონაწილე მხარის ვალდებულებაზე, გაეცა დასაბუთებული პასუხი, თუ რატომ ვერ შეწყვეტდა იჯარის ხელშეკრულებას და განახორციელებდა თუ არა მის დისკრეციულ უფლებამოსილებას.

45. კასატორმა განმარტა, რომ იჯარის საგანზე პრეტენზიას აცხადებდა მესამე პირი, შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა ნაკლიან ნივთზე, რაც კასატორისათვის მოგვიანებით, იჯარის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გახდა ცნობილი, მოსარჩელემ კი დაადასტურა, რომ მან ხელშეკრულების დადებისას იცოდა ამის შესახებ. სააპელაციო პალატამ არ შეაფასა მითითებული გარემოება, რითაც დაარღვია სსკ-ის 533-ე და 534-ე მუხლების მოთხოვნები.

46. კასატორის განმარტებით, იჯარის ხელშეკრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. თუ ქონებას ვერ შეისყიდოდა სახელმწიფოსაგან, ვერც სანარმოს შექმნიდა, ბიზნეს გეგმაც ამ მიზნით იქნა წარდგენილი.

47. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა კანონი და არ გამოიყენა მოცემული ურთიერთობის მომწესრიგებელი სსკ-ის 581-ე მუხლის მეორე ნაწილი. სსკ-ის 561-ე მუხლის თანახმად, კასატორმა მონინალმდევე მხარეს მიმართა 2014 წლის 23 იანვარს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით. მოცემული მომენტიდან სამი თვის განმავლობაში სააგენტოს შეეძლო, მოეშალა ხელშეკრულება და სახელმწიფოს ზარალი არ მიადგებოდა, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში საიჯარო ქირა მოიჯარემ გადაიხადა და ქონებით არ უსარგებლია.

მეორე კასატორის (მოსარჩელის) მოთხოვნა და საფუძვლები

48. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემაც, მოითხოვა მისი ნაწილობრივი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

49. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეამცირა პირგასამტეხლო 3204,6 ლარამდე (90%-ით). ასევე, მხარე არ დაეთანხმება სასამართლოს შეფასებას მოპასუხეებისათვის 23 000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სარჩელის უსაფუძვლობასთან მიმართებით.

50. კასატორის განმარტებით, 2013 წლის 6 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განისაზღვრა მოიჯარის ვალდებულება – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაეხადა პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ დარღვეულ დღეზე.

„სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1/1/172 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი და პირობები რეგულირდება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №326 დადგენილებით. ხოლო, თავის მხრივ, „სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №326 დადგენილების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დგინდება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება შესაბამისი პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება სააუქციონო ან/და სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე შემდეგი წესით: სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყო-

ველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამრიგად, ხელშეკრულების 6.2 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს და გამომდინარეობს მათგან, შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრება, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, ვინაიდან იგი გამომდინარეობს ნორმატიული აქტების სავალდებულო დანაწესიდან.

51. კასატორის მოსაზრებით, სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას კანონის ფარგლებში განსაზღვრეს ხელშეკრულების შინაარსი და შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა პირობაზე, მათ შორის, პირგასამტეხლოს ოდენობაზე. ამრიგად, მხარეთა შორის ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლო – საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი თანხის 0,1%. სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 420-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და შეამცირა მისი შეხედულებით შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

52. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატას არ უმსჯელია, რა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები დაედო საფუძვლად პირგასამტეხლოს შემცირებას ან რა მოტივით შემცირდა პირგასამტეხლო მოცემული ოდენობით. სასამართლოს მსჯელობა ამ ნაწილში სრულიად დაუსაბუთებელია. ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, მოთხოვნილი თანხა შეემცირებინა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს მოტივაციით.

53. კასატორის მოსაზრებით, რაც შეეხება 3.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრებას, აღნიშნული მუხლის თანახმად, მოიჯარე ვალდებული იყო, ქონებით სარგებლობისას დაეცვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და მათ შესრულებაზე სააგენტოსათვის წარედგინა ინფორმაცია წერილობითი მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო ხელშეკრულების 6.3 მუხლით განისაზღვრა მოიჯარის ვალდებულება ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების (გარდა საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების) დარღვევის შემთხვევაში გადაეხადა პირგასამტეხლო 200 ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

54. კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი დო-

კუმენტების შესაბამისად, დგინდება, რომ ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე სააგენტოს წერილი მოპასუხეს ჩაბარდა 2014 წლის 16 ივლისს. მიუხედავად აღნიშნულისა, მხარეს არ წარმოუდგენია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაცია, რის გამოც, ხელშეკრულების 6.3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოპასუხეს ეკისრება პირგასამტეხლო 23000 ლარის ოდენობით. 3.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.3 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო მხარეს ეკისრებოდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ მოპასუხისათვის 23 000 ლარის დაკისრება გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული. ვინაიდან პირგასამტეხლოს სახით 23 000 ლარის დაკისრება გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, სასამართლო უფლებამოსილი არ იყო, მხარე სრულად გაეთავისუფლებინა აღნიშნული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან (მას მხოლოდ შეეძლო სსკ-ის 420-ე მუხლის გათვალისწინებით, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შეემცირობინა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო).

55. ამდენად, კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით აბსოლუტურად უგულვებელყო მხარეთა მიერ გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, იმ პირობებში, როდესაც უტყუარად დგინდება მოიჯარის მიერ 3.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა და ამავე ხელშეკრულების 6.3 მუხლით პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ მხარეთა ნების გამოვლენა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ხელშეკრულების 6.2 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო სრულად უზრუნველყოფდა მოსარჩელის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს არ გამოუყენებია სსკ-ის 417-ე, 418-ე, 419-ე მუხლები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა. მხარეებს შეეძლოთ თავისუფლად განესაზღვრათ პირგასამტეხლოს ოდენობა, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, ამდენად, სასამართლოს მოსაზრება, რომ 6.2 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო სრულად უზრუნველყოფდა მოსარჩელის ზიანის ანაზღაურებას, ყოვლად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან.

56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინებით – მეორე კასატორის (მოსარჩელის), ხოლო ამავე წლის 10 ოქტომბრის განჩინებით პირველი კასატორის (მოპასუხის) საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე – საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. ამავე განჩინებით გადაწყდა, რომ საკასაციო საჩივრები განხილულიყო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

57. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

58. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

59. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე დაადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პპ: 8-19), პირველ კასატორს (მოპასუხეს) არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია, რის გამოც ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

60. სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტს (მოსარჩელე, მეორე კასატორი) სადავოდ არ გაუხდია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოსათვის სსსკ-ის 377-ე მუხლის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მი-

ერ დადგენილი ფაქტები სავალდებულო იყო. (იხ. საკასაციო საჩივარი, პ.1-3). საქმეში განთავსებული სააპელაციო საჩივრის შინაარსიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ აპელანტი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ შორის, (მოპასუხე, პირველი კასატორი) ქონების იჯარით აღების დროს მოიჯარის მიერ მისი შესყიდვის ინტერესთან დაკავშირებით.

61. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, მხრეები მიზნად ისახავდნენ სამეურნეო დანიშნულებით, სარგებლის მიღების მიზნით, ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების დადებას. ამდენად, მხარეებს შორის დადებულია სსკ-ის 581-ე მუხლით გათვალისწინებული იჯარის ხელშეკრულება.

62. სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შეხედულებებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსკ-ის მე-4 მუხლი). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის საფუძველად მითითებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები), რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მითითებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

63. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტების ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს, ანიჭებს ხელშეკრულების ორივე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებებსა და აკისრებს გარკვეულ მოვალეობებს.

ლებებს. ხელშემკვრელ მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების იდენტიფიცირებას გააჩნია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ პროცესუალური მნიშვნელობა, რამდენადაც თითოეული მათგანი პასუხისმგებელია სწორედ მისი წილი ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე (მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით), ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, სადავობისას მასვე ეკისრება ამ ვალდებულების არსებობის გამომრიცხველი ან მისი შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა (საპროცესო-სამართლებრივი კუთხით). იმ ვითარებაში, როდესაც სადავოა იჯარის ხელშეკრულების დადება საიჯარო ქონების შესყიდვის პირობით, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილებაა საქმეზე დასაბუთებული და სამართლებრივად სწორი გადანაცვტილების გამოტანის წინაპირობა.

64. სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება პირველი კასატორის (მოპასუხე, მოიჯარე) მოსაზრება მეიჯარის დაპირებაზე საიჯარო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე, რამაც განაპირობა თითქოსდა მხოლოდ ამ მიზნით შემდგომში იჯარის ხელშეკრულების დადება.

65. საკასაციო პალატა აღნიშნავს: საიჯარო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია, რომ მეიჯარე ვალდებულია საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა (სსკ-ის 581-ე მუხლის პირველი ნაწილი). ეს ნიშნავს იმას, რომ მოიჯარეს ქონება სარგებლობაში უნდა გადაეცეს სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და იჯარის მთელი დროის განმავლობაში მეიჯარემ უნდა შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში ნივთის „ვარგისინობა“ გულისხმობს ნაყოფის მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს ქირავნობის წესები სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 533-ე მუხლის თანახმად, გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

66. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იჯარის ურთიერ-

თობების ქრილში ამ ნორმის გამოყენება უნდა გაგებულ იქნეს იმ თავისებურებებით, რაც დამახასიათებელია იჯარის ხელშეკრულებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ იჯარის ხელშეკრულება (განსხვავებით ქირავნობისაგან) ითვალისწინებს სამეურნეო დანიშნულებას, იჯარით გაცემული (გაქირავებული) ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ ნივთი იძლევა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას.

67. იჯარით გაცემული ქონების ნივთობრივი ნაკლის თაობაზე (იჯარით გადაცემული ქონება იყო გაპარტახებული) პირველი კასატორის (მოპასუხე) პრეტენზიასთან მიმართებით (იხ. საკასაციო საჩივარი) საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს, რადგან ეს გარემოება მოიჯარის მიერ არ ყოფილა სადავოდ გამოხდარი არც შესაგებლით და არც სააპელაციო შესაგებლით. აგრეთვე მხედველობაშია მისაღები მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების 4.2 მუხლით გათვალისწინებული იჯარით გადაცემული ქონების ნივთობრივ ნაკლთან დაკავშირებით გათვალისწინებული მონესრიგება.

68. კასატორის პრეტენზია საიჯარო ქონების უფლებრივ ნაკლთან დაკავშირებით, ასევე ვერ გახდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგან საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გათვალისწინებით, ამას ხელი არ შეუშლია მოიჯარისათვის იჯარით აღებული ქონება გამოეყენებინა სარგებლობის მიზნებისათვის.

69. კასატორის (მოპასუხე) შემდეგი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო პალატამ, მართალია, დაადგინა, რომ კასატორის სამ წერილზე მოსარჩელეს რეაგირება არ მოუხდენია, თუმცა აღნიშნული ფაქტი სამართლებრივად არ შეაფასა და არ იმსჯელა ადმინისტრაციული ორგანოს, თუნდაც იჯარის ხელშეკრულების მონაწილე მხარის ვალდებულებაზე, გაეცა დასაბუთებული პასუხი, თუ რატომ ვერ შეწყვეტდა იჯარის ხელშეკრულებას და განახორციელებდა თუ არა მის დისკრეციულ უფლებამოსილებას (იხ. საკასაციო საჩივარი). საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში კასატორმა (მოპასუხე) წარმოადგინა დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია.

70. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, მხარეები მიზნად ისახავდნენ სამეურნეო დანიშნულებით, სარგებლის მიღების მიზნით, ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების დადებას. ამდენად, მხარეებს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება, კერძოდ, სსკ-ის 581-ე მუხლის თანახ-

მად, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა, გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა, გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება, განისაზღვროს, როგორც ფულით, ისე, ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებაზეც, შესაბამისად, მხარეთა ურთიერთობაზე ვრცელდება საიჯარო ხელშეკრულების ინსტიტუტი, ასევე ქირავნობის სახელშეკრულებო წესები ზემომითითებული მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტის გათვალისწინებით.

71. სსკ-ის 531-ე და 581-ე მუხლების სამართლებრივი ნაწინამდევრები ქირავნობისა და იჯარის სამართალურთიერთობის შემთხვევაში გამიჯნა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში №ას-738-700-2015, 18 დეკემბერი, 2015 წელი, რომელშიც განმარტა, რომ, მიუხედავად იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებების მსგავსებისა (მათი საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი, ორივე შემთხვევაში ნივთი მხარეს გადაეცემა სარგებლობაში, ორივე სასყიდლიანია და ა.შ), მათ შორის არსებობს განსხვავება, რაც განაპირობებს საიჯარო ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტში განსხვავებულად, სსკ-ის 581-606-ე მუხლებით მონესრიგების აუცილებლობას. ამ განსხვავების საილუსტრაციოდ სსკ-ის 531-ე და 581-ე მუხლების სამართლებრივი კონსტრუქციების შედარება სრულიად საკმარისია: „ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა“, [„იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“]. ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი

გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც, არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს [სსკ-ის 147-ე მუხლი], ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძღოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“).

72. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე საიჯარო ქირის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველად გამოიყენა სსკ-ის 588-ე მუხლი, რასაც საკასაციო პალატა არ ეთანხმება შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

73. სსკ-ის 588-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი – საიჯარო ქირის გადახდა საიჯარო ურთიერთობის დამთავრებამდე – ნორმით გათვალისწინებული ყველა წინაპირობის შესრულების (განხორციელების) შემთხვევაში, გულისხმობს საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდას და არა მთელი დარჩენილი პერიოდის ქირის ზიანის სახით ერთდროულად დაკისრებას. შესაბამისად, რომც იყოს შესრულებული ამ ნორმით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი წინამძღვარი: ა) მხარეთა შორის განსაზღვრული ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება, ბ) ხელშეკრულების ვადამდე მოშლაზე შეთანხმების არარსებობა, გ) მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, დ) მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მეიჯარისათვის მფლობელობაში დაბრუნება, ე) ამ უკანასკნელის მიერ მეიჯარისათვის თავის სანაცვლოდ ახალი, გადახდისუნარიანი და მისაღები მოიჯარის შეუთავაზებლობა), ის სამართლებრივი შედეგი, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მაინც ვერ მიიღწევა, რადგან საქმის მასალებიდან გამომდინარე, იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა (შენწყვეტა) მოხდა არა მოიჯარის, არამედ მეიჯარის მიერ. შესაბამისად, ქირის გადახდის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს არა სსკ-ის 588-ე მუხლი, არამედ, სსკ-ის 553-ე, 581.1 მუხლები.

74. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 6 დეკემბერს, ხოლო მეიჯარის ცალმხრივი ნების გამოვლენით შეწყდა 2014 წლის 8 დეკემბერს. დადგენილია, რომ მოიჯარემ 2014 წლის 23 იანვარს წერილობითი განცხადებით მიმართა მეიჯარეს და ითხოვა, რომ

2013 წლის 6 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება მიეყიდათ მისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით. ქონების მიყიდვის შემთხვევაში, მხარე გეგმავდა სერიოზული სანარმოო კომბინატის შექმნას, სადაც დასაქმდებოდა 70 სოფლის მაცხოვრებელი. შეთავაზებასთან ერთად წარდგენილი იქნა მოკლე ბიზნეს გეგმა, სამომავლო ღონისძიებებთან დაკავშირებით, თუკი მიეჯარის მხრიდან იქნებოდა თანხმობა ობიექტი მიეყიდათ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ამასთან, შესყიდვის თანხა ხელმისაწვდომი იქნებოდა მისთვის.

75. მოპასუხემ (მოიჯარემ) წერილში აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე მის მიერ გადახდილი 45000 ლარი ჩათვლილიყო პირველი 3 თვის ქირაში, რათა მას არ დარიცხოდა პირგასამტეხლო, შემდგომში კი შეეწყვიტათ იჯარის ხელშეკრულება. 2014 წლის 27 მარტს მოპასუხემ მოსარჩელეს მიმართა განცხადებით და მოითხოვა ინფორმაცია, 2014 წლის 23 იანვრის წერილის საფუძველზე შეწყდა თუ არა მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა, ადრესატისაგან პასუხი არ მიუღია.

76. 2014 წლის 16 ივნისს მოპასუხემ კვლავ მიმართა მოსარჩელეს და განცხადებაში მიუთითა, რომ იჯარით ჰქონდა აღებული 18233 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 3650.60 კვ.მ შენობა-ნაგებობა. განმცხადებელმა მოითხოვა 2013 წლის 6 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა და საიჯარო ქონების აუქციონის ფორმით შეძენაზე თანხმობის მიცემა. აღნიშნული განცხადებაც დარჩა რეაგირების გარეშე.

77. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2014 წლის 23 იანვრის წერილთან დაკავშირებით პასუხი გაიგზავნა 2014 წლის 22 ოქტომბერს, სადაც დაფიქსირებულია, რომ სააგენტოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია საიჯარო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება წარმოდგენილი საინვესტიციო პირობებით. ამასთან, მიმდინარეობს იჯარის ხელშეკრულებით გაცემულ ქონებაზე სხვა პირის მოთხოვნით საქმის წარმოება სააღსრულებო ბიუროს მიერ და სადავო საკითხის დასრულების შემდეგ მოსარჩელე მზად არის, განიხილოს უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების მიზნობრიობის საკითხი.

78. სააპელაციო სასამართლომ მართალია არ მიიჩნია დადგენილად მოიჯარის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ იჯარის ხელშეკრულების გაფორმება გამონვეული იყო საიჯარო ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემაზე შეპირებით და მიუთითა, რომ მონმის ჩვენება, სააგენტოსადმი გავ-

ზავნილი განცხადება, წერილები არ იყო საკმარისი, რათა დადასტურებულიყო ეს გარემოება – პპ: 32-34, თუმცა, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე, რომელსაც ყველა მართლწესრიგი ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს და წარმოაჩენს მას თანამედროვე სამართლისა და ბიზნესის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად.

79. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას.

80. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია.

81. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივსადაეი ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

82. კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია ეკისრება: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემაჯავებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომ-

ლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია.

83. კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

84. კეთილსინდისიერების პრინციპი უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონტრაჰენტის ინტერესების გათვალისწინებას, რომლის არარსებობის შემთხვევაში ადგილი აქვს უფლების ბოროტად გამოყენებას¹. იგი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის შეფასებით კრიტერიუმს, რომლის შესაბამისადაც, სამართლიანისა და უსამართლოს გამიჯვნის გზით, პირი იღებს ობიექტური დამკვირვებლის შეფასებით ყველაზე სამართლიან გადაწყვეტილებას. კეთილსინდისიერების პრინციპი ქართულ სამართლო პრაქტიკაში მიჩნეულია უშუალოდ მოქმედ სამართლად და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად², რომლის მიზანი სამართლიანი შედეგის დადგომა და უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა³.

85. კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება აქტუალური ხდება მაშინ, როცა პირის მოთხოვნა ან ქმედება ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობას, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა⁴. შესაბამისად, მისი ფუნქცია აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს⁵.

86. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით, თითოეული მხარე ვალდებულია მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის ფარგლებში, რაც არ შე-

¹ სუს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1338-1376-2015.

² სუს 2012 წლის 21 მაისის განჩინება საქმეზე №ას-221-213-2012.

³ სუს 2011 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე №ას-23-18-2011.

⁴ სუს 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-528-501-2015.

⁵ სუს 2015 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-549-521-2015.

იძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს ხელშეკრულებით⁶. კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპის პრინციპი მიჩნეულია ყოველისმომცველ პრინციპად, თუ არ არის დადგენილი კონკრეტული შემთხვევისთვის სპეციალური დანაწესი⁷.

87. კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპები ნაცნობია როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის ვენის კონვენციისთვის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ (CISG)⁸, ასევე საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპებისათვის (UNIDROIT) და ისინი მოიაზრება როგორც გენერალური საფუძვლები ამ აქტებისათვის (მუხლი 7(1) CISG; მუხლი 1.2. PICC). მისი შინაარსი საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტიზაციას ცალკეულ მოთხოვნებში, კერძოდ ურთიერთგამომრიცხველი მოქმედებების აკრძალვაში, ასევე ორმხრივ ინფორმირებულების ვალდებულებაში ჰპოვებს⁹.

88. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით.

89. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ხელშეკრულების ყოველ მხარეს ვალდებულების შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ავალდებულებს გამოიჩინოს მეორე მხარის ქონებისა და უფლებებისადმი გულისხმიერება. გულისხმიერების ვალდებულება მხარეებისათვის

⁶ Principles of European Contract Law (PECL), Art. 1:201.

⁷ Lando O., Is Good Faith an Over-Arching General Clause in The Principles of European Contract Law?, *European Review of Private Law*, 6-2007, Kluwer Law International, 842.

⁸ Convention on Contracts for the International Sale of Goods; საქართველში რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის №407 დადგენილებით. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/37228>> [15.06.2016]

⁹ Magnus U., Die UNIDROIT Principles und die Wiener Kaufrechtskonvention, *The UNIDROIT Principles 2004, Their Impact on Contractual Practice, Jurisprudence and Codification, Reports of the ISDC Colloquium (8/9 June 2006)*, Zürich 2007, 59.

დამატებითი ვალდებულების დაკისრებას არ გულისხმობს, ყოველთვის ვალდებულების შინაარსშივე მოიაზრება და ერთგვარ მორალურ კატეგორიას განეკუთვნება. იგი შეიძლება გულისხმობდეს ასევე წინასახელშეკრულებო პერიოდში მხარის მიერ განხორციელებული ქმედებებისადმი პატივისცემას, აგრეთვე მისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება-საც.

90. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში (მუხლი 1:202) გულისხმიერების ვალდებულება ნახსენებია როგორც Duty of Co-operate, რაც შეიძლება გაგებული იქნეს როგორც გულისხმიერებად, ასევე თანამშრომლობის ვალდებულებად. ამ პრინციპის დარღვევა წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას და ამ დროს გამოიყენება ვალდებულების დარღვევის დროს გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, მოვალეს შეუძლია მიუთითოს ამ საფუძვლებზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კრედიტორმა დაარღვია გულისხმიერების ვალდებულება¹⁰.

91. მოცემულ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს (მეიჯარე) მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოდენ იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლება.

92. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების 6.5 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლის (შენწყვეტის) საფუძველი წარმოიშვა მეიჯარის მიერ 2014 წლის 23 ივნისის №4/23204 წერილის მოიჯარისათვის ჩაბარებიდან – 2014 წლის 16 ივლისიდან, ხოლო ხელშეკრულება კი მოიშალა (შენყდა) 2014 წლის 8 დეკემბერს, ანუ 2014 წლის 16 ივლისიდან 2014 წლის 8 დეკემბრამდე მეიჯარის მხრიდან არანაირი მოქმედება არ განხორციელებულა, რასაც ადასტურებს თავად მეიჯარეც.

93. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 561-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. შესაბამისად, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, მოი-

¹⁰ Lando O., Beale H.G., Principles of European Contract Law, Parts I and II, Kluwer Law International, London/Boston, 2000, 120.

ჯარის მიერ მეიჯარისათვის ჯერ კიდევ 2014 წლის 23 იანვარს გაგზავნილი წერილით დასტურდება, რომ მას ინტერესი ჰქონდა დაკარგული იჯარის ხელშეკრულების მიმართ, მეიჯარეს 2014 წლის 16 ივლისიდან (მეიჯარის მიერ 2014 წლის 23 ივნისის №4/23204 წერილის მოიჯარისათვის ჩაბარებიდან) გონივრულ ვადაში, რომელიც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შეადგენს ერთ თვეს – 2014 წლის 16 აგვისტო, შეეძლო მოეშალა იჯარის ხელშეკრულება ხელშეკრულების 6.5 პუნქტისა და სსკ-ის 558-ე და 561-ე მუხლების საფუძველზე.

94. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი კასატორის (მოპასუხე, მოიჯარე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი და შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია.

95. სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

96. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

97. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი კასატორის (მოპასუხე, მოიჯარე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს: ი.ა კ.-ეს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2014 წლის 06 მარტიდან 2014 წლის 16 აგვისტომდე საიჯარო ქირის დავალიანების 82,670 ლარის გადახდა.

98. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს მეორე კასატორის (მოსარჩელე, მეიჯარე) პრეტენზიას, რომ სააპელაციო პალატას არ უმსჯელია, რა კონკრეტული ფაქტობრივი გარე-

მოებები დაედო საფუძვლად პირგასამტეხლოს შემცირებას ან რა მოტივით შემცირდა პირგასამტეხლო მოცემული ოდენობით. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და არ დაუკონკრეტებია, თუ რატომ მიიჩნია ძირითად შეუსრულებელ ვალდებულებასთან თანაფარდობის გათვალისწინებით შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს სააგენტოს მიერ მოთხოვნილი თანხა. ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, მოთხოვნილი თანხა შეემცირებინა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს მოტივაციით. კასატორის მოსაზრებით, „ხელშეკრულების 6.2 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს, გამომდინარეობს მათგან და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, ვინაიდან იგი გამომდინარეობს ნორმატიული აქტების სავალდებულო დანაწესიდან“.

99. კასატორის ამ პრეტენზიასთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება.

100. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იგივე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან. (საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Gottwald, in MuKo BGB, 6. Aufl. Band II §340,Rn.15; Rieble in Staudinger BGB Komm, Buch 2, Neubearbeitung 2009, §340,Rn.71; BGH NJW 1975, S. 164f. Walchner in Dauner-Lieb/Langen BGB Komm. 2.Aufl.,Rn.6; BGH NJW 1963, S.1197.).

101. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზე დამოკიდებული.

102. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

103. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.

104. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანონისმიერ და სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს. კანონისმიერად ითვლება პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა დადგენილი. მაშასადამე, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ – გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).

105. კანონისმიერი პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშნად

მისი კონკრეტული ხასიათი გვევლინება. ყოველი ასეთი კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, რომლისთვისაც არის იგი დადგენილი კანონმდებლის მიერ. მეორე განმასხვავებელ ნიშნად, მისი განსაზღვრულობა გვევლინება – კანონმდებელი ყოვეთვის ადგენს მის ან კონკრეტულ ოდენობას, ანდა წესს, რომლის მიხედვითაც უნდა იქნეს განსაზღვრული კანონისმიერი პირგასამტეხლოს ოდენობა.

106. კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია, მაგალითად, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას გადაუხადოს დასაქმებულს ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტი (იხ., სუს 07.11.2011წ.-ის განჩინება №ას-1298-1318-2011). ასევე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ №177 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტი ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია, მიმწოდებლისა და აფთიაქისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ამ წესით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებლისა და აფთიაქის სასარგებლოდ გადაიხადოს 2014 წლის 8 აგვისტომდე პერიოდზე ასანაზღაურებელი თანხის 0,1%, ხოლო 2014 წლის 8 აგვისტოდან შემდგომ პერიოდზე – ასანაზღაურებელი თანხის 0,02%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მზღვეველს მთლიანი თანხის გადახდის ვალდებულებისაგან (იხ., სუს 02.02.2015წ.-ის განჩინება №ას-1171-1116-2014; სუს 24.03.2014წ.-ის განჩინება №ას-1284-1226-2013). სასამართლოს არ შეუძლია შეამციროს კანონით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა. (ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობის სასამართლოს მიერ შემცირების შეუძლებლობის შესახებ იხ., სუს 02.02.2015წ.-ის განჩინება საქმე №ას-1171-1116-2014; სუს 24.03.2014წ.-ის განჩინება საქმე №ას-1284-1226-2013).

107. შესაბამისად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ „ხელშეკრულების 6.2 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს, გამომდინარეობს მათგან და შე-

საბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ პირ-გასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, ვინაიდან იგი გამომდინარეობს ნორმატიული აქტების სავალდებულო დანაწესიდან“. (საკასაციო საჩივრის პ.3).

108. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 6 დეკემბერს დადებულ იჯარის ხელშეკრულებაში არსად არ არის მითითებული, რომ, ხელშეკრულების 6.2 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო წარმოადგენს ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს.

109. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებითაც, რომ „სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას კანონის ფარგლებში განსაზღვრეს ხელშეკრულების შინაარსი და შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა პირობაზე, მათ შორის, პირგასამტეხლოს ოდენობაზე. ამრიგად, მხარეთა შორის ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლო – საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი თანხის 0,1%, სააპელაციო სასამართლომ კი გამოიყენა სსკ-ის 420-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და შესაბამისად, არასწორად შეამცირა მისი შედეგებით შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. (საკასაციო საჩივრის პ.4,წ.5)

110. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი და დაცულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს“.

111. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების თავისუფლება მოიცავს ისეთ ორ ძირითად პრინციპს, როგორცაა ხელშეკრულების დადების თავისუფლება და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპების დაცვის მიზნით, არსებობს ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობაც.

ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს იმპერატიული ხასიათის ნორმებით. იმპერატიული ნორმები, როგორც წესი, ზოგადი ხასიათისაა და თანაბრად მოქმედებს, განურჩევლად იმისა, საქმე ეხება ნასყიდობის, ნარდობის, ქირავნობისა თუ იჯარის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს¹¹. იმპერატიული ხასიათის ნორმები ორ ძირითად მიზანს ემსახურება: ა) მხარეთა მიერ განსაზღვრული პირობები შეიძლება ჩაითვალოს ბათილად, თუ მათი შინაარსი ეწინააღმდეგება სამართლებრივ მართლწესრიგს; ბ) იმპერატიული ნორმები აწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს და უზრუნველყოფენ, რომ ხელშეკრულების დადება კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგჯერ თავად ნორმის მიზნიდან გამომდინარე დგინდება მისი იმპერატიული ხასიათი. ნორმისათვის გვერდის ავლას, სწორედ ამ ნორმის მიზანი შეიძლება კრძალავდეს. მაგალითის სახით გამოდგება სსკ-ის 420-ე მუხლი, რომლის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. აღნიშნული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ აუცილებელია მხარეები გონივრული ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მხარეები თავისუფალი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, შესაძლებელია ისინი იმ ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ, რისი გადახდევინებაც შემდგომ მძიმე ტვირთად დაანგება მოვალეს. სასამართლო ასეთ შემთხვევაში ახდენს პირგასამტეხლოს „სამართლიან“ შემცირებას ანუ სასამართლოს ამოცანაა მხარეები დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენების საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მეორე კასატორის (მოსარჩელე, მეიჯარე) პრეტენზია შეეხება აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოპასუხეს (მოიჯარეს) ეკისრე-

¹¹ იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 49; სახელშეკრულებო სამართალი (ავტორთა კოლექტივი), 2014, 104.

ბოდა პირგასამტეხლო 23000 ლარის ოდენობით. იჯარის ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.3 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო მხარეს ეკისრება და ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ მოპასუხისათვის 23 000 ლარის დაკისრება გამოინვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული. ვინაიდან პირგასამტეხლოს სახით 23 000 ლარის დაკისრება გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, სასამართლო უფლებამოსილი არ იყო, მხარე სრულად გაეთავისუფლებინა აღნიშნული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან (მას მხოლოდ შეეძლო სსკ-ის 420-ე მუხლის გათვალისწინებით, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შეემცირებინა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო).

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით აბსოლუტურად უგულებელყო მხარეთა მიერ გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, იმ პირობებში, როდესაც უტყუარად დგინდება მოიჯარის მიერ 3.1.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა და ამავე ხელშეკრულების 6.3 მუხლით პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ მხარეთა ნების გამოვლენა. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუყენებია სსკ-ის 417-ე, 418-ე, 419-ე მუხლები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა. მხარეებს შეეძლოთ თავისუფლად განესაზღვრათ პირგასამტეხლოს ოდენობა, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ 6.2 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო სრულად უზრუნველყოფდა მოსარჩელის ზიანის ანაზღაურებას, ყოვლად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან. (იხ. საკასაციო საჩივარი).

კასატორის ამ პრეტენზიასთან მიმართებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განასხვავებენ პირგასამტეხლოს ისეთ სახეებსაც, როგორცაა საურავი და ჯარიმა.

საურავი, უმეტესად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებული პირი არ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ დროში. ჯარიმისაგან განსხვავებით, შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა ვალდებულების შესრულებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობას. საურავი იცავს კრედიტორის იმ ინ-

ტერესს, რომელიც მას ვალდებულების დროული შესრულების მიმართ გააჩნია.

საურავის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი ერიცხება მოვალეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს შეასრულოს ვალდებულება. ჯარიმისაგან განსხვავებით, საურავის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველმყოფი ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი განაგრძობს დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც. საურავი ირიბი იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა: ვალდებულმა პირმა იცის, რაც უფრო მეტი დრო გავა და რაც უფრო გვიან შეასრულებს ვალდებულებას, მით მძიმე იქნება მისი ფინანსური ტვირთი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 6 დეკემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების 6.2 პუნქტი ითვალისწინებდა მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდას 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო ხელშეკრულების 6.3-ე პუნქტი კი ითვალისწინებდა მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში 200 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდას დარღვევის ყოველ დღეზე, ანუ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო (საურავი), როგორც მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადაუხდელობის, ასევე იჯარის ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევისათვის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად დგინდება, რომ ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე სააგენტოს წერილი მოიჯარეს ჩაბარდა 2014 წლის 16 ივლისს. მიუხედავად აღნიშნულისა, მხარეს არ წარმოუდგენია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაცია, რის გამოც, იჯარის ხელშეკრულების 6.3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოიჯარეს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში მეორე კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების 6.2-ე და 6.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო არის არაგონივრული და მისი ოდენობა უნდა შემცირდეს

სსკ-ის 420-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა. (იხ. სუსგ 28.12.2012წ. საქმე №ას-1560-1463-2012; სუსგ 16.05.2014წ.-ის საქმე №ას-1200-1145-2013). იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი აღემატება პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილ ე.წ. „მინიმალურ ზიანს“, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუმცა ვალდებულია ამტკიცოს ზიანის ოდენობა. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში.

პირგასამტეხლოს ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება.

საკაცაციო პალატას სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე მიაჩნია, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ 82,670 ლარის ოდენობის საიჯარო ქირის დავალიანების ნაწილში, მოიჯარეს (მოპასუხე, პირველი კასატორი) მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 6.2 პუნქტის საფუძველზე უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო 2014 წლის 6 მარტიდან 2014 წლის 16 აგვისტომდე დავალიანების თანხის 0,03%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე, რაც ჯამში შეადგენს 3969 ლარს, ხოლო ხელშეკრულების 6.3 პუნქტის საფუძ-

ველზე კი – მოიჯარეს უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო 2014 წლის 16 ივლისიდან 16 აგვისტომდე 900 ლარის ოდენობით, რაც სრულად უზრუნველყოფს მეორე კასატორის (მოსარჩელე, მეიჯარე) მოთხოვნას პირგასამტეხლოს, როგორც ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების თაობაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მეორე კასატორის (მოპასუხე, მოიჯარე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი და შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია.

სსსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მეორე კასატორის (მოსარჩელე, მეიჯარე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს: ი. კ-ეს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით უნდა დაეკისროს 4869 ლარის გადახდა.

112. რაც შეეხება სასამართლო ხარჯებს, ვინაიდან გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახ. ბაჟის გადახდისაგან კანონის საფუძველზე, ამიტომ სარჩელის, სააპელაციო საჩივრისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად ი. კ-ეს უნდა დაეკისროს ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 7920 ლარის გადახდა სსსკ-ის 53-ე მუხლის საპროცესო სამართლებრივი საფუძველით;

113. ი. კ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ვალდებულია აუნაზღაუროს ი. კ-ეს გადახდილი ბაჟიდან 3600 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ი. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
4. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
5. მოპასუხე ი. კ-ეს დაეკისროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ საიჯარო ქირის დავალიანების – 82,670 ლარის და პირგასამტეხლოს სახით – 4869 ლარის გადახდა;
6. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაეკისროს ი. კ-ის სასარგებლოდ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 3600 ლარის ანაზღაურება;
7. ი. კ-ეს დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 7920 ლარი. (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150);
8. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სსსსი

სსსსის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-712-682-2016

8 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების შემცირება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ვ. ვ-ამ (შემდეგში: მოსარჩელე, მსესხებელი ან კასატორი) 2013 წლის 25 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით შპს „ე-ისაგან“ (შემდეგში: მოპასუხე, საწარმო ან გამსესხებელი) ერთი თვით ისესხა 50 000 აშშ დოლარი. სესხის სარგებელი განისაზღვრა თვეში 3%-ით, ხოლო პირგასამტეხლო – 0,15%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 623-ე, 625-ე და 417-ე-418-ე მუხლები; იხ. ხელშეკრულება).

2. სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 25 ოქტომბერი. ხელშეკრულების მესამე პუნქტის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელი იყო თითო-თითო თვით.

3. სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვინა მსესხებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ჭიას ქ. №2-სა და ჩ-ის ქ. №7-ს შორის, კორპ. 1, ბინა 126, ს/კ 0- (სსკ-ის 286.1 და 289.1 მუხლები).

4. მსესხებელი ყოველთვიურად უხდიდა გამსესხებელს 1500 აშშ დოლარს და მის მიერ გადახდილმა თანხამ, 2013 წლის 25 სექტემბრიდან 2014 წლის 7 აპრილის ჩათვლით, ჯამში შეადგინა 9 000 აშშ დოლარი.

5. გამსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე, 2014 წლის 28 აპრილს, ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის

მიხედვითაც: ძირითადი სასესხო ვალდებულებაა 50 000 აშშ დოლარი, საპროცენტო სარგებელი – 1500 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო – 795,67 აშშ დოლარი, სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი – 126,7 ლარი (სსკ-ის 302-ე მუხლის მე-3 ნაწილი და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.5 და 40-ე მუხლები).

6. სასარჩელო მოთხოვნა

6.1. მსესხებელმა 2014 წლის 15 მაისს სარჩელი აღძრა გამსესხებლის წინააღმდეგ და მოითხოვა ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 28 აპრილს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ძირითადი ვალდებულების 11 367,67 აშშ დოლარით შემცირება და მისი განსაზღვრა 41 000 აშშ დოლარით;

6.2. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ 9000 აშშ დოლარის ნაწილში ძირითადი ვალდებულება ნაწილობრივ შეწყდა შესრულებით, ხოლო 2295,67 აშშ დოლარისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯის – 126,72 ლარის მოთხოვნა, მისი მოსაზრებით, უსაფუძვლო იყო.

7. მოპასუხის შესაგებელი

7.1. სანარმომ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა და მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილი 9000 აშშ დოლარი წარმოადგენდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6 თვის პროცენტს, რაც თვეში 1500 აშშ დოლარს შეადგენდა;

7.2. მოსარჩელე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის იხდის პირგასამტეხლოს 0.15%-ის ოდენობით 25 კალენდარულ დღეზე;

7.3. მსესხებელმა 2014 წლის მარტში არ გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ხოლო აპრილის თვეში გადახდილი თანხა არ იყო საკმარისი დარიცხული პროცენტის და საურავის დასაფარად. შესაბამისად, მსესხებელს სესხის ძირითად თანხაზე დაერიცხა ერთი თვის პროცენტი – 1500 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო – 795.67 აშშ დოლარი.

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით მსესხებლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8.2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მსესხებლის მიერ გადახდილი 9000 აშშ დოლარი წარმოადგენდა არა ნასესხები თანხის ნაწილს, არამედ ექვსი თვის საპროცენტო სარგებელს.

8.3. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-

ის 50-ე, 52-ე, 623-625-ე მუხლები, 626-ე მუხლის მესამე ნაწილი, 361.2, 417-418-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 102-ე და 105-ე მუხლები.

9. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

9.1. საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება

10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

10.3. სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 52-ე და 338-ე მუხლების საფუძველზე დაასკვნა, რომ „...მართალია, ხელშეკრულების თანახმად, სესხი უნდა დაბრუნებულიყო ერთი თვის ვადაში – 25.10.2013, თუმცა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება იმთავითვე განსაზღვრავდა ამ ვადის შემდგომ მხარეთა სამომავლო სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, ხელშეკრულებაში საუბარია: მომავალი თვიდან სარგებლის დარიცხვის წესზე, ვადის გაგრძელების უფლებამოსილებაზე, ვადის თითო-თითო თვით გაგრძელებაზე მსესხებლის მიერ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში და სარგებლის გადაუხდელობისას ხელშეკრულების შეწყვეტაზე... შესაბამისად, ეს პირობები ერთობლიობაში გულისხმობდა სწორედ იმას, რომ მხოლოდ პროცენტის კეთილსინდისიერად გადახდა იწვევდა ხელშეკრულების თითო-თითო თვით გაგრძელებას... მოცემულ შემთხვევაში მსესხებელი ყოველთვის ურად იხდიდა ზუსტად ძირითადი თანხის 3%-ს, ანუ მხოლოდ პროცენტს – 1500 აშშ დოლარს, რაც იწვევდა ხელშეკრულების ვადის თითო-თითო თვით გაგრძელებას ვალდებულების ძირის შემცირების გარეშე...“;

10.4. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით: „... მსესხებელმა მარტის თვის გადახდა განახორციელა 07.04.2014წ, რითაც აღნიშნული ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 2014 წლის აპრილის თვის ჩათვლით, გამსესხებელს გააჩნია აპრილის თვის საპროცენტო სარგებლის მოთხოვნის უფლება, რაც ასახულია

კიდეც 28.04.2014წ. ნოტარიუს ე. შ-ს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში...“ (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

11. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

11.1. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

11.1.1. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ს 52-ე და 338-ე მუხლების გამოყენებით არასწორად განმარტა 2013 წლის 25 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მესამე პუნქტი, კერძოდ, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების საკითხი. მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა სესხის დაბრუნების ვადის გაგრძელების დამადასტურებელი კანონით დასაშვები მტკიცებულება;

11.1.2. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 335-ე და 345-ე მუხლები და სსსკ-ის 102.3 მუხლი. მოპასუხემ საქმის განხილვისას დაადასტურა ის გარემოება, რომ 2013 წლის 25 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სტანდარტულ დებულებებს შეიცავდა და მესამე მუხლის შინაარსი ხარვეზიანი იყო;

11.1.3. მოცემულ საქმეზე დავის საგანი იყო შესასრულებელი ფულადი ვალდებულების ოდენობის განსაზღვრა და არა მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტის დადგენა, თუმცა, სასამართლომ სწორედ ამ ფაქტებზე იმსჯელა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 361.2-ე და 417-718-ე მუხლები.

12. საკასაციო სასამართლოს განჩინება

12.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მსესხებლის საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს შემდეგი მითითებებით (სსსკ-ის 412-ე მუხლი):

12.1.1. სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე;

12.1.2. მხარეთა შორის სსკ-ის 623-ე მუხლით მოწესრიგებული სასესიო ურთიერთობის არსებობა დავას არ იწვევს. სადა-

ვოა 2014 წლის 28 აპრილს გამსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დადგენილი ფულადი ვალდებულების მოცულობა;

12.1.3. ფულადი ვალდებულების ოდენობის განსაზღვრა და მოკიდებული იყო სამართლებრივად მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტების დადგენაზე, სახელდობრ:

ა) სესხის დაბრუნების ვადის სწორად განსაზღვრაზე, რადგანაც მოთხოვნის ვადამოსულობა წარმოშობს კრედიტორის უფლებას, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია დრო, მაშინ პრეზუმირებულია, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს კი შეუძლია ვალდებულების ვადამდე შესრულება (სსკ-ის 366-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და აქედან გამომდინარე წინააღმდეგობრივია. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.5 მუხლის თანახმად, ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს იმ ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ, რომლის შესრულების ვადაც დამდგარია. მოცემულ შემთხვევაში, 2013 წლის 25 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მე-6 პუნქტით ვალდებულების შესრულების დროდ განსაზღვრულია 2013 წლის 25 ოქტომბერი, მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს დასკვნით ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 2014 წლის აპრილის ჩათვლით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 10.4 ქვეპუნქტი). სასამართლოს ამ მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, გამსესხებელს 2014 წლის 26 აპრილს არ შეეძლო მოეთხოვა სესხის დაბრუნება, რადგანაც ვადა ჯერ არ იყო დამდგარი;

ბ) 2013 წლის 25 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მესამე პუნქტის განმარტებასა და მისი ნამდვილობის დადგენაზე – სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მსესხებლის მიერ პროცენტის კეთილსინდისიერად გადახდა იწვევდა ხელშეკრულების თითო-თითო თვით გაგრძელებას, სამართლებრივად დაუსაბუთებელია. ცალსახაა, რომ სასამართლომ ხარვეზიანად ჩათვალა ხელშეკრულების აღნიშნული დებულება და ამის გამო მან მოიშველია სსკ-ის 52-ე და 338-ე მუხლებით დადგენილი განმარტების წესები, თუმცა, სასამართლომ ეს განმარტა ცალმხრივად, მხოლოდ გამსესხებლის ინტერესებით და არ გაითვალისწინა მსესხებლის პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ ვადა არ გაგრძელებულა. ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების პირობების შემთავაზებელი

იყო გამსესხებელი (მენარმე სუბიექტი) და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებდა იგი (სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს სსკ-ის 337-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვითაც: „თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი“;

12.1.4. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა სადავო დებულების ნამდვილობის საკითხი, კერძოდ: ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება ხომ არ მოითხოვდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებისათვის კანონით დადგენილი ფორმის დაცვას (სსკ-ის 302-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი და 625-ე მუხლის 1-3 ნაწილები), სადავო დებულების ამგვარი ფორმულირება ვალდებულების შინაარსის დადგენას ემსახურებოდა (ამ გარემოების დადგენის შემთხვევაში ფორმის დაუცველობა, სადავო დებულების ბათილობას გამოიწვევდა), თუ მიმართული იყო ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული რისკების განეიტრალებისაკენ. იმის გათვალისწინებით, რომ ამ დებულების შემთავაზებელია გამსესხებელი, ხომ არაა წინასწარ ჩამოყალიბებული მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული სტანდარტული დებულება (ამ გარემოებაზე კასატორიც მიუთითებდა, მაგრამ სხდომის ოქმის მიხედვით ეს საკითხი არ ყოფილა სასამართლოს კვლევის საგანი) და იქცა თუ არა იგი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად (სსკ-ის 344-ე მუხლი) და ა.შ;

12.1.5. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას სწორად უნდა გაანალიზოს მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის (სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი), სრულყოფილად გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს, როგორც სარჩელის გარემოებები, ისე მოპასუხის შესაგებელი, გამოიკვლიოს საკასაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინება

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მსესხებლის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება

(იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი).

13.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო იყო მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-3 მუხლში გამოვლენილი ნების განმარტება და სწორედ აღნიშნული უნდა შეეფასებინა სასამართლოს სსსკ-ის 52-ე /„ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“/ და 338-ე /„ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს“/ მუხლების საფუძველზე.

13.3. ხელშეკრულების სადავო მე-3 მუხლი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „სესხი უნდა დაბრუნდეს ერთი თვის ვადაში – ორი ათას ცამეტი წლის 25 ოქტომბერს. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მსესხებლის მიერ წინასწარ ძირითადი თანხის ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, გამსესხებელი მომავალი თვიდან სარგებელს დაარიცხავს ნარჩენ ძირ თანხას. ამასთან, ძირი თანხის წინსწრებით დაფარვისას, მსესხებელი იხდის მთელი თვის სარგებელსაც (პროცენტი). მხარეები ასევე უფლებამოსილი არიან გააგრძელონ სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების დაბრუნების ვადა. ვადის გაგრძელება მოხდება მხარეთა შეთანხმებით თითო-თითო თვით, მსესხებლის მიერ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში. სარგებლის გადაუხდელობის შემთხვევაში იპოთეკარს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ძირითადი თანხის, დარიცხული სარგებლისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება“.

13.4. სსკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებული იქნეს წერილობითი ფორმაც. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულების სადავო მუხლი (ისევე, როგორც სხვა მუხლები) არ შეიცავს პირობას ხელშეკრულების წერილობითი ფორმით გაგრძელების სავალდებულობაზე. ამდენად, სადავო ხელშეკრულების დასახელებული მუხლის თანახმად, სესხი უნდა დაბრუნებულიყო ერთ თვეში – 25.10.2013 წელს, თუმცა, იგივე მუხლი, იმავდროულად ითვალისწინებდა ამ ვადის გასვლის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულების თითო-თითო ვადით გაგრძელების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი კეთილსინდისიერად შეასრულებდა ვალდებულებას.

13.5. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული დათქმის სწორად განსამარტად არსებითი მნიშვნელობის გარემოებად მიიჩნია, რომ მოპასუხე სასესიო ურთიერთობებში მონაწილე მენარმე პირია (რაც სადავო არაა მხარეთა შორის, იხ. სააპელაციო სასამართლოს 04.04.2016წ. სხდომის ოქმი), რომლის საქმიანობას წარმოადგენს თანხების სესხად გაცემა და სესხის პროცენტის სახით მოგების მიღება. ამ ვითარებაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ „ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაში“, რასაც მხარეებმა ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით გაგრძელების უფლება დაუკავშირეს, იგულისხმება სწორედ სესხის სარგებლის (ასევე, ძირი თანხის ნაწილის) კეთილსინდისიერად გადახდა, ვინაიდან, მოპასუხის სამენარმეო საქმიანობის (სადავო ხელშეკრულების) მიზანს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველთვიური საპროცენტო სარგებლის მიღება წარმოადგენდა.

13.6. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ასევე, გადახდილი თანხის ოდენობისა და წარმოებული გადახდების პერიოდულობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალე ყოველთვიურად 1 500 აშშ დოლარის გადახდით, ანუ იმ თანხის გადახდით, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი იყო, კეთილსინდისიერად ასრულებდა ვალდებულებას საპროცენტო სარგებლის გადახდის თაობაზე, რაც, თავის მხრივ, მხარეთა შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად კონკლუდენტურ მოქმედებას წარმოადგენდა, რომელსაც მხარეებმა ხელშეკრულების მოქმედების ვადის თითო-თითო თვით გაგრძელება დაუკავშირეს. მოცემულ შემთხვევაში მხარეები არ შეთანხმებულან სავალდებულო წესით ხელშეკრულების წერილობითი ფორმით გაგრძელების აუცილებლობაზე, შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით, ისინი არ იყვნენ შეზღუდული ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თანხმობაზე პირად გაეცხადებინათ;

13.7. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება, რომ ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი 9 000 აშშ დოლარი სესხის ხელშეკრულების ძირითადი თანხის ნაწილი იყო და დაასკვნა, რომ მოვალის მიერ 2013 წლის 25 სექტემბრიდან 2014 წლის 7 აპრილის ჩათვლით ყოველთვიურად გადახდილი 1 500 აშშ დოლარი (ჯამში – 9 000 აშშ დოლარი) წარმოადგენდა ყოველთვიურ საპროცენტო სარგებელს და არ არსებობდა ამ თანხის ძირითადი თანხის ანგარიშში ჩათვლის საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული დასკვნა, ასევე, გაამყარა სასამართლო სხდომაზე მოსამართლის შეკით-

ხვაზე თავად მოსარჩელის წარმომადგენლის პასუხმა, რომ მხარეები ძირითადი თანხის ნაწილ-ნაწილ (1500-1500 დოლარის ოდენობით) დაბრუნებაზე არ შეთანხმებულან;

13.8. მსესხებელმა მარტის თვის საპროცენტო სარგებელი გადაიხადა 2014 წლის 7 აპრილს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 2014 წლის 25 აპრილის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამსესხებელს ჰქონდა ამ პერიოდის საპროცენტო სარგებლის მოთხოვნის უფლება, რაც ასახულია კიდევ ნოტარიუსის (ე. შ.) მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში;

13.9. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გამსესხებლის – მენარმე სუბიექტის მიერ მსესხებლისათვის ვალდებულების შესრულების, ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობის შეთავაზება (ერთი თვის პროცენტის გადახდის შემთხვევაში, სესხის ვადის ერთი თვით გაგრძელება) მოპასუხე მენარმე სუბიექტის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, არ არღვევს სსკ-ის 325-ე მუხლით „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას იგარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე“/ გათვალისწინებული მხარის კეთილსინდისიერად მოქმედების სავალდებულო ნორმას;

13.10. სსკ-ის 625.1-ე მუხლის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პროცენტი. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი: იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის, გარდა 1000 ლარამდე (ან მისი ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში) გაცემული სესხისა, ხელშეკრულებისათვის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით (გარდა იპოთეკის სანოტარო წესით დამონმებასა და იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა), არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2.5-მაგი ოდენობის მეთორმეტედს, რაც ძალაშია ყოველი წლის 1 მარტიდან;

13.11. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი

სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინების მითითების შესაბამისად, შეისწავლა სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისობა ზემოხსენებული ნორმის დანაწესთან და იმის გათვალისწინებით, რომ სადავო სესხზე ყოველთვიური საპროცენტო სარგებელი 3%-ით არის განსაზღვრული, მიიჩნია, რომ საპროცენტო სარგებლის აღნიშნული ოდენობა არ ენიშნაღმდეგება სსკ-ის 625-ე მუხლის 1-3 ნაწილებით დადგენილ სტანდარტს.

13.12. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ამ გადაწყვეტილების 13.8 ქვეპუნქტში მითითებული გარემოების გათვალისწინებით, მსესხებლის მიერ გადახდილი 9 000 აშშ დოლარი წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო სარგებელს, შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში გადასახდელ ძირითად თანხად მართებულად განისაზღვრა 50 000 აშშ დოლარი, საპროცენტო სარგებლად – 1 500 აშშ დოლარი და პირგასამტეხლოდ – 795.67 აშშ დოლარი.

14. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

14.1. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მსესხებელმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა (იხ. საკასაციო საჩივარი და დაზუსტებული საკასაციო საჩივარი).

14.2. კასატორის მტკიცებით, არსებითად მცდარი სამართლებრივი შეფასება მიეცა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას, რომელიც 25.09.2013წ. ერთი თვით დაიდო და ამ ვადის ამონურვის შემდეგ, მხარეებს არ გაუგრძელებიათ იგი. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება რთული (სანოტარო) ფორმით იყო დადებული, სასამართლომ იგი ზეპირი შეთანხმებით გაგრძელებულად მიიჩნია კონკლუდენტური მოქმედებით, რაც არასწორია;

14.3. მცდარია ხელშეკრულების სადავო მე-3 პუნქტის (იხ. ამ გადაწყვეტილების 13.3. ქვეპუნქტი) სასამართლოსეული განმარტება სსკ-ის 52-ე და 338-ე მუხლების საფუძველზე, რომელიც მხოლოდ გამსესხებლის ინტერესებიდან გამომდინარეობს. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუყენებია სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებიც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტების წესებს ადგენენ;

14.4. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულება თითქოსდა ექვსჯერ გაგრძელდა ზეპირი შეთანხმებით, თუმცა, მსესხებლის ამგვარი ნების გამოვლენის მტკიცებულება არ მოიპოვება საქ-

მეში (სსსკ-ის 102-ე მუხლი);

14.5. სასამართლომ არ გამოიყენა სსსკ-ის 335-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რადგან 25.09.2013წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მხარეა მენარმე სუბიექტი, რომელიც გამსესხებელია, ხოლო მსესხებელია კასატორი, რომელიც ფიზიკური პირია. თუკი ეს უკანასკნელი ასევე მენარმე სუბიექტი იქნებოდა, მაშინ შესაძლებელი იყო, სასამართლოს მიერ ნა, რომ ხელშეკრულება გაგრძელდა ერთი თვით, რადგან სწორედ ასეთ ურთიერთობებს ანესრიგებს სსკ-ის 335.1-ე მუხლი „თუ მენარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ ნინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მენარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად“;

14.6. სასამართლოს ასევე არ გამოიყენებია სსკ-ის 345-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, „თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ“. საქმის განხილვის შედეგად დადგენილია, რომ 25.09.2013წ. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება არის სტანდარტული ხელშეკრულება, რომელსაც გამსესხებელი მენარმე სუბიექტი იყენებს თავის საქმიანობაში, ასეთ ვითარებაში კი, მისი ბუნდოვანი ტექსტი უნდა განიმარტოს კასატორის სასარგებლოდ;

14.7. ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 624-ე მუხლი, რადგან სანოტარო ფორმით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში სასამართლოს არ უნდა მიეჩნია იგი გაგრძელებულად მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებით, სასამართლოს მითითება იმაზე, რომ ხელშეკრულება არ შეიცავს პირობას მისი წერილობითი ფორმით გაგრძელებაზე (იხ. ამ განწყვეტილების 12.6. ქვეპუნქტის მეორე ნინადადება);

14.8. სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგან მსესხებელს არ დაურღვევია ვალდებულება იმ ნაწილში, რაც სასამართლო დავის საგანი იყო და არ უნდა მომხდარიყო პირგასამტეხლოს დარიცხვა 0,15%-ის ოდენობით;

14.9. სასამართლომ არ გამოიყენა სსსკ-ის 105-ე მუხლი, რათა შეეფასებინა საქმეში მოთავსებული მტკიცებულებები საგადახდო დავალებების სახით, რომლებითაც დასტურდება, რომ

მსესხებელი ფარავდა სესხს და არ იკვეთებოდა საპროცენტო სარგებლის გადახდა, სესხი უნდა დაბრუნებულიყო 25.20.2013 წლიდან.

15. საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული 2016 წლის 8 აგვისტოს განჩინებით, ხოლო იმავე წლის 4 ნოემბრის განჩინებით დასაშვებადაა ცნობილი სსსკ-ის 391.5-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის მასალების არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოვალის პრეტენზიათა ნაწილი დასაბუთებულია, რის გამოც არსებობს საკასაციო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

17. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ მხარეთა შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ერთი თვით. სსკ-ის 624-ე მუხლიდან გამომდინარე, სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სსკ-ის 302-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, რომლითაც დადგენილია, რომ „კრედიტორისა და მესაკუთრის წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორისთვის გადაცემა და რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მხა-

რეთა შორის დადებული გარიგება დადასტურებული უნდა იქნეს სანოტარო წესით“. მოხმობილი ნორმით, მესაკუთრის იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორისათვის გადაცემა და რეალიზაცია შეიძლებოდა განხორციელებულიყო ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, თუმცა, ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება რთული (სანოტარო) ფორმით იყოს დადებული.

18. საქმის მასალებიდან გამომდინარე უდავოა, რომ მსესხებელი არის იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრე (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი), მხარეთა შორის ხელმოწერილი 25.09.2013წ. ხელშეკრულება სანოტარო წესითაა გაფორმებული. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა ერთი თვით ანუ მისგან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება გამსესხებელს წარმოეშვა 25.10.2013 წელს (იხ. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.5-ე მუხლი). საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-3 პუნქტის სააპელაციო სასამართლოსეულ განმარტებას და დასკვნას, რომ მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებით ხელშეკრულება გაგრძელდა 2014 წლის 25 აპრილამდე (იხ. ამ გადაწყვეტილების 13.3-13.10 ქვეპუნქტი), რადგან კანონით დადგენილი იმპერატიული დანაწესი (სსკ-ის 302-ე მუხლის მე-3 ნაწილი) არ ექვემდებარება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე განსხვავებულად განსაზღვრას (იხ. სსკ-ის 319-ე მუხლი). აღნიშნულ კანონისმიერ მონესრიგებას ვერც მხარის განმარტება დაედება საფუძველად, როგორც ეს მიუთითა სააპელაციო სასამართლომ (იხ. ამ გადაწყვეტილების 13.7 ქვეპუნქტი).

19. საკასაციო სასამართლო იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი ...) ვალდებულების შესრულების დროდ მითითებულია 2013 წლის 25 ოქტომბერი, რაც სავსებით შეესაბამება მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.5-ე და მე-40 მუხლებს.

20. სსკ-ის 328-ე მუხლის შესაბამისად, „თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ“. დასახელებული ნორმის დანაწესისა და იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის სანოტარო ფორმით იყო დადებული ხელშეკრულება, განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის 2013 წლის

25 ოქტომბრის შემდეგ შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელი იყო კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა კანონით დადგენილი სანოტარო წესით დადებული ხელშეკრულება.

21. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ამავე სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის მითითებებზე სააპელაციო სასამართლოსადმი (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-12 პუნქტი) და განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, გამსესხებელმა, რომელიც სანარმოა, სტანდარტული პირობებით გააფორმა ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან (მსესხებელთან), ხოლო სადავო მე-3 მუხლის სააპელაციო სასამართლოსეული ინტერპრეტაცია არ გამომდინარეობს სსკ-ის 344-345-ე მუხლებიდან /მუხლი 344. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებანი – „ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის დებულებანი, რომლებიც ფორმის მიხედვით იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება, არ იქცევიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. მუხლი 345. ბუნდოვანი ტექსტის განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ – „თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ“/.

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2014 წლის 25 სექტემბერს ერთი თვით დადებული სესხის ხელშეკრულება ითვალისწინებდა საპროცენტო სარგებლის გადახდას. ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, მისი მოქმედების პერიოდში, მსესხებელი ვალდებული იყო, გადაეხადა ხელშეკრულებით დადგენილი 3%-იანი სარგებელი, რაც ხელშეკრულების ერთთვიანი ვადის გათვალისწინებით 1500 აშშ დოლარს შეადგენს. ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ მსესხებელს წარმოეშვა სესხის ძირითადი თანხის დაბრუნებისა და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) და უსაფუძვლოა სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულების მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებით გაგრძელებულად მიჩნევა, რასაც, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით დაუკავშირდა სესხის ძირითად თანხაზე გადახდილი საპროცენტო სარგებლის – თვეში 1500 აშშ დოლარის ოდენობით – გადახდა (იხ. ამ გადაწყვეტილების 13.6 და მორიგი ქვეპუნქტები).

23. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ხელშეკრულების მე-3 მუხლის არასწორ განმარტებას შედეგად მოჰყვა მხარეთა შორის შეთანხმებული და სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის არასწორად განსაზღვრა

და, შესაბამისად, მსესხებლის მიერ ხელშეკრულების ერთთვიანი ვადის ამონურვის შემდეგ გადახდილი თანხის მიჩნევა არა ხელშეკრულების ძირითადი თანხის ნაწილად, არამედ, თითქოს-და ზეპირი შეთანხმებით, ექვსჯერ გაგრძელებული ხელშეკრულების საპროცენტო სარგებლად. ხელშეკრულების ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მსესხებელს დაეკისრა არა საპროცენტო სარგებლის გადახდის ვალდებულება, არამედ – სესხის ძირითადი თანხისა და ვალდებულების შესრულების დარღვევისათვის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო.

24. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასაციონის პრეტენზიას და განმარტავს, რომ მისი მოთხოვნა, მსესხებლისათვის გადახდილი 9000 (ცხრა ათასი) აშშ დოლარის სესხის ძირითადი თანხის ნაწილად ჩათვლისა და ამ საფუძველით სესხად აღებული თანხის 50 000 აშშ დოლარის 9000 აშშ დოლარით შემცირების თაობაზე ნაწილობრივ დასაბუთებულია.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სანოტარო წესით დადებული ხელშეკრულების ერთთვიანი ვადა ამოიწურა 2014 წლის 25 ოქტომბერს, როგორც ეს იმავე წლის 25 სექტემბრის ხელშეკრულებით განისაზღვრა (იხ. ხელშეკრულების მე-3 მუხლი), შესაბამისად, მსესხებელს გამსესხებლისათვის გადასახდელი აქვს სესხის ძირითადი თანხის – 50 000 აშშ დოლარის 3%-იანი სარგებელი, რაც 1500 აშშ დოლარს შეადგენს. ამდენად, 9000 აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს საპროცენტო სარგებლის სახით გადასახდელი 1500 აშშ დოლარი და მსესხებლის მიერ, ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ გადახდილი 7 500 (შვიდი ათას ხუთასი) აშშ დოლარი უნდა ჩაითვალოს სესხის ძირითადი თანხის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ანგარიშში, როგორც უკვე გადახდილი თანხა (50 000 – 7 500 = 42 500). ნოტარიუსის მიერ 2014 წლის 28 აპრილს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი ...) აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა სესხის ძირითადი თანხის ნაწილში უნდა განისაზღვროს 42 500 (ორმოცდაორი ათას ხუთასი) აშშ დოლარით. მოვალეს გადახდილად უნდა ჩათვალოს სესხის ძირითად თანხაზე დარიცხული ერთი თვის 3%-იანი სარგებელი, რაც შეადგენს 1 500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარს. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მისი მოცულობა განსაზღვრულია 795.67 (შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი აშშ დოლარი და სამოცდაშვიდი ცენტი) აშშ დოლარით, რაც დაანგარიშებულია სესხის ძირითადი თანხიდან 50 000 აშშ დოლარიდან და მის 1.59%-ს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო არ

იზიარებს კასატორის პრეტენზიას (იხ. ამ გადაწყვეტილების 14.8 ქვეპუნქტი), რომ მას არ დაურღვევია ვალდებულება და არ უნდა გადაიხადოს პირგასამტეხლო. მხარეთა შორის ხელმოწერილი 25.09.2013 წ. ხელშეკრულების მე-12 მუხლით დადგენილია, რომ „ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულების (სარგებლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში), დამრღვევი მხარე პირველი თვის განმავლობაში იხდის პირგასამტეხლოს ძირი თანხის 0.15%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 25 კალენდარული დღის განმავლობაში“ (სსკ-ის 417-418-ე მუხლები). განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულება დარღვეულია იმით, რომ მსესხებელმა ერთთვიან ვადაში არ დაუბრუნა გამსესხებელს ნასესხები თანხა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, ერთთვიანი პირგასამტეხლოს გარდა, მოვალის მიერ ხუთჯერ გადახდილი 1500-1500 აშშ დოლარი (ჯამში 7500 აშშ დოლარი) წარმოადგენს ხელშეკრულების ძირითადი თანხის ანგარიშში გადახდილ თანხას, პირგასამტეხლო გამოანგარიშებული უნდა იქნეს მსესხებლის მიერ ფაქტობრივად გადასახდელი დარჩენილი ძირითადი თანხიდან – 42 500 აშშ დოლარიდან. შესაბამისად, ამ თანხის 1.59% არის 675.75 (ექვსას სამოცდათხუთმეტი აშშ დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი) აშშ დოლარი. ამდენად, მოვალის ვალდებულება (42500+675.75) სულ 43 175.75 (ორმოცდასამი ათას ას სამოცდათხუთმეტი აშშ დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი) აშშ დოლარით განისაზღვრება, რასაც დაემატება კანონით დადგენილი სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი 126.72 (ას ოცდაექვსი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი) და აღსრულების ხარჯები.

26. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული მუხლის დანაწესის შესაბამისად მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრება სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 399-ე, 372-ე, მუხლებით, 408-ე მუხლის

მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. ვ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ვ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ნოტარიუსის ე. შ-ს მიერ 2014 წლის 28 აპრილს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში (№...) აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
 - 4.1. სესხის ძირითადი თანხა – 42 500 (ორმოცდაორი ათას ხუთასი) აშშ დოლარი;
 - 4.2. პირგასამტეხლო – 675.75 (ექვსას სამოცდათხუთმეტი აშშ დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი) აშშ დოლარი;
 - 4.3. სულ – 43 175.75 (ორმოცდასამი ათას ას სამოცდათხუთმეტი აშშ დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი) აშშ დოლარი;
5. შპს „ე-ს“ (ს/კ 2-) ვ. ვ-ას (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს, სახელმწიფო ბაჟის სახით, 2 874.47 ლარის ანაზღაურება;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ს ა ს ს ი ს ს ე ლ შ ა კ რ უ ლ ე ბ ი ს დ ა დ ე ბ ა

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ხ ე ლ ი თ

№ას-398-371-2017

6 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. მ-მ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე) და შპს „კ. ა-მ“,

რომლის უფლებამონაცვლევ მოგვიანებით (იხ.პ.10) შპს „ს.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, მონინა-ალმდევე მხარე, კასატორი ან კომპანია) გახდა, 2009 წლის 21 იანვარს გააფორმეს წერილობითი შეთანხმება 1 498 800.96 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის 12 თვით სესხების შესახებ წლიური 120.1% სარგებლის დარიცხვით {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 623-ე და 625.1 მუხლები}.

2. შეთანხმება სესხის დაბრუნების ვალდებულების დარღვევისათვის ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0.05 %-ის ოდენობით {სსკ-ის 417-418-ე მუხლები; ხელშეკრულების 2.4 პუნქტი}.

3. მოსარჩელემ მოპასუხეს ხელშეკრულების საგანი საკუთრებაში არ გადასცა.

4. 2013 წლის 18 იანვარს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 1 498 800.96 აშშ დოლარის, მისი სარგებლის – 5 490 000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს, სარჩელის აღძვრიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად 1498.8 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ მან მოპასუხეს დაპირების მოთხოვნით. ის ანგარიშზე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე გადაურიცხა, მოპასუხემ კი, დაარღვია ვალდებულება და დადგენილ ვადაში არ დაუბრუნა სესხი.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა, როგორც მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი, ისე, მისი განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოსარჩელისგან დანაპირები თანხა არ მიუღია; ამასთან, მისი განმარტებით, სესხის დადებულად ცნობის შემთხვევაშიც, კი სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნა, ხანდაზმულობის გამო, განხორციელებადი არ იყო.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-317-ე, 361-ე და 623-ე მუხლები.

7. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

7.1. დაუსაბუთებელი და არადადამაჯერებელია სასამართლოს დასკვნა მოსარჩელის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილი 2009 წლის 30 აგვისტოს წერილის ცალმხრივად შეფასებას-

თან დაკავშირებით. სასამართლომ ისე გაიზიარა აღნიშნულთან მიმართებით მოპასუხის განმარტება, რომ არ გაითვალისწინა საქმის მასალებში წარმოდგენილი, სხვა ანალოგიურ საქმეზე მოპასუხის მიერ მითითებული არგუმენტები. გარდა ამისა, სასამართლომ ჯეროვნად არ შეაფასა მოწმეთა ჩვენებები, რომელთაგან შპს „ფ. პ-ის“ (შემდეგში მესამე პირი ან ფ-ო) დირექტორის ჩვენება ადასტურებდა მოსარჩელის მოსაზრებას წერილის დანიშნულების, ასევე, შემდგომი გადარიცხვის მიზნებისა და საფუძვლების შესახებ.

7.2. აპელანტის მოსაზრებით, გადაწყვეტილებაში გამოტანილი დასკვნები წინააღმდეგობრივი იყო. სასამართლომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი უდავოდ დადგინებულა, რემოვებად ჩათვალა, თუმცა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულების საგანი რეალურად გადასცა მოპასუხეს, არ გაიზიარა; მან საერთოდ არ იმსჯელა და, შესაბამისად, არ შეაფასა ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ სესხის გადაცემის ფაქტს. აპელანტის მოსაზრებით, მოპასუხისათვის სესხის თანხის რეალურად გადაცემის ფაქტს, მოსარჩელის ახსნა-განმარტებასთან და სესხის ხელშეკრულებასთან ერთად, ასევე, უტყუარად ადასტურებდა კომპანიის სასარგებლოდ პროცენტის სახით არსებული დავალიანების გადახდის ფაქტი, კერძოდ, მოსარჩელემ 2013 წლის 13 დეკემბერს მიმართა შემოსავლების სამსახურს, საიდანაც იმავე დღეს მიიღო პასუხი, რომლის მიხედვით, მოსარჩელის მიერ 2009 წელს მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 997 365 ლარს შეადგენდა, ხოლო ამავე პასუხის დანართით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელეს 2009 წელს, მოპასუხისაგან შემოსავლის სახით, მიღებული ჰქონდა 997 365 ლარი სარგებელი (%). აპელანტს სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 5 თებერვლის წერილობით პასუხზე დაყრდნობით დადასტურებულად მიაჩნდა, რომ მას 2009 წელს პროცენტის სახით მიღებული ჰქონდა ერთობლივი წლიური შემოსავალი – 997 365 ლარი, ხოლო დაკავებული გადასახადი შეადგენდა 74 802,38 ლარს. ის სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას იმაზე ამახვილებდა, რომ 997 365 ლარი ზუსტად შეესაბამებოდა კომპანიის მიერ მისთვის თებერვალ-მაისში გადასახდელ საპროცენტო თანხების ჯამს;

7.3. აპელანტმა მიუთითა, რომ მოპასუხემ სასამართლოში არ წარადგინა ბულალტრული დოკუმენტაცია, მათ შორის, ყოველთვიური და ყოველწლიური დეკლარაციის ასლები. მოპასუხე თავის შესაგებელში და სასამართლო სხდომებზეც სისტემატურად აპელირებდა, რომ არ გამორიცხავდა რაიმე შეთანხმე-

ბას მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. აპელანტის განმარტებით, მოპასუხეს უნდა დაჰკისრებოდა მტკიცების ტვირთი და განემარტა, თუ რა შეთანხმება იყო აღნიშნული, თუმცა, მან არ დააკონკრეტა და ვერ დაასაბუთა იმ არგუმენტის სანინააღმდეგო, რომ მხარეებს შორის არა სასესხო, არამედ სხვა ურთიერთობა არსებობდა; მოპასუხე 2009 წლის 31 აგვისტოს გადარიცხვაში მიუთითებდა სესხის თანხას „ხ-ის საქმეზე“, რა თქმა უნდა ეს შემთხვევითი არ ყოფილა და სესხის თანხა მოცემულ კონტექსტში, ორივე შემთხვევაში, სესხის სარგებელს მოიცავდა. თანხის (სესხის) გადაცემის მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით კონკრეტული სამართალური თეორია უნდა შეფასებულიყო საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით. აპელანტის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, უტყუარი და მყარი მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოიშვა სასესხო ურთიერთობა, ამ გარემოებას ადასტურებდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო საგადასახადო სამსახურიდან მიღებული მტკიცებულებები; აღნიშნული დოკუმენტები, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დამაჯერებლად ადასტურებდა სარჩელში მითითებულ გარემოებებს. ამდენად, მოპასუხის მიერ 2009 წლის 31 აგვისტოს განხორციელებულ საბანკო გადარიცხვას – 920 797 92 ლარის ოდენობით, წინ უძღოდა მოსარჩელის 2009 წლის 30 აგვისტოს წერილი (ნების გამოვლენა მოპასუხის მიმართ), რომლითაც გამოხატულ იქნა მოსარჩელის ნება – მოპასუხისგან მისაღები მისი კუთვნილი თანხის 900 000 ლარიდან 1 000 000 ლარის ფარგლებში, გადარიცხულიყო მესამე პირის საბანკო ანგარიშზე.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8.1. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით, არ დასტურდებოდა მოსარჩელის მხრიდან მოპასუხეზე სესხის თანხის გადაცემა;

8.2. პალატამ განმარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, არ იყო სათანადო მტკიცებულება სადავო გარემოების დასადასტურებლად, ვინაიდან მისი შინაარსიდან არ დასტურდებოდა, 2009 წლის 21 იანვრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტის მიღების შესახებ გარემოება, როგორც ამას მოსარჩელე უთი-

თებდა.

8.3. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა მოწმის – ფ-ოს დირექტორის ჩვენება, რომლის განმარტებითაც, მან 2009 წლის აგვისტოში კომპანიის დამფუძნებლებისგან მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოპასუხეს მოსარჩელის დავალებით კომპანიის ანგარიშზე თანხა უნდა გადაერიცხა. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოწმემ ვერ მიუთითა თანხის გადარიცხვის საფუძველი და ვერც შესაბამისი დოკუმენტი (პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 14 აპრილის სხდომის ოქმის ჩანაწერი 14.14.10სთ-14.21.10სთ); ამასთან, ჩვენების მიხედვით, მას არ ჰქონია უშუალო შეხება მოდავე მხარეებთან და სხვა პირებისაგან – დამფუძნებლებისგან შეიტყო დასახელებული გარემოების თაობაზე;

8.4. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოწმე – ი.ს-ის ჩვენებაზეც, რომელსაც 2004 წლიდან 2009 წლის 31 ოქტომბრამდე კომპანიაში დირექტორის თანამდებობა ეკავა. მან აღნიშნა, რომ მოსარჩელეს მოპასუხისთვის სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ გადაურიცხავს, შესაბამისად, არც ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტი შედგენილა; რაც შეეხება მოპასუხის მიერ ფ-ის თანხის გადარიცხვას, მოწმემ განმარტა, რომ აღნიშნულის თაობაზე დავალება დამფუძნებლისაგან მიიღო, ხოლო ამ დავალების მიზანს, სავარაუდოდ კომპანიის ფინანსური დახმარება წარმოადგენდა, ვინაიდან ფ-ს საგადასახადო ორგანოს წინაშე გააჩნდა გარკვეული ვალდებულებები.

9. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინებით, კაზინოს უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა შპს „ს.“.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განჩინებით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, იმ მითითებით, რომ სააპელაციო პალატას სრულყოფილად გამოეკვლია მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, 2009 წლის 30 აგვისტოს წერილი, ფ-ოს ანგარიშის ამონაწერი, სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია და მონმეთა ჩვენებები.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხის უფლებამონაცვლეს 1 498 800.96 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა, ასევე, სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული 2010 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით მისაღები ერთი თვის სარგებლის, ძირი თანხის – 1 498 800,96 აშშ დოლარის 2%-ის ოდენობით ანაზღაურება, რაც 29 976,02 აშშ დოლარს შეადგენდა. მასვე დაეკისრა 2010 წლის 1 თებერვლიდან – გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 29 976,02 აშშ დოლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12.1. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა ადასტურებდა მხარეთა შორის სსკ-ის 623-ე მუხლით გათვალისწინებული სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას. შესაბამისად, მოპასუხე ვალდებული იყო, ნასესხები 1 498 800.96 აშშ დოლარი მოსარჩელისათვის უკან დაებრუნებინა;

12.2. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წლიური სარგებლის ოდენობა უნდა შემცირებულიყო 2%-მდე, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 120.1%-ისა, ამდენად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 2010 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით მისაღები ერთი თვის სარგებელი, ძირი თანხის 1 498 800.96 – ის 2% უნდა დაკისრებოდა, რაც 29 976,02 აშშ დოლარს შეადგენდა;

12.3. პალატის დასკვნებით, სარგებლის შემცირებული ოდენობის გათვალისწინებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, 2010 წლის 1 თებერვლიდან – გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 29 976,02 აშშ დოლარის გადახდა უნდა დაკისრებოდა;

12.4. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან, მოსარჩელეს სარგებლის სახით 29 976.02 აშშ დოლარი უნდა მიეღო, რომელიც 4 თვის გათვალისწინებით 119 904,08 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო მოსარჩელეს პროცენტის სახით მიღებული ჰქონდა 591 627,12 აშშ დოლარი (4 თვის პროცენტი), რომელთა სხვაობა 471 723,04 აშშ დოლარს შეადგენდა, ეს უკანასკნელი თანხა პირგასამტეხლოდ უნდა ჩათვლილიყო და მოპასუხეს დამატებით პირგასამტეხლო აღარ უნდა დაკისრებოდა.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კასატორმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ სესხის თანხა გადაცემულია;

13.2. სესხის გადაცემის დამადასტურებელ ერთადერთ და უპირატეს მტკიცებულებას წარმოადგენს მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი, სალაროს შემოსავლის ორდერი ან საბანკო გადარიცხვის ქვითარი, რომელიც საქმეში არ მოიპოვება. ამგვარი მტკიცებულების წარმოდგენა კი, სწორედ მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა, ხოლო სხვა მტკიცებულებაზე მითითება, კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს ეწინააღმდეგება;

13.3. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ წარმოადგენს სესხის თანხის გადაცემის დამადასტურებელ პირდაპირ მტკიცებულებებს. ამ მხრივ, საინტერესოა მოსარჩელის ახსნა-განმარტებაც, რომელიც საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე სიტუაციის შესაბამისად იცვლებოდა;

13.4. 2009 წლის 31 აგვისტოს მესამე პირის ანგარიშზე 920 797.92 ლარის გადარიცხვის დროს, 2009 წლის 30 აგვისტოს წერილი საერთოდ არ არსებობდა და მხოლოდ მოგვიანებით, ფაქტებზე მორგების მცდელობის მიზნით შეიქმნა, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ მითითებული წერილი საქმეზე დართულ იქნა არა სარჩელის აღძვრისას, არამედ მისი აღძვრიდან 7 თვის შემდეგ, მაშინ, როდესაც მხარემ მესამე პირის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესახებ შეიტყო. ამ წერილის მოპასუხისათვის გაგზავნა და ამ უკანასკნელის მიერ მისი მიღება საქმის მასალებით დადასტურებული არ არის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2009 წლის 30 აგვისტოს წერილი და საქმეში წარმოდგენილი ი. ხ-ის ანალოგიური შინაარსის წერილი, არცერთი ნიშნით არ განსხვავდება ერთმანეთისგან, ორივე დაბეჭდილია ერთნაირად, განსხვავებული მხოლოდ ხელმოწერაა, მაშინ, როდესაც წერილები სხვადასხვა პირის მიერ და სხვადასხვა ადგილზე 6 თვის შუალედითაა შედგენილი;

13.5. კასატორის მოსაზრებით, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ სადავო წერილის შედგენის დღეს (კვირას), მოსარჩელე საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდა და, რადგანაც კვირას მნახველები არ დაიშვებიან, ბუნებრივია, ის ვერ შეძლებდა წერილზე ხელმოწერას; გარდა ამისა, სადავო წერილზე მოსარჩელის ხელმოწერა არსებითად განსხვავდება, ხელშეკ-

რულებაზე არსებული მისი ხელმოწერისგან. წერილი ასევე არ შეიცავს ინფორმაციას ადრესატთან დაკავშირებით. ამასთან, მოსარჩელის განმარტება დამაჯერებლობასაა მოკლებული, რადგანაც, თუ მოპასუხე მანამდე არ უხდოდა მას სარგებელს და არ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, როგორ მოხდა, რომ წერილის ჩაბარებიდან მეორე დღესვე, მოპასუხემ საშური ოპერატიულობით, წერილში მითითებული თანხა მესამე პირს გადაურიცხა? კასატორის მტკიცებით, მსგავსი წერილის შედგენის საშუალება ნებისმიერ პირს აქვს და, მისი გაზიარების შემთხვევაში, გამოდის, რომ ნებისმიერი პირის მიერ წარმოდგენილი წერილი ტრანზაქციის განხორციელებაზე, მასთან სასესხო ურთიერთობის არსებობას ამტკიცებს.

13.6. მესამე პირისათვის გადარიცხული თანხის მიზნობრიობაში მითითებულია სესხის დაფარვა და არა სესხის სარგებლის დაფარვა, როგორც ამას მოსარჩელე ამტკიცებს; კასატორის მტკიცებით, გაზიარებული არ უნდა იქნეს მესამე პირის წარმომადგენლის (დირექტორის) ჩვენება, რომ გადარიცხული თანხა, წარმომადგენელს მოსარჩელისათვის გადასახდელ სესხის თანხას, რადგანაც მონემეს არ ჰქონია უშუალო შეხება დავის მონაწილე მხარეებთან, შესაბამისად, მას არ შეუძლია ცალსახად დაადასტუროს, ან უარყოს სადავო ფაქტობრივი გარემოება. გარდა ამისა, გადარიცხული თანხა არ ემთხვევა 4 თვის საპროცენტო სარგებლის ოდენობას, ვინაიდან, იმ დროს არსებული დოლარის კურსის გათვალისწინებით, 4 თვის პროცენტი შეადგენდა 1 011 480 ლარს, რომლის დაბეგვრის შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეღო 935 619 ლარი. აღსანიშნავია, რომ არც შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული მონაცემები ემთხვევა მესამე პირის ანგარიშზე გადარიცხული თანხის ოდენობას.

13.7. კასატორი საკასაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს მოსარჩელის არათანმიმდევრულ პოზიციასზე. თავდაპირველად, მოსარჩელე საერთოდ უარყოფდა მოპასუხის მხრიდან რაიმე სახით ვალდებულების შესრულებას, თუმცა, მოგვიანებით, მან ხსენებული წერილი წარმოადგინა და განმარტა, რომ მოპასუხემ გარკვეული სარგებელი გადაიხადა მესამე პირისათვის თანხის გადარიცხვით.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 2 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნ-

ქტების საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უარყოფილ უნდა იქნეს.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორების პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და ასევე არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძველიანობასთან დაკავშირებით, გასაზიარებელია.

16. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სესხის (ძირი თანხა, სარგებელი და პირგასამტეხლო) დაბრუნების მოთხოვნა სსკ-ის 623-ე {სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი}, 625.1 {მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი} და 417-ე-418-ე {პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. ამ ნორმის 2017 წლის 15 იანვრამდე არსებული რედაქცია} მუხლების დანაწესებიდან გამომდინარეობს. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებადი იქნებოდა შემდეგი წინაპირობების ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით განხორციელების შემთხვევაში:

1. თუ მოსარჩელე დამაჯერებლად დაასაბუთებდა 2009 წლის 21 იანვარს მოპასუხესთან სესხის ხელშეკრულების დადებას, რაც გულისხმობს არა მარტო მხარეთა ურთიერთმფარავი ნების არსებობას, არამედ მოსარჩელის მიერ თანხის მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემის დამტკიცებას;

2. თუ მხარეები შეთანხმდებოდნენ სესხისათვის პროცენტზე;

3. თუ მოპასუხის მიერ სესხის დაბრუნების ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები წერილობით შეთანხმდებოდნენ პირგასამტეხლოზე, ანუ განსაზღვრულ ფულად თანხაზე;

17. მოცემულ შემთხვევაში კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ მოსარჩელესთან სესხის ხელშეკრულება არ დადებულა, რადგანაც ამ უკანასკნელს მოპასუხისათვის საკუთრებაში არ გადაუცია შეთანხმების საგანი – ფულადი თანხა.

18. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულება ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს, ანუ ის დადებულად ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (შდრ. სუსგ, საქმეზე №ას-361-343-2015, 14.12.2015). შესაბამისად, მარტოდენ, სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება) ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგანაც სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის აუცილებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა, სადავობის შემთხვევაში, მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოებაც.

19. სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. სამოქალაქო სამართალური თეორიაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების წესის მიხედვით, გამსესხებლის ვალდებულება შემოფარგლება სესხის სახით თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, რომელშიც პოზიტიური მტკიცების ტვირთი შემოიფარგლება სესხის თანხის დაფარვით. ბუნებრივია კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. სესხის სახით თანხის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს

გამსესხებლისათვის, რადგან მან მხოლოდ ამგვარი დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს სესხის რეალურად დადებისა და მისი ოდენობის ფაქტი, მსესხებლისათვის კი არანაირი საჭიროება არ არსებობს ფლობდეს და წარმოადგინოს ამგვარი დოკუმენტი არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით.

20. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით საბუთს (მაგ: სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი).

21. საკასაციო პალატა იზიარებს საკასაციო პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ კუთხით დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელემ გასაგებად და დამაჯერებლად ვერ შეძლო სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება. კანონის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით ასახოს მისი მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილი). მან ეს ვალდებულება სათანადოდ ვერ შეასრულა, რადგანაც არაერთხელ შეცვალა სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი. 2013 წლის 18 იანვარს წარდგენილ სარჩელში ის მიუთითებდა, რომ მოპასუხეს ანგარიშზე გადაურიცხა სესხის „ძირითადი თანხა“ 1 498800,96 აშშ დოლარი, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია. ის აღნიშნავდა, რომ მოპასუხეს მისთვის „არც სარგებელი და არც სესხის ძირითადი თანხა არ გადაუხდია“. მოგვიანებით, 2013 წლის 25 აპ-

რილს მან, სადავო თანხის კომპანიის ანგარიშზე გადარიცხვის შესახებ გარემოების ნაცვლად, მიუთითა, რომ მოპასუხეს სესხის თანხა გადასცა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე. მან დაზუსტებულ სარჩელს დაურთო 2009 წლის 30 აგვისტოს წერილი, რომლითაც ადასტურებდა, რომ მოპასუხემ ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება და მისი წერილის საფუძველზე მოპასუხემ მესამე პირს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაურიცხა მისი კუთვნილი სარგებლის ნაწილი – 920 797.92 ლარი. 2013 წლის 18 ივლისს კი, მოსარჩელე სრულიად ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით ამტკიცებდა, რომ სესხის თანხა 2009 წლის 21 იანვარს კომპანიის სალაროში შეიტანა.

22. ასეთი არათანმიმდევრული პოზიციის პირობებში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტებს: 1. 2009 წლის 30 აგვისტოს წერილს, რომლითაც ის თანხმობას აცხადებდა 2009 წლის 21 იანვრის ხელშეკრულების შესაბამისად, მისთვის გადასახდელი თანხიდან ნაწილი, 900 000 – 1000000 ლარის ფარგლებში, გადარიცხულიყო მესამე პირის ანგარიშზე; 2. მესამე პირის (შპს „ფ-ოს“) ანგარიშის ამონაწერს, რომლის მიხედვით, 2009 წლის 31 აგვისტოს მოპასუხემ მესამე პირს გადაურიცხა 920 797,92 ლარი დანიშნულებით – „სესხის დასაფარად“, და 3. სსიპ „შ. ს-ის“ მიერ წერილობითი ფორმით გაცემულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, მოსარჩელის მიერ 2009 წელს მიღებულ დასაბეგრ შემოსავალს შეადგენდა მოპასუხისგან პროცენტის სახით მიღებული 997 365 ლარი, მტკიცებულებითი ღირებულება არ შეიძლება გააჩნდეთ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ მათზე დაყრდნობით არ უნდა გამოეტანა დასკვნა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ნამდვილობის შესახებ. მითითებული წერილობითი დოკუმენტები არც ცალკე აღებული და არც ერთობლივად, არ ადასტურებდა ხელშეკრულების დადების ფაქტს.

23. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც თავისუფალია და იმავდროულად კანონის დანაწესითაა შეზღუდული. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს {სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი}; (მდრ. სუსგ №ას-279-264-17, 21.04.17 „მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით

მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული).

24. 2009 წლის 30 აგვისტოს წერილი, რომელსაც ეყრდნობა მოსარჩელე, არ აკმაყოფილებს წერილობითი მტკიცებულებებისათვის კანონით დადგენილ სტანდარტს (სსსკ-ის 134.1 მუხლი), რადგანაც ის არ შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. ჯერ ერთი, გაურკვეველია, ვინაა ამ წერილის ადრესატი, მეორეც, წერილის შინაარსიდან არ ჩანს, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებდა მესამე პირთან წერილის ავტორს და კონკრეტულად არ არის მითითებული ფულადი ვალდებულების მოცულობა. გარდა ამისა, წერილი რომც აკმაყოფილებდეს მტკიცებულების სტანდარტს, ის მაინც არ გამოდგება სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად, რადგანაც არ არის შესრულებული სსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ცალმხრივი ნების ნამდვილობის წინაპირობა – მოპასუხის მიერ წერილის მიღება. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ამ გარემოების დამადასტურებელი დასაშვები მტკიცებულება. მოწმის ჩვენება, რომელსაც იშველიებს მოსარჩელე არ არის იმ სახის მტკიცებულება, რომლითაც აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენაა შესაძლებელი (სსსკ-ის 102.3). აღნიშნულიდან გამომდინარე, 2009 წლის 31 აგვისტოს მოპასუხის მიერ მესამე პირის ანგარიშზე 920 797,92 ლარის გადარიცხვის ფაქტი არ ადასტურებს მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობას. რაც შეეხება სსიპ შ. ს-ის მიერ წერილობით გაცემულ ინფორმაციას, რომელიც ასახავს მოსარჩელის მიერ 2009 წელს მიღებული დასაბეგრი შემოსავლის ოდენობას, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ დოკუმენტში მითითებული მონაცემები მიღებულია მოსარჩელის მიერ ცალმხრივად შედგენილი საგადასახადო დეკლარაციების საფუძველზე, შესაბამისად, საკასაციო პალატა აღნიშნულ დოკუმენტს სადავო ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ ობიექტურ მტკიცებულებად ვერ განიხილავს.

25. ამრიგად, რადგანაც მოსარჩელემ სათანადო და დასაშვები წერილობითი მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა მოპასუხისათვის ფულადი თანხის საკუთრებაში გადაცემა, მოწმეთა ჩვენებების შეფასება სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება, რადგანაც სადავო გარემოების დამტკიცება მხოლოდ ამ სახის მტკიცებულებებით დაუშვებელია (სსკ-ის 624-ე მუხლი).

26. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მონარჩელეს კასატორის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8000 (რვა ათასი) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3 და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ს-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გ.მ.ს (პ/ნ) შპს „ს.ს“ (ს/კ) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8000 (რვა ათასი) ლარის ანაზღაურება;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახსრის ზეპირი ხელშეკრულება

ბანკინება

№ას-74-71-2016

25 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

I. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები:

1. ა. მ-ამ, გ. და ზ-მ-ებმა (შემდგომში: „მოსარჩელებმა“ ან „კრედიტორებმა“) სარჩელი აღძრეს ვ. ჩ-ისა და მ. ს-ის (შემდგომში: „მოპასუხეების“ ან „მოვალეების“) მიმართ, რომლითაც მოითხოვეს:

1.1. მ. ს-ისათვის ა. მ-ას სასარგებლოდ 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება;

1.2. ვ. ჩ-ისათვის ზ. მ-ის სასარგებლოდ 5000 აშშ დოლარის დაკისრება;

1.3. ვ. ჩ-ისათვის გ. მ-ის სასარგებლოდ 30 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ გ. მ-სა და ვ. ჩ-ს შორის ჩამოყალიბებული იყო ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. გადანყდა ბიზნეს საქმიანობის ერთობლივად გაძლოა და ქ. ბათუმში შპს „დ-ისა“ (შემდეგში: „კომპანიის“) და შპს „ს-ს“ დაფუძნება. ბიზნეს საქმიანობის ხელშესაწყობად მოსარჩელები მოპასუხეებს ურიცხავდნენ ფულად თანხებს.

3. მოგვიანებით, მოსარჩელებმა შეიტყვეს, რომ გადარიცხული ფულადი თანხები გაიხარჯა არამიზნობრივად.

4. მოსარჩელებმა გადარიცხული თანხების დაბრუნების სამართლებრივ საფუძვლად დაასახელეს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა.

II. მოპასუხის პოზიცია

5. მოპასუხეებმა წარმოდგინილი კვალიფიციური შედავებით უარყვეს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებუ-

ლებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა და სადავო ფულადი თანხის გადმორიცხვის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლად დაასახელეს ფულადი ვალდებულების შესრულება (გ. მ-სა და შპს „დ-ს“ შორის 2011 წლის 24 მაისისა და 2011 წლის 12 ნოემბრის სესხის ხელშეკრულება).

III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება

6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 04 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. მ-სეს დაეკისრა ა-მ-ას სასარგებლოდ 5000 აშშ დოლარის გადახდა. ვ. ჩ-ს დაეკისრა ზ-მ-ის სასარგებლოდ 5000 აშშ დოლარის გადახდა. ვ. ჩ-ს დაეკისრა გ. მ-ის სასარგებლოდ 30 000 აშშ დოლარის გადახდა.

IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

7. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინეს მოპასუხებმა.

V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

9. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– 2011 წლის 8 ივნისს ა. მ-ამ მ-ს-ეს რუსეთის ფედერაციიდან გაუგზავნა 5000 აშშ დოლარი.

– 2012 წლის 13 აპრილს ზ. მ-მა რუსეთის ფედერაციიდან ვ. ჩ-ს გაუგზავნა 5000 აშშ დოლარი.

– გ. მ-მა ვ. ჩ-ს რუსეთის ფედერაციიდან სხვადასხვა დროს გაუგზავნა 5000 – 5000 აშშ დოლარი, სახელდობრ: 2011 წლის 25 მაისს; 2011 წლის 08 ივნისს; 2011 წლის 1 ივნისს; 2011 წლის 14 ივნისს; 2012 წლის 11 აპრილს; 2012 წლის 27 აგვისტოს. ჯამში, გადაცემულია 30 000 აშშ დოლარი.

10. ზემოთ მითითებული ფულადი თანხა დაბრუნებული არ არის.

11. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა კვალიფიციური შედავება სადავო თანხის, როგორც კომპანიის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე, მითითებული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის

დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობის გამო.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, იმასთან დაკავშირებით, რომ გ. მ-ს არანაირი შესასრულებელი ვალდებულება არ ჰქონდა ვ. ჩ-ის, როგორც ფიზიკური პირის მიმართ; არც ა. მ-ასა და ზ. მ-ის მხრიდან მოპასუხეების მიმართ რაიმე ვალდებულების არსებობა დადასტურდა და დადგენილ იქნა ისიც, რომ გ. მ-სა და კომპანიას შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა შემხებლობაში არ იყო განსახილველ დავასთან.

13. საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ მოსარჩელეთა მიერ მოპასუხეებისათვის სხვადასხვა დროს თანხების გადაცემა შეაფასა რა სამართლებრივად, მიიჩნია, რომ მხარეებს შორის წარმოშობილია სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ-ის) 623-ე, 624-ე მუხლებით გათვალისწინებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა.

14. ხოლო ფულადი ვალდებულების არსებობის/თანხის დაბრუნების მოთხოვნის მიზნებისათვის სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 427-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოპასუხეებს გააჩნდათ სარჩელით მოთხოვნილი დავალიანება.

VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები:

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტებმა გააჩაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

16. საკასაციო საჩივრის საფუძვლები იმაში მდგომარეობს, რომ საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სახელდობრ, კასატორი აღნიშნავს, რომ იმ ფაქტობრივი გარემოების პირობებში, რომ თავად მოსარჩელები უარყოფდნენ მხარეთა შორის სასესხო ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას, სასამართლომ მაინც სესხის სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცა მათ და აღნიშნული მსჯელობა დაუდო საფუძვლად სარჩელის დაკმაყოფილებას. სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ფულადი ვალდებულების წარმოშობას სასამართლომ საფუძვლად დაუდო მხოლოდ თანხის გადარიცხვის (გადაგზავნის) დოკუმენტი.

კასატორის მოსაზრებით სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მისი პრეტენზია საქმის მასალებში წარმოდგენილი რუსულე-

ნოვანი გზავნილის ბლანკის არასწორ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით, რაც უმართებულო იყო, ვინაიდან, გზავნილის თარგმანში არ ფიქსირდება გადარიცხვის დანიშნულება – მიმდინარე ხარჯებისათვის, რაც დამატებით გამორიცხავს სასესხო ურთიერთობის არსებობას.

17. გარდა ამისა, ისე მიეცა საქმის ფაქტობრივ-გარემოებებს სამართლებრივი შეფასება, რომ სასამართლოს სასესხო ურთიერთობის ფორმა არ გაურკვევია (ზეპირი თუ წერილობითი).

სამოტივაციო ნაწილი:

VII. საკასაციო პალატის დასკვნები:

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე წლის 30 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

19. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა ფულადი ვალდებულების არსებობა. კასატორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებაზეა დამყარებული, რომ საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სახელდობრ, იმ ფაქტობრივი გარემოების პირობებში, რომ თავად მოსარჩელები უარყოფდნენ მხარეთა შორის სასესხო ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას, სესხის სამართლებრივი კვალიფიკაცია არ იყო საქმის გარემოებებით ნაკარნახევი (იხ., პპ:6).

20. კასატორის ზემოაღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორმა წარმოადგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია, რაც გამოიხატა სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) სსკ-ის 623-ე მუხლის არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

21. საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზების) საფუძვლიანობის შემდგომი კვლევისათვის, უნდა შემოწმდეს მოსარჩელეთათვის სადავო თანხის გადაცემის მიზნობრიობა (დანიშნულება) და თანხის გადახდის შესახებ შემხვედრი ვალდებულების არსებობა.

22. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

– 2011 წლის 8 ივნისს ა-მ-ამ მ-ს-ეს რუსეთის ფედერაციიდან გაუგზავნა 5000 აშშ დოლარი.

– 2012 წლის 13 აპრილს ზ. მ-მა რუსეთის ფედერაციიდან ვ. ჩ-ს გაუგზავნა 5000 აშშ დოლარი.

– გ. მ-მა ვ. ჩ-ს რუსეთის ფედერაციიდან სხვადასხვა დროს გაუგზავნა 5000 – 5000 აშშ დოლარი, სახელდობრ: 2011 წლის 25 მაისს; 2011 წლის 08 ივნისს; 2011 წლის 1 ივნისს; 2011 წლის 14 ივნისს; 2012 წლის 11 აპრილს; 2012 წლის 27 აგვისტოს. ჯამში, გადაცემულია 30 000 აშშ დოლარი.

გადარიცხვის დანიშნულება: მიმდინარე ხარჯები.

ზემოთ მითითებული ფულადი თანხა დაბრუნებული არ არის (იხ., განჩინების პპ: 9; 10).

23. მოპასუხეთა კვალიფიციური შედავებით უარყოფილია მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არსებობა.

ამასთან, სადავო თანხის მიღებას მოპასუხეები არ უარყოფენ, არამედ თანხის მიღებას სხვა ვალდებულების არსებობას უკავშირებენ, რომელიც ვალდებულების არსებობა მათ მიერ წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულებით ვერ დადასტურდა.

24. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სადავოა სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რომელიც მოსარჩელის განმარტებით გამომდინარეობს სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან, ამიტომ შეფასებას საჭიროებს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა სასესხო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის (სკ-ის 623-ე მუხ.) შემადგენლობასთან (მის აბსტრაქტულ კომპონენტებთან).

25. მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობის კვალიფიკაციის მიზნებისათვის პირველ რიგში, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე მოთხოვნა ეფუძნება სესხის ზეპირ ხელშეკრულებას, რომლის არსებობას მოპასუხე სადავოდ ხდის. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზიაც სწორედ მოცემული სამართალურთიერთობის ფორმას შეეხებოდა, სახელდობრ, კასატორები გასაჩივრებული გადანყვებილების დაუსაბუთებლობის ერთ-ერთ მოტივად იმასაც მიიჩნევენ, რომ სასამართლომ ისე მიანი-

ჭა სადავო თანხის გადარიცხვას სესხის ხელშეკრულების კვალიფიკაცია, რომ არც უმსჯელია მხარეთა შორის სადავო ურთიერთობა რა ფორმით არსებობდა (ზეპირი თუ წერილობით).

26. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად (სსკ-ის მე-4 მუხ.), სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები და მოსაზრებები. მათვე ეკისრებათ სადავოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთიც (სსკ-ის 102-ე მუხ.). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც შეეხება „მტკიცებულებათა დასაშვებობას“ ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატის მითითებით კანონის ეს მოთხოვნა განპირობებულია მხარეთა შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის შინაარსით, მისი ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობით.

27. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართალურითიერთობის მომწესრიგებელი ნორმის, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ სადავოდ ქცეული სასესხო ურთიერთობის დადგენისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი მტკიცებულებების ესა თუ ის სახე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენტი თუ, მოწმის სტატუსით დაკითხულ პირთა ნებისმიერი შინაარსის ჩვენება დაედოს საფუძვლად საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებას. ამ თვალსაზრით, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას თანხის გადარიცხვისათვის სესხის სამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭების ნაწილში და განმარტავს, რომ სამართალწარმოების პროცესში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და აგრეთვე, იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურებაა ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოპასუხესთან სასესხო ურთიერთობის შესახებ სა-

დავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მიუთითა ფულადი თანხის გამოგზავნის და ამ თანხის მოპასუხეთა მიღების ამასახველ საბანკო ამონაწერებზე, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და საფუძვლად ვერ დაუდებს მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის შესახებ სადავო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას შემდეგ გარემოებათა გამო:

28. სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შინაარსსა და ამ ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობაზე. სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ კომპონენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე.

29. საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სასესხო ვალდებულების თავისებურებებზე, რომელიც მოცემულია სსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესში, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნორმის სამართლებრივი აღწერილობა თავადვე მიუთითებს, თუ რომელი კომპონენტების არსებობის შემთხვევაში სახეზე სასესხო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და ამ დანაწესით ამორიცხავს სამართლებრივ კვალიფიკაციაში ცდომილების აღბათობასაც (მტკიცების საგანი).

რაც შეეხება სამართალურთიერთობის კვალიფიკაციის მომდევნო ეტაპს, აღნიშნული მდგომარეობს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში. მოდავე მხარეთა შორის ამ საპროცესო ვალდებულების გამიჯვნის მიზნით, საკასაციო პალატა მიუთითებს სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ როგორც მატერიალურ ისე, საპროცესო სამართლებრივ ნორმაზე, სახელდობრ, სსკ-ის 624-ე მუხლის მე-2 წინადადებაზე, რომელ-

შიც სწორედ ამ საპროცესო ვალდებულების შესრულების თავისებურებებზეა ყურადღება გამახვილებული და დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი კი, მსესხებელს. იმავე საპროცესო ვალდებულებას აკისრებს მოსარჩელეს სსსკ-ის 102-ე მუხლიც, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს, რომელსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა მტკიცების ტვირთის განსხვავებულ განაწილებას არ გვთავაზობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მატერიალური და საპროცესო ნორმები თანხვედრაშია, რადგან განსახილველ დავაში ისინი მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებულ წესს არ გვიდგენენ, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სწორედ მოსარჩელები, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მოპასუხებთან სასესხო ურთიერთობის (ზეპირი ხელშეკრულების პირობებში) არსებობაზე, ვალდებული არიან მიუთითონ (მტკიცების საგანი) და წარმოადგინოს ამ ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის აუცილებელი მტკიცებულებებიც (მტკიცების ტვირთი).

მხარეთა შორის ამ საპროცესო ვალდებულებების სწორი განაწილება წარმოადგენს სასესხო ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისა და მართლწესრიგის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის წინაპირობას.

ამდენად, როგორც აღინიშნა მოპასუხებთან სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელებს ეკისრებოდათ, მით უფრო, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაადასტურა თანხის სარჩელში მითითებული ოდენობით მიღების ფაქტი და სადავოდ გახადა მხოლოდ თანხის გადაცემის მიზნობრიობა (სასესხო ურთიერთობის არსებობა). სსკ-ის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, მოცემული ნორმით არ არის გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი და დასადგენი გარემოებების თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროცესუალური მტკიცებულებების სახე. მართალია მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელებმა წარმოადგინეს სადავო თანხის

გადმოგზავნის გზით მოპასუხეებისათვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება (ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერი), თუმცა მასში რაიმე მინიშნება/მითითება არ არის მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობაზე. პირიქით, გადახდის დანიშნულებად მითითებულია – მიმდინარე ხარჯები. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სადავოა თანხის გადაცემის დანიშნულება (სამართალურთიერთობის კვალიფიკაციისათვის) მხოლოდ მოპასუხეთა სახელზე სადავო თანხის გადმოგზავნა და ამ თანხის მიღების ფაქტით, არ შეიძლება დადასტურებულიყო მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობა.

30. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების არსებობაზე მითითებისას სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. სწორედ ამ გარემოების არსებობა განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულების – სესხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ამდენად, სასესხო ურთიერთობის სადავოობის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მტკიცებების ტვირთს შეადგენდა მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დადასტურება, რაც თავად ვალდებულების არსებობას გულისხმობს (სკ-ის 361-ე მუხ.) უმართებულოა.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

32. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

33. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესა-

ბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

34. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

35. მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლის წინააღმდეგ საპროცესო ნორმების დარღვევის თვალსაზრისით წარმოდგენილი არ არის დასაშვები საკასაციო პრეტენზია (პპ: 22, 23) საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს სწორედ მოპასუხეთა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი და აქედან გამომდინარე, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულის უკან დაბრუნება წარმოადგენს. მეტი სიცხადისათვის, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძველით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუ-

ცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

36. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

37. მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი შეფასების შედეგად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადგილი აქვს მოპასუხეთა უსაფუძვლო გამდიდრებას, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებას წარმოდგენილი შესაგებელი არ აბრკოლებს, რადგანაც მასში არაა მითითება დაბრუნების კონდიქციის შემაფერხებელ სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე ნანამძღვრების არსებობაზე. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივად ვარგის საფუძვლად სწორედ სსკ-ის 976-ე მუხლი უნდა იქნეს მიჩნეული.

38. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შეცვლის შედეგად უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხეებისათვის თანხის და-

კისრების თაობაზე.

39. საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. ჩ-ისა და მ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 07 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ნარდობა

ნარდობის ხელშეკრულების მოშლა

ბანჩინება

№ას-981-926-2015

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ტ-მა“ (შემდეგში მენარდე, მოპასუხე ან კასატორი) 2010 წლის 20 ივლისს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულებით, იკისრა ვალდებულება, გარიგების გაფორმებიდან 9 თვეში, აეშენებინა 2196 კვ.მ ფართის სამუშაო-სასაწყობო (ანგარის ტიპის) შენობა. შპს „მ-ო“ (შემდეგში შემკვეთი, მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე) ვალდებული იყო, მენარდისათვის გადაეხადა შეთანხმებული საზღაური 414 060 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, დღგ-ს ჩათვლით, ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შემკვეთი შეთანხმებული საზღაურის 30%-ს გადაიხდიდა ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო 70%-ს პერიოდულად, სამუშაოების წარმოებისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, მიღებული ავანსის კლების გათვალისწინებით. ხელშეკრულებითვე მხარეთა შორის შეთანხმდა პირგასამტეხლო, კერძოდ, მენარდეს დაეკისრებოდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სამუშაოს შეუსრულებლობის გამო დარჩენილი სამუშაოს ღირებულების 0.1%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; ხოლო თუ სამუშაოები შესრულდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და შემკვეთი გააჭიანურებდა მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას, ან არ გადაიხდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულებას ან/და მის ნაწილს, შემკვეთს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო მენარდის სასარგებლოდ, დარჩენილი გადასახდელი თანხის 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 629-ე, 630-ე, 417-ე, 418-ე მუხლები).

2. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით, შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა 500 000 ლარი.

3. მენარდემ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, სამუშაო სრული მოცულობით არ შეასრულა. მშენებლობის მიმდინარეობისას, სამუშაო ტერიტორია დაიტბორა მიწისქვეშა წყლით.

4. მხარეთა შორის 2010 წლის 20 ივლისს დადებული ნარდობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ გაგრძელებულა.

5. შემკვეთმა 2013 წლის 23 აგვისტოს სარჩელი აღძრა მენარდის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის 500 000 ლარის, პირგასამტეხლოს სახით 587 675 ლარისა და მიყენებული ზიანის სახით 495 388 ლარის დაკისრება. 2014 წლის 6 იანვარს კი მენარდემ შეგებებული სარჩელი აღძრა შემკვეთის წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის 24 305.74 აშშ დოლარის ექვივალენტის – 40 805.74 ლარის დაკისრება

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოდავე მხარეთა სასარჩელო მოთხოვნების განხილვის შედეგად, შემკვეთის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, მენარდეს დაეკისრა 500 000 ლარის გადახდა, ასევე, მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტეხლოს – 300 000 ლარის გადახდა; შემკვეთის სასარჩელო მოთხოვნა მენარდისათვის, ზიანის სახით, 495 388 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებით მენარდის შეგებებული სარჩელი შემკვეთის წინააღმდეგ უარყოფილია.

7. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 327-ე, 629-ე, 639-ე, 641-ე, 646-ე, 352-ე, 417-ე, 420-ე, 394-ე, 361-ე, 369-ე მუხლები; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) მე-4, 102-ე, 105-ე მუხლები.

8. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ 2010 წლის 20 ივლისს დადებული ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო სრული მოცულობით არ შეუსრულებია. ამასთან, შესრულებული სამუშაო, არა მხოლოდ პროექტთან შეუსაბამო, არამედ წარმოებული სამშენებლო სამუშაოები არასათანადო ხარისხის იყო, მათ შორის – გამოყენებული სამშენებლო მასალებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემკვეთს უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხოლო ვინაი-

დან მან მენარდეს, სამუშაოს შესრულების მიზნით, გადაუხადა 500 000 ლარი, სსკ-ის 352-ე მუხლიდან გამომდინარე, შემკვეთი უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა აღნიშნული თანხის დაბრუნება.

9. სასამართლომ აღნიშნა, რომ შემკვეთს მენარდისადმი წარმოეშვა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების დარღვევის გამო, 2011 წლის 21 აპრილიდან 414 060 აშშ დოლარის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლო „შეუსაბამოდ მაღალი“ იყო, შესაბამისად, იგი უნდა შემცირებულიყო და, შემკვეთის სასარგებლოდ, მენარდეს უნდა დაჰკისრებოდა პირგასამტეხლო 300 000 ლარი.

10. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ დავაში დადგინდა, მენარდის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, თუმცა, ვინაიდან შემკვეთმა ვერ დაამტკიცა ვალდებულების დარღვევის შედეგად ზიანის დადგომის ფაქტი, მისი სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, უსაფუძვლობის გამო, ექვემდებარებოდა უარყოფას.

11. მენარდის შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან ვალდებულება დარღვია არა შემკვეთმა, არამედ მენარდემ, სსკ-ის 417-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, შემკვეთს არ შეიძლებოდა დაჰკისრებოდა პირგასამტეხლო. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, მენარდის შეგებებული სარჩელი და არ დააკმაყოფილა იგი.

12. საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოდავე მხარეებმა. შემკვეთმა მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება მისი სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილში /მენარდისათვის, ზიანის სახით, 495 388 ლარის დაკისრება/ და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება ამ ნაწილში. მენარდემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება, შემკვეთის სარჩელის უარყოფა და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, მენარდისათვის დაუკმაყოფილებელი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

13. შემკვეთის სააპელაციო საჩივარი დამყარებული იყო შემდეგზე:

13.1. მას უწევდა სასაწყობო ფართის იჯარის გადახდა 2011 წლის მაისის თვიდან (რა დროიდანაც მას, მენარდის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შედეგად, უნდა ჰქონოდა სასაწყობო მეურნეობა) და, სარჩელის შეტანის

დღისათვის, 2013 წლის 28 აგვისტოსათვის, საიჯარო ქირის სახით, გადახდილი ჰქონდა 495 388 ლარი. მენარდის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების, სასაწყობე მეურნეობის დროულად აშენების შემთხვევაში, შემკვეთს არ მოუწევდა აღნიშნული ხარჯის განევა. შემკვეთის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო სასამართლო დავის შესაძლო გაჭიანურების თაობაზე, მან მოითხოვა მხოლოდ იმ პერიოდის ზიანის ანაზღაურება, რაც მას მიადგა 2011 წლის მაისიდან სარჩელის შეტანის დღემდე, ანუ 2013 წლის 23 აგვისტომდე;

13.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ საქმეში წარდგენილი საგადახდო ქვითრებით არ დასტურდებოდა შემკვეთისათვის მიყენებული ზიანი, რადგან ეს ქვითრები სანარმოს მიერ განეული ხარჯის უტყუარი მტკიცებულებაა, რომლის განევა მას არ მოუწევდა, მისთვის მენარდეს რომ არ მიეყენებინა ზიანი. იჯარის ხელშეკრულების დადება ზეპირი ფორმითაც არის შესაძლებელი, რის გამოც, შემკვეთმა არ მიიჩნია საჭიროდ იჯარის ხელშეკრულების სასამართლოსთვის წარდგენა;

13.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არაკანონიერია არამარტო სადავო საკითხის მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით, არამედ იგი გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევით. გადაწყვეტილება გამოტანილია მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გარეშე.

14. მენარდის (შეგებებული სარჩელით მოსარჩელის) სააპელაციო საჩივარი დამყარებული იყო შემდეგზე:

14.1. არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ გაზიარებული იქნებოდა მენარდის განმარტება, შემკვეთის ბრალეულობის გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის თაობაზე (რისი მტკიცებულებაც მხარეს არ წარმოუდგენია), მაინც არ იყო გასაზიარებელი მენარდის არგუმენტები იმ მიზეზთა გამო, რაც მითითებულია ამ განჩინების მე-8 პუნქტში;

14.2. მენარდე უთითებდა, რომ სამუშაოების მიმდინარეობისას, ტერიტორიაზე აღმოჩნდა წყლები, დაიტბორა შემკვეთის საკუთრებაში არსებული ნაკვეთი, რის გამოც, სამუშაოს შესრულება შეუძლებელი იყო და შეჩერდა, ჩატარდა წყლის ამრიდი მიღების ჩანყობის სამუშაოები, რამაც გამოიწვია ვადების დარღვევა. სამშენებლო ტერიტორიაზე დაწყობილი მასალები დაჟანგდა, დაჰკარგა ხარისხი, რის გამოც მენარდეს პრობლემები შეექმნა. მენარდემ სასამართლოს წარუდგინა მშენე-

ბარე სასაწყობე მეურნეობის სანიაღვრე ქსელის მოწყობის პროექტი, დანართი დოკუმენტებით, რომლითაც დასტურდებოდა მშენებლობის შეფერხება;

14.3. ხელშეკრულება გაფორმდა 20.07.2010 წელს, თუმცა, მშენებლობის ნებართვა გაცილებით გვიან იქნა მიღებული – 10.03.2011 წ., რაც აფერხებდა სამუშაოებს. მენარდის მტკიცებით, შემკვეთის ბრალეულობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი, როგორც უძრავი ქონების მესაკუთრე, ვალდებული იყო, გადაეცა იმგვარად მოწესრიგებული ობიექტი, სადაც უკვე მოწყობილი იქნებოდა სანიაღვრე სისტემა;

14.4. მენარდეს არ დაურღვევია პროექტი. არქიტექტურის სამსახურის ცნობით, მშენებლობა განხორციელდა არქიტექტურული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის საფუძველზე და, კონკრეტულ მისამართზე, ზედამხედველობის სამსახურში არ მიმდინარეობს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე წარმოება. მენარდის მტკიცებით, მან, სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, შეასრულა დამატებითი კონსტრუქციული ნახაზი და გადაუგზავნა შემკვეთს შესამოწმებლად, რაც მან უპასუხოდ დატოვა. შემკვეთი აჭიანურებდა უკვე შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას, სამუშაოების მიღებას. შემკვეთი დაგვიანებით იხდიდა თანხას, რითაც აღიარებდა სამუშაოების შესრულებას, გადასახდელია გარკვეული ნაწილი;

14.5. მენარდის მტკიცებით, სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია, ხოლო დანარჩენი სამუშაოები ვერ შესრულდა შემკვეთის ბრალეულობის გამო. მენარდეს სურდა, გაეგრძელებინა ხელშეკრულება, თუმცა, შემკვეთმა უკანონოდ თქვა უარი მის გაგრძელებაზე, ჯერ კიდევ მშენებლობის ვადის განმავლობაში და არ გააგრძელა სამშენებლო ნებართვა. მენარდის მტკიცებით, მზად არის სატრანსფორმატორო და საოფისე შენობა, შემკვეთი მზად იყო, აღმოეფხვრა ხარვეზებიც. მენარდის მტკიცებით, არ მომხდარა შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და დეფექტების, მათი არსებობის შემთხვევაში, დადგენა, საგულისხმოა, რომ სანამ არმატურა ბეტონში ჩაიდებოდა, შემკვეთის მიერ მოწვეულმა ექსპერტებმა ნახეს და პრეტენზია არ განუცხადებიათ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მენარდე ვალდებული იყო, საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრა ისინი;

14.6. დაბრკოლებას ქმნიდა ასევე შემკვეთის მიერ თანხების დაგვიანებით გადახდა. სასამართლომ არასწორად გაათავისუფლა პირგასამტეხლოს გადახდისაგან შემკვეთი, რადგან

მან დაარღვია თანხის დროულად გადახდის ვალდებულება და მთლიანად არ გადაიხადა იგი;

14.7. შესრულება არ უნდა დაუკავშირდეს მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენასა და მისი არარსებობის პირობებში, კატეგორიულად არ შეიძლება გამოირიცხოს შესრულების დადასტურება სხვა საშუალებით. ასევე შესრულების ხარვეზისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს ბრალეული მხარე;

14.8. სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, ექსპერტის დასკვნები, რომლებიც ადასტურებდნენ სამუშაოების ხარისხიან შესრულებას. სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა მიღებული თანხის მთლიანად დაბრუნება, თითქოს არაფერი შეუსრულებია მენარდეს, ან რაც შესრულდა, სრულიად უხარისხო იყო. მენარდე უთითებდა მტკიცებულების სახით წარდგენილ აუდიტის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, განუული ხარჯების საბაზრო ღირებულება შეფასებულია 305 845 ლარად. აღნიშნულ მტკიცებულებაზე სასამართლოს არ უმსჯელია;

14.9. მოდავე მხარეებმა წარადგინეს სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპეტიზის ეროვნული ბიუროს (შემდეგში ექსპერტიზის ბიურო) დასკვნები – 15.10.2013წ. და 23.06.2014წ., ასევე 04.09.2014წ. გაცემული ცნობის განმარტების მიზნით, სასამართლოში მიწვეული იქნა სპეციალისტი გ. გ-ე (შემდეგში სპეციალისტი);

14.10. მენარდე აპელირებდა 23.06.2014წ. ექსპერტიზის №003190814 დასკვნაზე, რომლის მიხედვით, მშენებლობის პერიოდში დაშვებულია ლოკალური ხარვეზები, თუმცა, ნაგებობა არ არის ავარიული, მას ამჟამად ნგრევის საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ აღნიშნული ხარვეზების შეკეთება აუცილებელია, რათა მდგრადობის პირობები არ გაუარესდეს. 04.09.2014წ. ცნობის თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის პერიოდში დაშვებულია სხვადასხვა დონის ხარვეზები. ამჟამინდელ მდგომარეობაში მყოფი მშენებარე ნაგებობა, არ არის ავარიული, მისი ნგრევის საშიშროება ამჟამად არ არსებობს“;

14.11. მენარდის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა ზემოაღნიშნული მტკიცებულებები. მენარდეს მიაჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნიდან სხვა ფაქტობრივი გარემოებები იკვეთება, რომ შენობა შესაბამისობაშია საპროექტო პირობებთან და, ხარვეზების აღმოფხვრა შესაძლებელია მშენებლობის პირობებში და საფრთხე არ არსებობს. მენარდე ყურადღებას ამახვილებს საქმეში განთავსებულ სხვადასხვა დასკვნაზე

და დეტალურად მსჯელობს თითოეულ მათგანში მითითებულ შეფასებებზე;

14.12. მენარდე სსკ-ის 405-ე მუხლზე მითითებით, ამტკიცებს, რომ შემკვეთს არ ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, პირიქით, ასეთი საფუძველი მენარდეს ჰქონდა, რაც მან არ გააკეთა. მენარდეს უკანონოდ მიაჩნია ხელშეკრულების შეწყვეტა, ამასთან, აღნიშნავს, რომ სახეზეა შესრულება, რაც უნდა ანაზღაურდეს. შემკვეთმა გადააცილა თანხის გადახდის ვადა, რამაც სსკ-ის 404-ე მუხლის შესაბამისად, მენარდეს წარმოუშვა ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობითა და ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლით გამოწვეული ზიანის მოთხოვნის უფლება.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით შემკვეთის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მენარდის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საბოლოოდ, ამ უკანასკნელს, შემკვეთის სასარგებლოდ, დაეკისრა 433 453 ლარი და პირგასამტეხლო – 200 000 ლარი.

16. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ საქმის მასალებით არ დადასტურდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა გამოწვეული იყო შემკვეთის ბრალეულობით ან სხვა ობიექტური გარემოებით, რის გამოც შეუძლებელი იქნებოდა მენარდის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.

17. სასამართლომ აღნიშნა, რომ მენარდე, მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას უკავშირებდა, სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას, სამშენებლო ობიექტის დატბორვას, რის გამოც შეჩერდა სამუშაოები, ასევე, მშენებლობის ნებართვის არარსებობას, თუმცა, ვერ უთითებდა და შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ ადასტურებდა, კონკრეტულად რა პერიოდში მოხდა სამშენებლო ობიექტის დატბორვა და ამ გარემოებამ რა ვადით შეაფერხა სამშენებლო სამუშაოების წარმოება. რაც შეეხება მშენებლობის ნებართვის გამო სამშენებლო სამუშაოების შეფერხების ფაქტს, საქმეში წარმოდგენილი იყო ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 10.07.2014 წლის წერილი იმის თაობაზე, რომ მშენებლობა განხორციელდა ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 25.02.2011 წლის ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და 25.02.2011 წლის სამშენებლო სანებარ-

თვო მონმობის საფუძველზე. მხარეთა შორის სადავო არ იყო, რომ ნებართვის მიღებიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში – 9 თვეშიც კი არ ჰქონდა მენარდეს სამუშაოები დასრულებული. ამდენად, საქმის მასალებით დადასტურებული არ იყო, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა გამონვეული იყო შემკვეთის ბრალეულობით, ან სხვა ობიექტური გარემოებით, რის გამოც, მენარდემ ვერ შეძლო ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.

18. სასამართლომ მიუთითა საქმეში განთავსებულ 15.11.2010 წლის მიღება-ჩაბარების აქტზე, რომლითაც დგინდებოდა, რომ მენარდემ გადასცა სასაწყობე შენობების პროექტირება (კონსტრუქცია) და გეოლოგია, ხოლო შემკვეთმა მიიღო შესრულებული სამუშაო, რომელიც შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას და მხარეთა ხელმოწერილი ფორმა №2-ის შესაბამისად, შემკვეთის მიერ მიღებული პროექტირება (კონსტრუქცია) და გეოლოგიის ღირებულება შეადგენდა 41 560 ლარს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებდა შემკვეთის მტკიცებას, რომ აღნიშნული შესრულება არ წარმოადგენდა სადავოდ ქცეული ნარდობის ხელშეკრულების ნაწილს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თავად მიღება-ჩაბარების აქტში იყო მითითებული 20.07.2010 წლის ნარდობის ხელშეკრულებაზე, ამასთან, რაიმე მტკიცებულება, რაც მენარდის მიერ სხვა სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში, აღნიშნულ პროექტირებაზე (კონსტრუქცია) და გეოლოგიის სამუშაოების შესრულებაზე მიუთითებდა, საქმეში წარდგენილი არ ყოფილა. ამდენად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ის ნაწილი, რაც მოიცავდა შენობის პროექტირებას (კონსტრუქცია) და გეოლოგიას, საერთო ჯამში 41 560 ლარის ღირებულებით, მენარდემ ჯეროვნად შეასრულა.

19. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სადავო იყო ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი. შემკვეთმა განმარტა, რომ შეუსრულებელი იყო სამუშაოების დიდი ნაწილი და ამასთან, შესრულებული სამუშაოები იყო უხარისხო და დეფექტური, რაც მას აძლევდა ხელშეკრულებიდან გასვლისა და მენარდისათვის გადახდილი თანხის უკან მოთხოვნის უფლებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, მენარდემ უთითებდა, რომ შემკვეთი ბრალეულად არ იღებდა უკვე შესრულებულ სამუშაოებს, რომელიც შეესაბამებოდა სამშენებლო სტანდარტებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული გარემოებების დასადგენად, მოდავე მხარეებმა წარადგინეს სხვა-

დასხვა საექსპერტო დაწესებულებისა და სხვადასხვა ტიპის საექსპერტო დასკვნები.

20. შპს „ს-ის“ 2013 წლის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საწყობის შენობის – №1 და №2 და დაცვის შენობის მშენებლობა. შემონმების დროს, აშენებული იყო დაცვის შენობა და მიმდინარეობდა №1 საწყობის ძირითადი მალის მშენებლობა. ექსპერტის კვლევის საგანს წარმოადგენდა მშენებარე №1 სასაწყობე შენობა. მითითებული დასკვნის თანახმად, მშენებარე სასაწყობე მეურნეობის №1 საწყობის ტექნიკური მდგომარეობის შემონმების საფუძველზე, ვიზუალური და ინსტრუმენტალური კვლევის შედეგად, გამოვლინდა დარღვევები და სამონტაჟო დეფექტები (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება).

21. ექსპერტიზის ბიუროს 15.10. 2013 წ. №004553713 დასკვნის მიხედვით, შემკვეთის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე ჩატარებული მშენებარე ობიექტის ვიზუალური საინჟინრო-ტექნიკური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პროექტში მითითებული ობიექტიდან (ორი საწყობის შენობა, დაცვის შენობა) აშენდა მხოლოდ დაცვის შენობა, რომლის მოპირკეთება არ იყო დამთავრებული; ნაწილობრივ იყო აშენებული 105 მეტრის სიგრძის, საწყობის შენობა (გადახურვის კონსტრუქციების და საწყობის გრძლივ კედელთან დაპროექტებული ერთსართულიანი სათავსოების გარეშე); 2. დაუმთავრებელ საწყობის შენობას ახასიათებდა შეუსაბამობები პროექტთან მიმართებაში. ყველა ჩატარებულ სამუშაოს ახასიათებდა შესრულების მეტად დაბალი ხარისხი. არ იყო ფარული სამუშაოს არც ერთი აქტი. 3. ექსპერტიზის ჩატარების დროს, მშენებარე ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტების ვიზუალური შესწავლისას, აღნიშნული კვლევის ფარგლებში, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების დონე მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც უაღრესად დაბალი.

22. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების, ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის, ამავე ექსპერტიზის დასკვნების შემადგენელი ექსპერტების მიერ 01.10.2014წ. სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული №1 საწყობის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მშენებარე მდგომარეობაში იყო, წარმოებული იყო არასათანადო ხარისხით, ამასთან, საერთოდ არ იყო აშენებული №2 სასაწყობე შენობა, რაც დამკვეთს აძლევდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს. რაც შეეხება

დაცვის შენობას, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, დადგინდა, რომ საექსპერტო კვლევის წარმოების პროცესში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამი ნაგებობიდან აშენებული იყო მხოლოდ ერთი – დაცვის შენობა. საქმეში წარმოდგენილი არცერთი საექსპერტო დასკვნა არ შეიცავდა მითითებას დაცვის შენობის შემონმების ან/და გამოვლენილი მშენებლობის ხარვეზების თაობაზე. შესაბამისად, დადგინდა, რომ დაცვის შენობა, რომელიც აშენებულია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საექსპერტო კვლევის საგანი არ გამხდარა და შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ იყო დადასტურებული, აღნიშნული შენობა-ნაგებობების შეუსაბამობა სამშენებლო ნორმებთან. ამდენად, დგინდებოდა, რომ დაცვის შენობა, რომლის ღირებულებაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეადგენდა 24 987 ლარს მენარდემ ააშენა, დადასტურებული არ იყო მისი ნაკლი და არ არსებობდა აღნიშნული თანხის დაბრუნების ნაწილში, შემკვეთის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

23. სასამართლომ მიუთითა, რომ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული და მიღებული სამუშაო იყო პროექტირება (კონსტრუქცია) და გეოლოგიის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენდა 41 560 ლარს. ამდენად, ჯამში, შესრულებული სამუშაოების ღირებულება (რომელთა ნაკლოვანებაც საქმის მასალებით დადგენილი არ იყო), შეადგენდა 66 547 ლარს (41 560 ლარს + 24 987), შესაბამისად, შემკვეთის სარჩელი დასაბუთებული იყო მენარდისათვის ავანსად გადახდილი 500 000 ლარიდან დარჩენილი ნაწილის – 433 453 ლარის დაბრუნების თაობაზე.

24. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვემდგომმა სასამართლომ, შემკვეთის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო – 587 675 ლარი მიიჩნია შეუსაბამოდ მაღალ თანხად და იგი შეამცირა 300 000 ლარამდე. სააპელაციო სამართალწარმოებისას დადგინდა, რომ ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში, მენარდემ შეასრულა 66 547 ლარის სამუშაოები, ასევე, სასამართლომ იმსჯელა შესასრულებელი ვალდებულებების მოცულობასა და ვადის დარღვევის ხარისხზე, რის შედეგადაც მიიჩნია, რომ მენარდის მიერ დარღვეული ვალდებულების თანაზომიერი და გონივრული პირგასამტეხლო არის 200 000 ლარი და მენარდის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, პირგასამტეხლოს შემცირების ნაწილშიც.

25. სასამართლომ არ გაიზიარა შემკვეთის სააპელაციო სა-

ჩივრის არგუმენტები, მისთვის ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მენარდისათვის დაკისრების თაობაზე (იხ. ამ განჩინების 13.1-13.2 ქვეპუნქტები). სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ელექტრონული საგადახდო დავალებით საიჯარო ქირას მისარჩელე იხდიდა ავტოპარკინგით სარგებლობისათვის, რაც გამოორიცხავდა შემკვეთის სარჩელის დაკმაყოფილებას ამ ნაწილში.

26. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების პირობები დაარღვია მენარდემ, რაც უდავოდ მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ შემკვეთი უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა დარჩენილი თანხის გადახდაზე. ამდენად, სსკ-ის 417-ე მუხლის საფუძველზე, შემკვეთს არ შეიძლებოდა დაჰკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

27. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-4, 102-ე, 105-ე მუხლებით; სსკ-ის 629-ე, 639-ე, 641-ე, 646-ე, 361-ე, 405-ე, 352-ე, 417-ე, 418-ე 420-ე 394-ე, 408-ე, 412-ე, 369-ე მუხლებით.

28. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მენარდემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება და შემკვეთის სარჩელის უარყოფა.

28. საკასაციო საჩივარი დამყარებულია შემდეგზე:

28.1. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ხელშეკრულების მენარდის მიერ შეუსრულებლობა, თუმცა, არ გაუთვალისწინებია, რომ აღნიშნული შემკვეთის ბრალეულობით იყო განპირობებული, რაზეც მიუთითებს ის ფაქტები, რომ 2010 წლის 20 ივლისს დადებული ნარდობის ხელშეკრულების 4.1 მუხლის თანახმად, მენარდეს 9 თვეში, ანუ 2011 წლის 20 აპრილამდე უნდა შეესრულებინა სამუშაოები, თუმცა, სამშენებლო ნებართვა შემკვეთმა მხოლოდ 25 თებერვალს აიღო, ნებართვაში კი, მშენებლობის დაწყების თარიღად მიეთითა 2011 წლის 10 მარტი, ნებართვა ძალაში იყო 2012 წლის 10 მაისამდე, შესაბამისად, ნებართვის აღებამდე, მშენებლობა ვერ დაიწყებოდა. კასატორის მტკიცებით, 2011 წლის მაისში სამშენებლო ტერიტორია დაიტბორა, ხოლო დატბორვის პერიოდის მტკიცების ტვირთს სასამართლო მენარდეს აკისრებს. კასატორის მტკიცებით, მენარდემ ჯერ კიდევ საქალაქო სასამართლოში დააყენა შუამდგომლობა, რომ ეს მტკიცებულებები მონინალმდეგესთან იმყოფებოდა და მას დავალებოდა მათი წარმოდგენა, შემკვეთმა გარ-

კვეული სახის მტკიცებულებები დაუმალა სასამართლოს და სრულად არ წარმოადგინა ისინი, კერძოდ, როდის მოიპოვა შემკვეთმა ობიექტის ექსპლუატაციის უფლება, როდის დაასრულა სამუშაოები;

28.2. კასატორის განმარტებით, მისმა წარმომადგენელმა, ვლ. ლ-ემ 2012 წლის 17 აპრილს №არ141865 ელექტრონული განცხადებით მიმართა მერიის სამსახურს და მოითხოვა აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტზე მშენებლობის მოქმედების ვადის გაგრძელება, რაზეც უარი მიიღო, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნის უფლებამოსილება მხოლოდ შემკვეთს ჰქონდა, რაც ამ უკანასკნელს არ გაუკეთებია. კასატორი უთითებს ამ განჩინების 14.2 და 14.3 ქვეპუნქტებში აღწერილ გარემოებებზე;

28.3. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ არ იყო სათანადო მტკიცებულებებით დადასტურებული მენარდის მიერ ვალდებულების უხარისხოდ შესრულების ფაქტი. მოწინააღმდეგის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები არ უკავშირდება მენარდის შეგებებულ სარჩელში გაცხადებულ ძირითად მოთხოვნას, რადგან არც ერთ დასკვნაში არ არის მითითებული მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ამ საშუაოს ხარისხი შეესაბამება თუ არა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. კასატორის მტკიცებით, იგი სააპელაციო სასამართლოს სთხოვდა წინააღმდეგობრივ დასკვნებზე ყურადღების გამახვილებას, ექსპერტების განმეორებით მონვევას, რადგან აშკარა იყო, რომ საქმის არასრული შესწავლის შედეგად, საქმეზე არ იყო დადგენილი ობიექტური ჭეშმარიტება. მიუხედავად წარდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობისა, სასამართლომ ყოვლად დაუსაბუთებლად თქვა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს სასამართლოს მიერ 20.05.2015წ. მიღებული საოქმო განჩინება და უნდა დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა წარდგენილი მტკიცებულებების დართვის თაობაზე და, ასევე ექსპერტების ხელმეორედ დაკითხვის თაობაზე. მართალია საქალაქო სასამართლომ მოუსმინა ექსპერტებს, მაგრამ მათთვის დასმული შეკითხვები ცალმხრივი და მიკერძოებული აღმოჩნდა, ამასთან, შემკვეთმა ექსპერტიზა შეიყვანა შეცდომაში და არასწორი მტკიცებულებები წარუდგინა, შესრულებული სამუშაოების მხოლოდ მცირე ნაწილი შემოწმდა. კასატორის მტკიცებით, მნიშვნელოვანია მის მიერ წარდგენილი კონსტრუქციების ურღვევი მეთოდით შემოწმების აქტები, რომელიც ბეტონის სიმტკიცეზე მეტყველებს და არ ემთხვევა მოწინააღმდეგის მიერ წარდგენილ დასკვნას, რასაც დაეყრდნო გასაჩივრებული გადაწყვეტილება;

28.4. კასატორი უთითებს ექსპერტიზის ბიუროს 15.08.2014 წ. №004274914 ექსპერტიზის დასკვნაზე და აღნიშნავს, რომ ბეტონი მიღებული ჰქონდა შპს „ჰ-ოდან“, ამიტომაც ამავე საწარმოს მიმართა, სამშენებლო ობიექტზე მიწოდებული ბეტონის გადასამოწმებლად. გამოკვლევამ აჩვენა 350-400 მარკიანობა, რაც აღემატებოდა სამხარაულის ექსპერტის დასკვნას. კასატორის მტკიცებით, მის მიერ წარდგენილი ექსპერტისა და აუდიტის დასკვნები, შესრულებული სამუშაოს შეფასებასთან, ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებით არ შეუფასებია სასამართლოს;

28.5. სასამართლომ არასწორად გაათავისუფლა პირგასამტეხლოსგან შემკვეთი, ვინაიდან მან დაარღვია ხელშეკრულებით თანხის დროული გადახდის ვალდებულება და თანხა მთლიანად არ გადაიხადა, რაც პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა. შემკვეთს, არსებული ხელშეკრულების თანახმად, შესრულებული სამუშაოს მიღების ვალდებულება ეკისრებოდა, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ ათავისუფლებდა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულებისაგან. კასატორის მტკიცებით, შემკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი არ არსებობდა. კასატორი იმეორებს წინამდებარე განჩინების 14.13 ქვეპუნქტში მითითებულ პრეტენზიას;

28.6. კასატორი უთითებს შემკვეთის ბრალეულობასა და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ დასკვნებს აკრიტიკებს (იხ. წინამდებარე განჩინების 14.1-14.8 ქვეპუნქტები). კასატორის მტკიცებით, შემკვეთს არ წარუდგენია დასაბუთებული პრეტენზია ხარისხთან დაკავშირებით. მენარდემ მტკიცებულების სახით წარადგინა აუდიტის დასკვნა, რომლითაც მის მიერ განეული ხარჯების საბაზრო ღირებულება 337 563 ლარადაა შეფასებული, ხოლო ექსპერტის დასკვნით, ხარჯთაღრიცხვა 305 845 ლარით განისაზღვრა, რაზედაც სასამართლო არ მსჯელობს;

28.7. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 380-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით არ მიიღო 2014 წლის 11 ნოემბრის განცხადება (დოკუმენტის რეგისტრაციის №1007660914), რომლითაც ექსპერტიზას განმარტებას სთხოვდნენ, ვინაიდან სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განმარტებიდან გარემოებები განსხვავებულად იკვეთებოდა. ასევე, მენარდეს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი ექსპერტიზის ბიუროში წარდგენილი განცხადებისა და მისი პასუხის საქმეზე დართვაზე;

28.8. კასატორის განმარტებით, მნიშვნელოვანია მის მიერ

წარდგენილი კონსტრუქციების ურდვევი მეთოდით შემოწმების აქტები, რომელიც ბეტონის სიმტკიცეზე მეტყველებს და არ ემთხვევა მონინალმდევე მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნას, რასაც სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო. საქალაქო სასამართლოს წინაშე მენარდის შუამდგომლობა ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, რეაგირების გარეშე დარჩა. ასევე არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ შუამდგომლობა ექსპერტიზის მოწვევის თაობაზე, რითაც უხეშად დაირღვა სსსკ-ის 102-ე მუხლი.

28.9. „გოსტ სტანდარტი“ მტკიცებულება არ არის, თუმცა, მისი დაცვა აუცილებელია. 15.08.2014 წ. დასკვნაში დაცული არ არის სტანდარტის მოთხოვნები და იგი არ უნდა იქნეს გაზიარებული.

29. საკასაციო სასამართლომ 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით წარმოებაში მიიღო მენარდის საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 18 დეკემბრის განჩინებით, დასაშვებად ცნო საჩივარი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება შემდეგი მოტივაციით:

30. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

31. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავა ნარდობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, სსკ-ის 636-ე მუხლით დადგენილია შემკვეთის უფლება უპირობოდ, სამუშაოების დასრულებამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე (იხ. სუსგ №ას-901-851-2015, 05.02.2016წ.) საკასაციო სასამართლომ სწორედ 636-ე მუხლზე მსჯელობისას განმარტა: „მოხმობილი ნორმის დეფინიციით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს შეუძლია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალეს (მენარდეს) ეკისრება ტვირთი ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა მას ხელშეკრულების მოშლით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ გაწეულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური, თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მოწყობილობების შექმნას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური სამუშაოების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის გაწეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა, მიიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები“ (იხ. სუსგ №ას-697-663-2015, 15.12. 2015).

32. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც არაერთ საექსპერტო დასკვნასა და სპეციალისტის განმარტებას, მტკიცებულებათა ყოველმხრივ გაანალიზებასა და შეჯერებას ეყრდნობა (იხ. ამ განჩინების 17-26

პუნქტები), მენარდის მიერ ნაწილობრივ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის, მასალების უზარისხობა და დარღვევები, უტყუარი და სარწმუნო მტკიცებულებების შეპირისპირების საფუძველზე დადასტურებული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, ხოლო სსკ-ის 636-ე მუხლით დარეგულირებული შემკვეთის უფლება, არათუ უზარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო, არამედ უპირობოდ, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება მენარდესთან, განმარტებულია საკასაციო სასამართლოს მიერ (იხ. ამ განჩინების 31-ე პუნქტი), რაც კასატორის შედაგების საფუძველზე ვერ იქნა დამაჯერებლად უარყოფილი. ამასთან, მენარდის მიერ ნაწილობრივ შესრულებული სამუშაოების ღირებულება სააპელაციო სამართალწარმოებისას დადგენილია, რის საფუძველზეც, სასამართლომ დააკმაყოფილა მენარდის სააპელაციო საჩივარი და შეამცირა პირგასამტეხლო (იხ. ამ განჩინების 24-ე პუნქტი)

33. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიებს სააპელაციო სასამართლოს 20.05.2015წ. საოქმო განჩინების გაუქმების, ასევე, მტკიცებულებების მიღებაზე უარის თაობაზე (იხ. ამ განჩინების 28.3 და 28.7 ქვეპუნქტები). საკასაციო სასამართლო გაეცნო გასაჩივრებული საოქმო განჩინების აუდიო ჩანაწერს (იხ. 20.05.2015წ. სხდომის აუდიო ჩანაწერი 15:37 სთ-დან) და აღნიშნავს, რომ დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მენარდის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებთან, რადგან განსახილველ დავაზე მხარეებს ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობები, დაესვათ შეკითხვები, დაეზუსტებინათ ექსპერტთა პასუხები და არგუმენტები სამართალწარმოების შესაბამის ეტაპზე, ხოლო მტკიცებულებათა წარსადგენად, სსკ-ის 380-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს მხარეთა უფლებებს.

34. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ კასატორის პრეტენზიები დაუსაბუთებელია, არ არის გამყარებული იმგვარი სამართლებრივი არგუმენტებით, რომელიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის საჭიროებას დაასაბუთებდა, მით უფრო, რომ საკასაციო განაცხადი, რომელიც სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი, არსებითი განხილვის ეტაპზე, კიდევ ერთხელ შემოწმდა კასატორის პრეტენზიების საფუძველიანობის თვალსაზრისით.

35. მტკიცებულებებათა მოგვიანებით წარმოდგენასა და საკასაციო საჩივარზე დართულ დოკუმენტებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილით, კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და დაადგინა, რომ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. საკასაციო სამართალწარმოების თავისებურების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეს არ ჰქონდა, საქმის ქვემდგომი წესით განხილვისას, მათი წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა.

36. სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს, ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 23 (ოცდასამ) ფურცლად, კერძოდ: სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათები 1) №1007660914, 13/11/2014, 2) №1008161414, 03/12/2014; შპს „ტ-ის“ დირექტორის ვლ. ლ-ის განცხადება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის გ. თ-ისადმი; შპს „ტ-ის“ დირექტორის ვლ. ლ-ის განცხადება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გენ. ინსპექციას; შპს „ტ-ის“ დირექტორის ვლ. ლ-ის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს ქ. კ-ას; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იურიდიული სამმართველოს უფროსის, ტ. ზ-ის, 2014 წლის 17 დეკემბრის, პასუხი შპს „ტ-ის“ დირექტორს ვლ. ლ-ეს; კონსტრუქციების ურღვევი მეთოდით შემონმების აქტები NTR/2015-1; NTR/2015-2; NTR/2015-3; NTR/2015-4; NTR/2015-5; АИ №18105-2008; კორუპციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ, დ. ა-ის, 2015 წლის 8 სექტემბრის №13/56799, პასუხი შპს „ტ-ის“ დამფუძნებელ მ. ს-ეს; ამონაწერი შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან.

37. საკასაციო სასამართლო მენარდეს აკისრებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის განჩი-

ნებით (საქმე ას-981-926-2015) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 8 000 (რვა ათასი) ლარის გადახდას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 104-ე, 407-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ტ-ის“ შუამდგომლობა, ახალი მტკიცებულებების საქმეზე დართვისა და ექსპერტის ხელმეორედ დაკითხვის თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის საოქმო განჩინებები, ახალი მტკიცებულებების საქმეზე დართვასა და ექსპერტის ხელმეორედ დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე;
4. შპს „ტ-ს“ (ს/ნ ...) დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით (საქმე №ას-981-926-2015) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 8 000 (რვა ათასი) ლარის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
5. სახელმწიფო ბაჟი გადახდით იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150;
6. კასატორს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 23 ფურცლად;
7. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნის
სანდაზმულობის ვადა**

განჩინება

№ას-690-644-2017

31 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: ნაკლის გამოსწორება, ნაკლის გამოსასწო-
რებლად განეული ხარჯის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2009 წლის 06 მაისს, სს „ს-ას“ (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) და შპს „რ-ას“ (შემდეგში: კერძო კომპანია) შორის გაფორმდა ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება). აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, კერძო კომპანიამ იკისრა ვალდებულება შემკვეთისთვის დაემზადებინა 18 400 ერთეული რკინაბეტონის განძელი. თავის მხრივ, მოსარჩელე ვალდებული იყო გადაეხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 2 478 848 ლარი.

2. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 4.1 პუნქტის მიხედვით, საქონელი შემსყიდველის მიერ მიღებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ გადაცემულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, რომელიც შედგება და დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 5.1. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს და ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს. ამავე ხელშეკრულების 5.2. პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მიწოდებული საქონლის უხარისხობით გამოწვეული ზარალი. ამავე მუხლის 5.3. პუნქტის თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია ხარისხისა და რაოდენობის თაობაზე. მიმწოდებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს წარდგენილი პრეტენზია და ჩაანაც-

ვლოს დეფექტური საქონელი ახლით საკუთარი სახსრებით.

4. 2009 წლის 13 მაისს, მოსარჩელესა და კერძო პირს შორის გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 14 მაისს გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 15 მაისს 416 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 22 ივნისს 672 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 23 ივნისს 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 24 ივნისს გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 25 ივნისს გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 29 ივნისს გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 06 ივლისს გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 28 ივლისს გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 29 ივლისს გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 30 ივლისს გაფორმდა 1 120 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 01 სექტემბერს გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 02 სექტემბერს გაფორმდა 224 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 11 სექტემბერს გაფორმდა 448 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 15 სექტემბერს გაფორმდა 896 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 23 სექტემბერს გაფორმდა 672 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 24 სექტემბერს გაფორმდა 672 ერთეული განძელის მიღება-ჩაბარების აქტი. 2009 წლის 25 სექტემბერს გაფორმდა 560 განძელის მიღება-ჩაბარების აქტი.

5. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 08 აპრილის ექსპერტიზის დასკვნით გორი-სურის გადასარბენ მონაკვეთზე შპალეები დაზიანებულია თითქმის ყველა პიკეტში მეტნაკლები რაოდენობით. მთლიანად ამ მონაკვეთში დაზიანებული და შესაბამისად გამოსაცვლელი შპალეების რაოდენობა შეადგენს 2 177 შპალს.

6. კერძო კომპანია შეერწყა შპს „მ-ს“ (შემდეგში: მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე), რის გამოც, მოპასუხე არის კერძო კომპანიის სამართალმემკვიდრე.

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, 1777 ერთეული დაზიანებული განძელის ახლით შეცვლის და 144675 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მიერ დამზადებული 2 177 ერთეული

განძეული იყო ნაკლის მქონე. ნაკლიანი ნივთების ნაწილი, კერძოდ, 584 ერთეული განძეული შეცვლილი იქნა თავად მოსარჩელის მიერ, რომელმაც ამისთვის დამატებით გასწია ხარჯი 144 675 ლარის ოდენობით, ხოლო 1 777 ერთეული განძეული კვლავ შესაცვლელია [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 629-ე, 639-ე, 641-ე 642-ე მუხლები].

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის განჩინებით.

10. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია განჩინების პპ:1-6 -ით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

11. სააპელაციო პალატამ დავა მოაწესრიგა სსკ-ის 128-ე, 129-ე და 144-ე მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა სსკ-ის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევას, როდესაც კანონი სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადად მიუთითებდა სხვა ვადაზე.

12. სსკ-ის 655-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კი, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო, შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა, ვინაიდან, შესრულების ნაკლი ეხებოდა 2009 წლის 06 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე, კერძო კომპანიის მიერ იმ რკინაბეტონის განძეულების დამზადებას, რომლებიც განკუთვნილი იყო სარკინიგზო ლიანდაგის მშენებლობისათვის.

13. უარყოფილი იქნა მოსარჩელის პოზიცია მოთხოვნაზე 5-წლიანი ხანდაზმულობის გავრცელების თაობაზე. მოსარჩელის არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ ვინაიდან სარკინიგზო ხაზი წარმოადგენდა უძრავ ნივთს, ხოლო განძეულები მისი არსებითი შემადგენელი ნაწილი იყო, შესრულების ნაკლის გამო, მის მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

14. სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ

შემდეგი მნიშვნელობა: ა) უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა; დ) ხაზობრივი ნაგებობა – საკომუნიკაციო ნაგებობა, საავტომობილო გზა, რკინიგზა, ყველა სახის მილსადენი, გვირაბი, საჰაერო-საბაგირო გზა, ელექტროგადამცემი ხაზი, კავშირგაბმულობის ხაზი, ფუნიკულორი, დამბა, არხი. პალატამ აღნიშნა, რომ მართალია აღნიშნული ნორმის თანახმად სარკინიგზო ხაზი განიხილება უძრავ ნივთად, თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არა სარკინიგზო ლიანდაგის, არამედ მისი შემადგენელი ნაწილის – რკინაბეტონის განძელების დამზადება. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც შესასრულებელი სამუშაოს საგანია მოძრავი ნივთი, თუნდაც ის განკუთვნილი იყოს შენობა-ნაგებობის ან სხვა უძრავი ნივთისათვის, შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა.

15. სსკ-ის 65ნ-ე მუხლის ნორმატიული დანაწესით, თუ ხელშეკრულების მიხედვით სამუშაო მიღებულია ნაწილ-ნაწილ, ნაკლის გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან. მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად მიჩნეული იქნა 2009 წლის 26 სექტემბერი. 2009 წლის 06 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე დამზადებული განძელების მიღება ხდებოდა ნაწილ-ნაწილ. დამზადებული განძელების მიღების თაობაზე ბოლო მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდა 2009 წლის 25 სექტემბერს. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 26 სექტემბრიდან და იგი ამოინურა 2010 წლის 26 სექტემბერს. მოსარჩელის მიერ სარჩელი დაზიანებული განძელების შეცვლის და მის მიერ განძელების შეცვლისთვის განეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე აღძრული იქნა 2014 წლის 16 ივლისს. აღნიშნული კი, იმაზე მიუთითებდა, რომ სარჩელი აღძრული იქნა კანონით დადგენილი ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, რომელმაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

17. გასაჩივრებული განჩინების საფუძველად კასატორი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 393 და 394 „ე“ მუხლებს მიიჩნევს.

18. კასატორი ახდენს სსკ-ის 655-ე მუხლის ციტირებას და მიუთითებს ხელშეკრულების საგანზე, სახელდობრ, კასატორს მიაჩნია, რომ ვინაიდან ხელშეკრულების საგანი განკუთვნილი იყო სარკინიგზო ლიანდაგისათვის, ხოლო თავად ლიანდაგი, როგორც ხაზობრივი ნაგებობა უძრავ ნივთს მიეკუთვნება, მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო 5-წლიანი ხანდაზმულობა.

19. იმავდროულად, კასატორი დეფექტის გამოვლენის ვადად მიუთითებს 2013 წელს და აღნიშნავს, რომ დეფექტის გამოვლენამდე, მოსარჩელეს არ ჰქონდა ინფორმაცია ნაკლიან მიწოდებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

21. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

22. განსახილველ შემთხვევაში, აღძრული სარჩელის ფაქტობრივი საფუძველია ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლიანი ნივთის დამზადება, ხოლო საკასაციო საჩივარი ეფუძნება მოთხოვნის ხელშემშლელი შესაგებლის (ხანდაზმულობა) უსაფუძვლობას. მოთხოვნის ხანდაზმულობის უარსაყოფად, კასატორი ეყრდნობა სსკ-ის 655-ე მუხლის ნორმატიულ რეგულირებას, რომლის მიხედვით, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან.

23. საკასაციო პალატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის კვლევის შედეგად ასკვნის, რომ წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება), შემდეგ გარემოებათა გამო:

24. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხა-

რის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები. სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

25. საგულისხმოა, ისიც, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, მოპასუხე უფლებამოსილია მიუთითოს სასარჩელო ხანდაზმულობაზე, რაც, მისი დადასტურების შემთხვევაში, წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების ხელშემშლელ შედეგებს.

26. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის საფუძველი ნაკლიან შესრულებაში მდგომარეობდა. სახელდობრ, დადგენილია, რომ კერძო კომპანიამ იკისრა ვალდებულება შემკვეთისთვის დაემზადებინა 18,400 ერთეული რკინაბეტონის განძელი. ხელშეკრულების მიხედვით, მხარებმა შეადგინეს განძელის მიღება-ჩაბარების აქტები. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 08 აპრილის ექსპერტიზის დასკვნით გორი-სკრის გადასარბენ მონაკვეთზე შპალები დაზიანებულია თითქმის ყველა პიკეტში მეტნაკლები რაოდენობით. მთლიანად ამ მონაკვეთში დაზიანებული და შესაბამისად გამოსაცვლელი შპალების რაოდენობა შეადგენს 2 177 შპალს.

27. უარსაყოფია კასატორის პრეტენზია მოთხოვნაზე 5-წლიანი ხანდაზმულობის გავრცელების თაობაზე. მართალია, სადავო სამართალურთიერთობის შინაარსის მიხედვით გამოსაყენებელი სამართლის ნორმას წარმოადგენს არა სსკ-ის 130-ე მუხლი (ზოგადი ნორმა ხანდაზმულობის შესახებ), არამედ სპეციალური ნორმა – 655-ე მუხლი, თუმცა, კასატორის არგუმენტი იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ კონკრეტულ შემთხვევაზე სწო-

რედ 5-წლიანი ხანდაზმულობა უნდა გავრცელდებულ იყოს, რასაც არ გააჩნია ვარგისი სამართლებრივი საფუძველი. მართალია, სარკინიგზო ხაზი წარმოადგენს უძრავ ნივთს [„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი], თუმცა, სადავო შემთხვევა შეეხება არა სარკინიგზო ლიანდაგის დამზადებას, არამედ მისთვის განკუთვნილი 18,400 ერთეული რკინაბეტონის განძელის დამზადებას. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც შესასრულებელი სამუშაოს საგანია მოძრავი ნივთი, თუნდაც ის განკუთვნილი იყოს შენობა-ნაგებობის ან სხვა უძრავი ნივთისათვის, შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა.

28. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადის ათვლის დროს, სსკ-ის 656-ე მუხლის ნორმატიული დანაწესით, თუ ხელშეკრულების მიხედვით სამუშაო მიღებულია ნაწილ-ნაწილ, ნაკლის გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან. მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად მიჩნეული იქნა 2009 წლის 26 სექტემბერი. 2009 წლის 06 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე დამზადებული განძელების მიღება ხდებოდა ნაწილ-ნაწილ. დამზადებული განძელების მიღების თაობაზე ბოლო მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდა 2009 წლის 25 სექტემბერს. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 26 სექტემბრიდან და იგი ამოიწურა 2010 წლის 26 სექტემბერს. კასატორი მიუთითებს, რომ მან მხოლოდ 2013 წელს შეიტყო ნაკლის შესახებ, თუმცა აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემკვეთის მიერ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლას იწყებს არა იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, არამედ შესრულებული სამუშაოს მიღების მომენტიდან (იხ., სუსგ 1072-1102-2011, 23 ოქტომბერი, 2011 წელი).

29. საკასაციო პალატა ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამ-

დე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციისა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

30. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლიანი მიწოდების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

32. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორს სს „ს-ას“ უკან დაუბრუნდეს 2017 წლის 30 მაისს საგადახადო დავალება №1998 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (7,233.75 ლარი) 5063.62 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. დაზღვევა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მისამამ პირისაგან

განჩინება

№ას-380-364-2016

22 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სუბროგაციის პრინციპით

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. სს სადაზღვევო კომპანია „...-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ა.-ის (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის – 4828.70 ლარის ანაზღაურების შესახებ სუბროგაციის პრინციპით.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 6 დეკემბერს ავტოსატრანსპორტო საშუალება სახელმწიფო ნომრით „...“, რომელსაც მართავდა მოპასუხე, ქ. ქუთაისთან შეეჯახა ლ.-ის (შემდგომში – დამზღვევი) კუთვნილ „...-ის“ მარკის ავტომობილს სახელმწიფო ნომრით „...“. საპატრულო პოლიციის 2015 წლის 6 მარტის ადმინისტრაციული №.. სამართალდარღვევის ოქმით დამრღვევ მძღოლად ცნობილ იქნა მოპასუხე. ავტომანქანა „...“ დაზღვეული იყო მოსარჩელე საზოგადოებაში და დაზღვეულს ზიანი აუნაზღაურდა, რაც, თავის მხრივ, მზღვეველის მიერ მოპასუხისათვის რეგრესის წესით თანხის გადახდის მოთხოვნის საფუძველია.

მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ დაზარალებულს მიყენებული ზიანის ანგარიშში 3000 აშშ დოლარი უკვე გადაუხადა.

მესამე პირის პოზიცია:

4. საქმეში მესამე პირად ჩაება დამზღვევი, რომელმაც სა-

სარჩელო მოთხოვნას მხარი დაუჭირა და მიუთითა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მისი ავტომანქანა, რომლის ღირებულება იყო 8000-8500 აშშ დოლარი, ასევე, ჯანმრთელობის დაზიანება მიადგა დედამისს და დასჭირდა მკურნალობა. სადაზღვევო კომპანიამ აანაზღაურა ზიანის მხოლოდ ნაწილი – 5000 ლარამდე ოდენობით, ავტომანქანის რეალიზაციით მიიღო 2400 აშშ დოლარი (ჩააბარა ავტონაწილების ბაზრობაზე), ხოლო მოპასუხის მიერ გადახდილი 3000 აშშ დოლარი ემსახურებოდა დანარჩენი ზიანის ანაზღაურებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 639.9 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მოპასუხის მიერ 2014 წლის 6 დეკემბერს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად დაზიანდა დამზღვევის კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც დაზღვეული იყო მზღვეველის მიერ 11400 ლარად. დაზიანებული ავტომანქანა (რომლის ნარჩენი ღირებულება იყო 2500 აშშ დოლარი, ანუ – 4490 ლარი) დარჩა დამზღვევს. მოპასუხემ ზიანის ანაზღაურებისათვის დამზღვევს 2015 წლის 14 იანვარს გადაუხადა 3000 აშშ დოლარი. 2015 წლის 29 იანვარს მზღვეველმა დამზღვევს გადაუხადა 4828.7 ლარი, სადაზღვევო თანხის სახით.

8. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და დამატებით მიუთითა, რომ დაზღვეული ავტომანქანის დაზიანებამდე, სადაზღვევო პოლისის გარდა, მისი საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი სხვა მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. ამდენად, არ მტკიცდება, რომ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 827-ე

მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არასრული (შემცირებული) დაზღვევა და უნდა ჩაითვალოს, რომ ავტომანქანა რეალურად ღირდა სწორედ 11400 ლარი. მოპასუხეს არ უღიარებია, რომ ავტომანქანის საბაზრო ღირებულება იყო 8000 აშშ დოლარი, მან უბრალოდ უარყო დამზღვევის შეთავაზება, ამ თანხის გადახდის სანაცვლოდ, მიელო საკუთრებაში დაზიანებული ავტომანქანა.

9. სააპელაციო პალატამ უტყუარ მტკიცებულებებზე არ ჩათვალა მესამე პირისა და მზღვეველის ახსნა-განმარტებები ავტომანქანის ღირებულებასთან დაკავშირებით, რადგან ისინი, პრაქტიკულად, წარმოადგენენ ერთ მხარეს და მათი ახსნა-განმარტება გაქარწყლებულია მოპასუხის სანინაალმდეგო შინაარსის ახსნა-განმარტებით.

10. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაზიანებული ავტომანქანის ნარჩენი ღირებულება, სადაზღვევო თანხის გადახდის მომენტისათვის, შეადგენდა 4490.5 ლარს. 2015 წლის 14 იანვარს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გათვალისწინებით (საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის თანახმად, 1 აშშ დოლარი=1.9232 ლარს), მოპასუხის მიერ დამზღვევისათვის გადახდილი 3000 აშშ დოლარი შეადგენდა 5769.6 ლარს.

11. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქმის მასალებით არ მტკიცდება, რომ მოპასუხეს სხვა რაიმე ვალდებულება გააჩნდა დამზღვევის მიმართ. ამდენად, ეს თანხაც მიჩნეულ უნდა იქნეს, სწორედ ავტომანქანის დაზიანებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მიზნით, გადახდილ კომპენსაციად. შესაბამისად, დამზღვევმა, საერთო ჯამში, მიიღო 10760.1 ლარი და 2015 წლის 29 იანვრისათვის ასანაზღაურებელი იყო მხოლოდ 639.9 ლარი (11400 – 10760.1).

12. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მზღვეველსა და დამზღვევს შორის არსებობდა სსკ-ის 799-ე და 820-ე მუხლებით გათვალისწინებული, ზიანის დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მზღვეველი ვალდებული იყო, ზიანი აენაზღაურებინა ფულადი კომპენსაციით, სადაზღვევო თანხის (11400 ლარი) ფარგლებში.

13. ამავე კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. ამდენად, იმისათვის, რომ მზღვეველს ე.წ. „სუბროგაციის პრინციპით“ გაუჩნდეს უფლება, წაუყენოს მოთხოვნა სამართალ-

დამრღვევს, სადაზღვევო თანხის გადახდის მომენტიდან დაწყებული უნდა არსებობდეს თავად ზიანის (მატერიალური დანაკლისის) ფაქტი.

14. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 29 იანვრის მდგომარეობით დამზღვევეს გააჩნდა სამართალდამრღვევის მიმართ, ზიანის ანაზღაურების მიზნით, მხოლოდ 639.9 ლარის მოთხოვნის უფლება, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მზღვეველმა გადაუხადა დამზღვევეს სადაზღვევო თანხა 4828.7 ლარის ოდენობით, მასზე მაინც ვერ გადავიდოდა 639.9 ლარზე მეტი თანხის მოთხოვნის უფლება.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

15. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

16. კასატორის მოსაზრებით, სსკ-ის 799-ე მუხლის შესაბამისად, მზღვეველი მოქმედებდა დამზღვევეთან დადებული ხელშეკრულების პირობებით და მის მიერ ანაზღაურდა ზიანი ნარჩენი ღირებულების, ფრანშიზისა და გასაქვითი თანხის გამოკლებით, სულ – 4828,70 ლარის ოდენობით, რაც არ ნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი ზუსტად ამ თანხას შეადგენდა. აღნიშნული ოდენობა არის ზიანის ის ნაწილი, რომლის ანაზღაურების ვალდებულებაც გააჩნდა მზღვეველს დამზღვევის მიმართ სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად. დარჩენილი თანხა შეადგენდა 6571,30 ლარს (11400 ლარს – 4828,70 ლარი), რაც დაახლოებით შეესაბამება მოპასუხის მიერ გადახდილ ოდენობას.

17. კასატორის მოსაზრებით, სინამდვილეს არ შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ მოპასუხემ სრულად აანაზღაურა მიყენებული ზიანი ან მის მიერ ანაზღაურებულ იქნა ზიანის ის ნაწილი, რაც სადაზღვევო კომპანიის მიერ იყო გადახდილი.

18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კასატორმა მიიჩნია, რომ მოპასუხის მტკიცების საგანს შეადგენდა ის გარემოება, რომ მის მიერ სრულად ანაზღაურდა ზიანი, რის საწინააღმდეგოდ მეტყველებს მესამე პირის პოზიცია და მათემატიკური გათვლები.

19. კასატორმა მიუთითა სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმით გათვალისწინე-

ბულია შესაძლებლობა, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევეს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპის სახით. ეს პრინციპი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც, ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის მეშვეობით, დამზღვევის ნაცვლად, მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში დამზღვევის ქონებრივი ინტერესების ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

20. სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის, ე.ი. როგორც კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი). მიუხედავად იმისა, რომ ეს ურთიერთობა ძალიან გავს ცესიას (სსკ-ის 199-ე მუხლი), ის არსებითად განსხვავდება კლასიკური მოთხოვნის დათმობისაგან შემდეგი ნიუანსით, მოთხოვნის დათმობა ხდება გარიგებით, სადაც მოთხოვნის მიმღები თვითონ განსაზღვრავს, მიიღოს თუ არა მოთხოვნა და მოთხოვნის არსებობის რისკს მის არჩევანზე დამოკიდებული. რაც შეეხება 832-ე მუხლით განსაზღვრულ მზღვეველის უფლებამოსილებას, ის გამომდინარეობს კანონიდან და აქ გასათვალისწინებელია დაზღვევის ხელშეკრულების ბუნება, კერძოდ ის, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულებაა. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამზღვევი მოვალეა, გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი, ხოლო მზღვეველი მოვალეა, აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. შესაბამისად, მზღვეველი შებოჭილია სადაზღვევო ხელშეკრულებით, აანაზღაუროს ზიანი თუ მას ამ მოთხოვნით დაზღვეული მიმართავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაარღვევს ხელშეკრულებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძვლებს იმ შემთხვევის გამო, თუ დამნაშავე პირი აუნაზღაურებს ზიანს დამზღვევეს.

21. იმის გათვალისწინებით, რომ, ერთი მხრივ, ჩანაცვლება კანონისმიერია ხოლო, მეორე მხრივ, მზღვეველი შებოჭილია სახელშეკრულებო თვითბოჭვით, მოახდინოს თანხის ანაზღა-

ურება, სსკ-ის 832-ე მუხლით დადგინდა სპეციალური წესი, კერძოდ: „თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით“. ანუ სუბროგაცია ისპობა, თუ დაზღვეული უარს იტყვის მესამე პირის მიმართ მოთხოვნაზე, რაც გულისხმობს, რომ მოხდა ვალის პატიება. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ათავისუფლებს მზღვეველს ვალდებულების შესრულებისგან, რაც სუბროგაციის საფუძველია კონკრეტულ შემთხვევაში.

22. კასატორმა მიიჩნია, რომ დაზღვეულს თავის მოთხოვნაზე უარი არ უთქვამს, რაც დასტურდება მისი პოზიციით განსახილველ საქმეზე. შესაბამისად, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, გადახდილ 3000 აშშ დოლართან დაკავშირებით დავა კი უნდა გადნყდეს დაზღვეულსა და დამრღვევ პირს შორის, რადგან მითითებული საკითხი წინამდებარე დავის საგანს – რეგრესის წესით მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას სცდება.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

25. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ 2014 წლის 6 დეკემბერს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად დაზიანდა დამზღვევის კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც დაზღვეული იყო მზღვეველის მიერ 11400 ლარად.

26. დაზიანებული ავტომანქანა (რომლის ნარჩენი ლირებულება იყო 2500 აშშ დოლარი, ანუ – 4490 ლარი) დარჩა დამზღვევს.

27. 2015 წლის 14 იანვარს მოპასუხემ, ზიანის ანაზღაურების მიზნით, დამზღვევს გადაუხადა 3000 აშშ დოლარი. 2015 წლის 29 იანვარს მზღვეველმა სადაზღვევო თანხის სახით დამზღვევს გადაუხადა 4828.7 ლარი.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

29. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

30. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

31. მოცემულ შემთხვევაში დავა შეეხება სსკ-ის 832-ე მუხლის განმარტებას, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ დამზღვევეს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის აუნაზღაურებს დამზღვევეს ზიანს.

32. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევეს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპის სახით. ეს პრინციპი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს

ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის მეშვეობით დამზღვევის ნაცვლად მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის, ე.ი. როგორც კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი). ასეთ შემთხვევაში ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, მაგრამ იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი. ამ დროს ახალი მოთხოვნა კი არ წარმოიშობა, არამედ იცვლება მხოლოდ კრედიტორი, კერძოდ, დაზარალებული დამზღვევი იცვლება სადაზღვევო კომპანიით (მზღვეველით).

33. სწორედ ზემოაღნიშნული განასხვავებს სუბროგაციას რეგრესისაგან, კერძოდ, რეგრესის დროს ხდება არა პირის შეცვლა უკვე არსებულ ვალდებულებაში, არამედ ამ შემთხვევაში კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება. რეგრესის დროს ერთი ვალდებულება ცვლის მეორეს, ხოლო, სუბროგაციის შემთხვევაში ვალდებულებაში იცვლება მხოლოდ კრედიტორი, თვით ვალდებულება კი უცვლელი რჩება. სუბროგაციის დროს მზღვეველი ცვლის დამზღვევს იმ ვალდებულებაში, რომელიც წარმოიშვა ზიანის მიყენებისაგან, სწორედ ამიტომ მისი დადგომა არ განაპირობებს ახალი ვალდებულების წარმოშობას. ეს არსობრივი ნიშანი განასხვავებს სუბროგაციას რეგრესული ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოიშობა სხვა ვალდებულების შესრულების (შენწყვეტის) შედეგად და ამით ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულების ხასიათს იძენს. სუბროგაციის დროს ახალი ვალდებულება კი არ წარმოიშობა, არამედ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას. ასეთ დროს ხდება ვალდებულებით ურთიერთობაში პირების შეცვლა კანონის საფუძველზე, კრედიტორის უფლებების სხვა პირზე გადასვლის გზით, კერძოდ, მზღვეველი ცვლის ზიანის მიმყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე დამზღვევს. ამდენად, სუბროგაციის დროს მოთხოვნის დათმობის კანონისმიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რაც განასხვავებს მას ცესიისაგან (სკ-ის 199-ე მუხლი), რა დროსაც მოთხოვნის დათმობა ხდება გარიგების ძალით. ამასთან, იმისდა მიუხედავად, თუ მოთხოვნის დათ-

მოხის რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია ის, რომ მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაში იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორიც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა ნაუყენოს მოვალეს, ხოლო, მოვალე უფლებამოსილია ახალ კრედიტორს ნაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას გააჩნდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ (სუსგ 5.09.2012წ. №ას-581-549-2011).

34. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მოცემული ნორმის განმარტება სრულიად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკას. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

36. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2016 წლის 22 აპრილის №7464 საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. სს სადაზღვევო კომპანია „...-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ სს სადაზღვევო კომპანია „...-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2016 წლის 22 აპრილის №7464 საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. საბანკო გარანტია

გარანტიის ვალდებულების დამოუკიდებლობა ქირითადი ვალდებულებისაგან

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1038-999-2016

1 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაძე,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: საბანკო გარანტიის თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2014 წლის 28 მარტს შპს „D“-სა (შემდეგში: მოსარჩელე) და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდეგში: მოპასუხე) შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02-02/37 ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება), რომლითაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება მოპასუხისათვის მიეყიდა 80 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და სათიბელით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 312 000 ლარი.

2. მოსარჩელემ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მოპასუხეს წარუდგინა სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდეგში: ბანკი) 15 600 ლარის გარანტია {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 879-ე, 880-ე 881-ე მუხლები}.

3. ხელშეკრულება მიწოდების ვადების დარღვევისათვის შეიცავდა შეთანხმებას პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ი, რაც შეადგენდა დღეში 624 ლარს {სსკ-ის 416-ე, 417-ე მუხლები}.

4. ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვრა 50 კალენდარული დღე. ხელშეკრულების შესრულების ბოლო დღე იყო 2014 წლის 17 მაისი.

5. მოსარჩელემ მრავალფუნქციური მოტობლოკი ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და სათიბელით, მოპასუხეს მი-

ანოდა 2014 წლის 20 მაისს, მაგრამ მოტობლოკებს არ ახლდა მარაგნაწილები – 240 ერთეული ფრეზის დანა, რის გამოც, მოპასუხემ მიწოდებული საქონელი არ მიიღო.

6. მოსარჩელემ ხელშეკრულება სრულყოფილად შეასრულა 2014 წლის 30 მაისს.

7. მოპასუხემ ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, მოსარჩელეს მოსთხოვა 7488 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა. მოთხოვნილი თანხა მოსარჩელემ სრულად გადაიხადა 2014 წლის 7 ივნისს.

8. მოპასუხემ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, ბანკს მოსთხოვა საბანკო გარანტიის თანხის გადარიცხვა.

9. ბანკმა მოპასუხეს გადაურიცხა საბანკო გარანტიის თანხა 15 600 ლარი.

10. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 15 600 ლარის დაკისრება {სსკ-ის 976.1. „ა“ მუხლი}.

11. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის შესრულების ვადად განისაზღვრა 50 კალენდარული დღე. ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილი იყო საბანკო გარანტიით. მიწოდების ვადების დარღვევისათვის ხელშეკრულება ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს. მოსარჩელემ ვალდებულება სრულად შეასრულა 10 დღის დაგვიანებით, რის გამოც, მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე, გადაიხადა პირგასამტეხლო. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ ბანკისაგან მოითხოვა წარდგენილი საბანკო გარანტიის 15 600 ლარის გადახდაც. ბანკმა მოპასუხეს გადაუხადა 15 600 ლარი. ამ თანხით მოპასუხე გამდიდრდა უსაფუძვლოდ, რაც უნდა დაუბრუნოს მოსარჩელეს.

12. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის შემწყვეტი შედავება და განმარტა, რომ პირგასამტეხლო 7488 ლარის ოდენობით მოსარჩელემ გადაიხადა ვადის დარღვევის გამო. გარდა ვადის დარღვევისა, მოსარჩელემ დაარღვია სხვა პირობებიც კერძოდ, მიაწოდა ნაკლიანი ნივთი. ეს ხარვეზი მოსარჩელემ გამოასწორა 2014 წლის 29 მაისს, რის შემდეგაც მოპასუხემ შესრულება მიიღო. ხელშეკრულების 12.2 პუნქტის საფუძველზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა უპირობოდ გადაეცემოდა შემსყიდველს. იმის გამო, რომ მოპასუხემ დაარღვია როგორც მიწოდების ვადები, ასევე მიაწოდა ნაკლიანი ნივთი, გაუჩნდა

ვალდებულება გადაეხადა, როგორც პირგასამტეხლო (ვადის დარღვევისათვის), ისე საბანკო გარანტია (ნაკლიანი ნივთის მიწოდებისათვის). შესაბამისად, ბანკმა ეს თანხა მოპასუხეს გადაურიცხა საფუძვლიანად.

13. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 15600 ლარის გადახდა.

14. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხემ სააპელაციო წესით და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინებით არ დააკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

16. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა წინამდებარე განჩინების პპ: 1-9. ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენებოდა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით. აღნიშნულ გარანტიას შემსყიდველი გამოიყენებდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის, შეუსრულებლობის ან/და არასრულად შესრულების შემთხვევაში. მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული საგარანტიო თანხა უპირობოდ გადაეცემა შემსყიდველს. აღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს შეტყობინების მიღებიდან 5 საბანკო დღის ვადაში, შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე და მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადასახადო დავალების დედანი ან ბანკის მიერ დამოწმებული ასლი).

17. სააპელაციო პალატამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით გამოიყენა სსკ-ის 477-ე მუხლი და მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას მიანიჭა ნასყიდობის სამართლებრივი კვალიფიკაცია. იმავდროულად, აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება მოსარჩელემ სრულად შეასრულა, თუმცა ვადის გადაცილებით, რისთვისაც 2014 წლის 7 ივნისს

გადაიხადა მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პირგა-სამტეხლო და ამ დროიდან სკ-ის 427-ე მუხლის შესაბამისად, მათ შორის, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალ-დებულებითი ურთიერთობა შეწყვეტილია.

18. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ მხოლოდ მიწოდების ვადა დაარღვია, რისთვისაც გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო, რაც 7488 ლარის ოდენობით გადაიხადა, დამატებით ხელშეკრულების 12.1-12.2 პუნქტებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის 15600 ლარის გადახდა ეწინააღმდეგება სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპს და იწვევს მოპასუხის უსაფუძვლოდ გამდიდრებას. სსსკ-ის 879-ე, 880-ე, 881-ე მუხლების თანახმად, საბანკო გარანტია წარმოადგენს გარანტიის გამცემის გამოუთხოვად ვალდებულებას, გადაიხადოს საგარანტიო თანხა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი წარმოადგენს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას, დამოუკიდებელი ვალდებულებაა და მისი პირობების თანახმად, გარანტიის გამცემი ვალდებულია, გადაიხადოს თანხა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე. საბანკო გარანტიის, როგორც ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების მიზანია, დაიცვას ბენეფიციარი იმ რისკისაგან, რომელიც დაკავშირებულია ვალდებულების არაჯეროვან ან საერთოდ შეუსრულებლობასთან. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტია გამოუთხოვად ვალდებულებას წარმოადგენს და გარანტორს ეკისრება ბენეფიციარის წინაშე მისი შესრულების ვალდებულება, თუკი ბენეფიციარის დაკმაყოფილების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნა შესრულდა (პრინციპალმა დააკმაყოფილა ბენეფიციარის მოთხოვნა), შეწყდა სხვა საფუძვლით, ან ბათილია, წარმოიშობა ვითარება, როდესაც ბენეფიციარი საბანკო გარანტიიდან იღებს დაკმაყოფილებას ისე, რომ საერთოდ არ გააჩნია ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. საბანკო გარანტიის არააქცესორული ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ ბენეფიციარი უფლებამოსილია დაიტოვოს მსგავსი შესრულება. ასეთ შემთხვევაში დგება უსაფუძვლოდ გადახდილის უკან დაბრუნების საკითხი, რომლის მოთხოვნის უფლებაც პრინციპალს გააჩნია სკ-ის 976 „ა“ მუხლის საფუძველზე.

19. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნა

ნით საკასაციო საჩივარი წარადგინა აპელანტმა.

20. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას საბანკო გარანტიის გადახდის მოთხოვნის საფუძველთან დაკავშირებით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მხარეთა შორის 2014 წლის 28 მარტს დადებული ხელშეკრულებასა და წარმოდგენილი საბანკო გარანტიის პირობებზე, რომელთა მიხედვითაც მონოდების ვადის დარღვევისთვის მიმნოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე, ხოლო მიმნოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის, შეუსრულებლობის ან/და არასრულად შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა საბანკო გარანტია. მიმნოდებლის მიერ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში საგარანტიო თანხა უპირობოდ გადაეცემოდა შემსყიდველს. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების ნებისმიერი დარღვევის ფაქტი წარმოშობს საგარანტიო შემთხვევას, რაც გარანტიის გამოყენების საფუძველია და სხვა დათქმა ან/და პირობა საგარანტიო შემთხვევებისა და საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ აღნიშნულ გარანტიაში არ ყოფილა. ის, თუ როდის არის გარანტი ვალდებული უზრუნველყოს ბენეფიციარზე გარანტიის თანხის გადახდა დამოკიდებულია საბანკო გარანტიის პირობებზე, ამიტომ საგარანტიო თანხის გადახდისას უნდა ვიხელმძღვანელოთ უშუალოდ საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულებით და არა იმ ძირითადი ვალდებულებით, რის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია, ეს კი არ გამხდარა სასამართლოს მსჯელობის საგანი. კასატორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა საბანკო გარანტია უსაფუძვლო გამდიდრებად, ვინაიდან არ არსებობს საბანკო გარანტიის შეთანხმებიდან გამომდინარე, ვალდებულების უსაფუძვლო გამდიდრებად ცნობის საფუძველები. უსაფუძვლო გამდიდრებისთვის აუცილებელია სარგებლის მიღების იურიდიულად ნამდვილი საფუძვლის არ არსებობა და ამავდროულად, პირი სარგებლის სახით უნდა იღებდეს იმ სიკეთეს, რომელიც სხვას ეკუთვნის. კონკრეტულ შემთხვევაში საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა მოხდა შესაბამისი იურიდიული საფუძველით, რაც გამორიცხავს მისი უკან დაბრუნების ვალდებულებას.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 28 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

22. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

23. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კასატორს სადავოდ არ გაუხდია:

23.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება მოპასუხისათვის მიეყიდა 80 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და სათიბელით.

23.2. მოსარჩელემ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მოპასუხეს წარუდგინა ბანკის მიერ გაცემული 15 600 ლარის გარანტია.

24.3. ხელშეკრულება მიწოდების ვადების დარღვევისათვის შეიცავდა შეთანხმებას პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ი, რაც შეადგენდა დღეში 624 ლარს.

25.6. მოსარჩელემ ხელშეკრულება სრულყოფილად შეასრულა 2014 წლის 30 მაისს.

25.7. მოპასუხემ ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, მოსარჩელეს მოსთხოვა 7488 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა. მოთხოვნილი თანხა მოსარჩელემ სრულად გადაიხადა 2014 წლის 7 ივნისს.

25.8. მოპასუხემ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, ბანკს მოსთხოვა საბანკო გარანტიის თანხის გადარიცხვა. ბანკმა მოპასუხეს გადაურიცხა საბანკო გარანტიის თანხა 15 600 ლარი.

26. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის იხელმძღვანელა სსკ-ის 976-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ვინაიდან მო-

სარჩელემ მხოლოდ მიწოდების ვადა დაარღვია, რისთვისაც გადაიხადა პირგასამტეხლო 7488 ლარი, ამით მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა და საბანკო გარანტიის თანხის მიღებით მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა. სწორედ აღნიშნულ სამართლებრივ შეფასებას ხდის კასატორი სადავოდ და მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს შეფასება ეწინააღმდეგება საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნებას და მის ფუნქციონალურ დანიშნულებას სახელმეკრულე-ბო ურთიერთობებში.

27. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც გამოიხატა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 976-ე მუხლის არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

28. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს ზოგადად საბანკო გარანტიის სამართლებრივ ბუნებაზეც და აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის მიხედვით საბანკო გარანტია ფულადი ვალდებულებაა, რომელიც ბენეფიციარს შესაძლებლობას ანიჭებს, მოვალის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს გარანტს წერილობით, მოითხოვოს გადახდა და მიიღოს მოთხოვნილი თანხა. მას ამისათვის არ სჭირდება წინასწარ მიმართვა რომელიმე იურისდიქციის ორგანოსთვის, თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასეთი მიდგომა ბენეფიციარის უფლების დასაცავად, გამონეწულია საქონლის/მომსახურების სწრაფად მზარდი ბრუნვით როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, როცა ყველა მხარე დაინტერესებულია ხელშეკრულებების სწრაფად შესრულებაში და მისი შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გარემოება დადგება.

საბანკო გარანტიის მთავარი განმასხვავებელი თავისებურება სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან ის არის, რომ იგი არ არის დამოკიდებული ხელშეკრულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. საბანკო გარანტია არააქცესორული ვალდებულებაა. იგი ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას იმ შემთხვევაშიც უზრუნველყოფს, როცა საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნა არ წარმოშობილა, მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულდა, შეწყდა ან ბათილია. (საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერ-

მანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, შესაბამისად, დამატებით ამ საკითხზე იხილეთ: MuKo HGB/ Welter, Zahlungsverkehr, Rn.3; Sorgel/ Heuser Vorb. zu §765-778 BGB, Rn.64; MuKo BGB, Habersack Vorb. zu §765-778 BGB, Rn.20; BGH WM 1999, 73; Graf von Westphalen/Jud/ Westphalen, Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr, S.166; Staudinger/ Horn Vorb. zu zu §765-778 BGB, Rn.320; Goode, Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, S.55).

საბანკო გარანტიის, როგორც არააქცესორული ვალდებულების, შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ გარანტს არ შეუძლია ბენეფიციარს წარუდგინოს შესაგებელი, რომელიც ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული გარანტიით უზრუნველყოფილი ურთიერთობიდან გამომდინარეობს. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი“ (იხ. სუსგ 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-562-871-09).

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე გარანტის მხრიდან შესასრულებელია იმ მომენტიდან, როდესაც ბენეფიციარი გარანტს წარუდგენს მოთხოვნას ფულადი თანხის გადახდის შესახებ. მხარეები საბანკო გარანტიაში ჩვეულებრივ თვითონ განსაზღვრავენ იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდა. მოთხოვნის წარდგენის ფორმალური წინაპირობების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება „პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის გარანტიის“ დროს ექცევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ბენეფიციარს ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია, რისი კომპენსირებაც სწორედ ამ ფორმალურ პროცედურაზე აქცენტის გადატანით ხდება.

სამოქალაქო კოდექსის 885.I მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტს წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს. საბანკო გარანტიის ჯეროვანი მოთხოვნისათვის აუცილებელი წინაპირობაა იმის დადგენაც, რომ, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარდგენა უფლებამოსილი პირის მიერ ხდება. სწორედ ამას ემსახურება წერილობითი ფორმა. იგი მიზნად ისახავს ბანკის დარწმუნებას, რომ მოთხოვნის წარმდგენი ნამდვილად ბენე-

ფიციარია. ბენეფიციარის მოთხოვნას თან უნდა დაერთოს გარანტიის მიმართებული დოკუმენტები. როგორც წესი, გარანტს ეს დოკუმენტები ორიგინალში უნდა წარედგინოს. ასლების წარდგენა არ არის საკმარისი. გარდა ამისა, მოთხოვნაში ან მის დაწინარებაში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი და ასევე ის, თუ რაში გამოიხატა ეს დარღვევა. იმის მტკიცება, ნამდვილად წარმოეშვა თუ არა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან მოთხოვნა პრინციპალის მიმართ, ბენეფიციარს არ ეკისრება.

როგორც წესი, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის განსაზღვრა კონკრეტული თარიღის მიითითებით ხდება. ვადის მიზანია ბენეფიციარის მოთხოვნის განხორციელების დროში შეზღუდვა. ბენეფიციარს გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ მაშინ ჩაეთვლება დროულად, თუკი გარანტს მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით გარანტიაში მიითითებული ვადის გასვლამდე წარედგინება (სსკ-ის 885.III მუხლი). ვადის გაშვების რისკი ბენეფიციარს ეკისრება. თუკი მოთხოვნა დროულად იქნა წარდგენილი, მაგრამ უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ბენეფიციარი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე ჯეროვანი წესით ხელახლა წარადგინოს მოთხოვნა და მოითხოვოს დაკმაყოფილება.

ბენეფიციარის მოთხოვნა არ გულისხმობს იმას, რომ გარანტიამ ყველა შემთხვევაში, უპირობოდ უნდა დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, გარანტი ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს და გადასცეს მას მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტიურთ.

დაუყოვნებელ შეტყობინებაში იგულისხმება შეტყობინება „ბრალეული გაჭიანურების გარეშე“ და იგი, როგორც წესი, მომდევნო საბანკო სამუშაო დღეა. ამ რეგულირებას ის გარემოება უდევს საფუძვლად, რომ საბანკო გარანტია სხვისი, კერძოდ, პრინციპალის ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გაიცემა. გარანტი პრინციპალის ვალდებულებას ასრულებს ბენეფიციარის მიმართ და შემდეგ ამ უკანსკნელის მიმართ რეგრესული წესით ითხოვს იმ თანხის გადახდას, რომელიც მან გადაუხადა ბენეფიციარს.

სსკ-ის 887.I მუხლის თანხმად, გარანტი უფლებამოსილია (და ვალდებულიც) შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტიის პირობებს. ბენეფიციარის მოთ-

ხოვნისა და მასზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება გარანტიის პირობებთან მოიცავს იმასაც, თუ რამდენად დაიცვა ბენეფიციარმა მოთხოვნის წარდგენისას სსკ-ის 885-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „სსკ-ის 885-ე მუხლი ავსებს სსკ-ის 887.I მუხლის დანაწესს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის შესახებ“ (იხ. სუსგ 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-781-996-08). თუ შემოწმების შედეგად გარანტი დაასკვნის, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ან მასზე თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს ან ისინი გარანტს წარედგინა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ, იგი უარს ეტყვის ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარანტს უფლება არა აქვს სხვა საფუძველით განაცხადოს უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარანტმა უარის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს. გარანტის უარი არ ნიშნავს, რომ გარანტის ვალდებულება წყდება. ბენეფიციარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს საბანკო გარანტიის მოქმედების დაჩქინილი დროის განმავლობაში ხელმეორედ წარადგინოს მოთხოვნა გარანტის მიმართ და მოსთხოვოს მას საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

თუკი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალმა განახორციელა ბენეფიციარის დაკმაყოფილება, ე.ი. ძირითადი ვალდებულება შესრულდა, შეწყდა რაიმე სხვა საფუძველით, ან ბათილია სსკ-ის 887.II მუხლის შესაბამისად, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. მხოლოდ ამგვარი შეტყობინება არ წარმოადგენს ვალდებულებისგან გარანტის გათავისუფლების საფუძველს. თუ ბენეფიციარის მოთხოვნა განმეორდა, მაშინ საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, გარანტი ვალდებულია დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მოთხოვნა. გარანტის შეტყობინება უზრუნველყოფს იმას რომ, გარანტი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად ბენეფიციარის წინაშე, ვიდრე იგი ბენეფიციარისგან არ მიიღებს ხელმეორე მოთხოვნას და მისი განხილვის გონივრული ვადა არ ამოიწურება. გარანტს რეგრესული ანაზღაურების უფლება არ წარმოეშობა მაშინ, თუკი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურება გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ განახორციელა.

29. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებლობა

საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულება), განაპირობებს მისი არააქცესორული ბუნება. თავად საბანკო გარანტია წარმოადგენს დამოუკიდებელ ვალდებულებას [სსკ-ის ის 881-ე მუხლი}. პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას. ამიტომაც, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები.(იხ., სუსგ №ას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი),

30. განსახილველ საქმეში, გარანტი ბენეფიციარის წინაშე კისრულობდა უპირობო ვალდებულებას „მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე შემსყიდველის პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე 5 საბანკო დღის განმავლობაში გადაეხადა გარანტიით გათვალისწინებული თანხა 15 600 ლარი. ამასთან, ნებისმიერი მოთხოვნის წარდგენის ვადა განისაზღვრა არაუგვიანეს 2015 წლის 03 მარტისა“. აღსანიშნავია, რომ საბანკო გარანტია რაიმე დათქმას პირგასამტეხლოს ჩათვლის ან გაქვითვის შესახებ არ ითვალისწინებდა.

31. ამდენად, დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხემ ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, მოსარჩელეს მოსთხოვა 7488 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა, რომელიც მოსარჩელემ სრულად გადაიხადა 2014 წლის 7 ივნისს, ხოლო ხელშეკრულების პირობის ერთი და იგივე დარღვევის ფარგლებში თანხის მიღებით, წარმოიშვა მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრება (იხ., სარჩელში დავის ფაქტობრივი გარემოება), ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ, რადგან, გარანტი ბენეფიციარის წინაშე კისრულობდა უპირობო ვალდებულებას „ბენეფიციარის პირველივე

წერილობითი მოთხოვნის მიღების მომენტიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაეხადა გარანტიით გათვალისწინებული თანხა“. დადგენილია, რომ ბენეფიციარმა გარანტიის მოქმედების ვადაში წარუდგინა გარანტს წერილობითი მოთხოვნა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების დარღვევის გამო და მოითხოვა საგარანტიო თანხის ანაზღაურება, რითაც შეასრულა გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულება [სსკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი]. ამდენად, მოცემულ საქმეში სახეზეა საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულების განმაპირობებელი ყველა ნაწამძღვარი:

ა) საბანკო გარანტიის ხელშეკრულების არსებობა, რომლითაც ბანკი უზრუნველყოფდა ხელშეკრულების შესრულებას პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ბ) პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რაც საკმარი საფუძველია საბანკო გარანტიის ამოქმედებისათვის;

გ) საბანკო გარანტიით დადგენილ ვადაში ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა გარანტორისათვის.

32. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რაც შეეხება პირგასამტეხლოს ანაზღაურებას პრინციპალის მიერ, აღნიშნული არ წარმოადგენს საბანკო გარანტიის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან ამგვარ შეთანხმებას გარანტია არ ითვალისწინებდა და იგი არც საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარეობს.

33. სსკ-ის 385-ე მუხლის თანახმად, ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი. ამავე კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; სსკ-ის 991-ე მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული.

34. მოხმობილ ნორმათა სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, კონდიქციური სარჩელის საფუძვლიანობის შეფასებისას უნდა დადგინდეს: არსებობდა თუ არა შესრულების მიღე-

ბის საფუძველი.

35. მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი შეფასების შედეგად, საკასაციო პალატა ასკენის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მიმწოდებლის ვალდებულებები უზრუნველყოფილი იყო საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით. სსკ-ის 881-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. სსკ-ი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის სპეციფიკურ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ძირითადი ვალდებულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. ამდენად, მოსარჩელის მითითება მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებისა და მისი მხრიდან 15600 ლარის უკან დაბრუნების თაობაზე, მოკლებულია ვარგის სამართლებრივ საფუძველს და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

36. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველია.

37. სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

38. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

39. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

40. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი, რომლის გადახდისაგან გათავისუფლებული იყო კასატორი (მოპასუხე). აღნიშნული თანხა შეადგენს სააპელაციო და საკასაციო საჩივრის ღირებულებების (15 600 ლარი) 4%-სა და 5%-ს – 1404 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „D“-ის („დ-ი“) სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „D“-ს („დ-ი“) დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 1404 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

კრების ოქმის ბათილად ცნობა

ბანჩინება

№ას-381-365-2016

18 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: კრების ოქმებისა და ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. გ-ის, იბა „შ-ის“, დ. დ-ის, ბ. ტ-ისა და ნ. ს-ის მიმართ და მოითხოვა: ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა 2008 წლის 10 იანვრისა და 25 დეკემბრის კრების ოქმების, ამხანაგობის წევრთა 2011 წლის 28 ნოემბრის საერთო კრების ოქმის, 2011 წლის 29 ნოემბრის ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების, ამხანაგობის გამგეობის 2012 წლის 9 აგვისტოსა და 23 აგვისტოს კრების ოქმების, 2012 წლის 14 აგვისტოს, 20 აგვისტოსა და 27 აგვისტოს საერთო კრების ოქმების, ლ. გ-ესა და ამხანაგობას (თავმჯდომარე დ. დ-ე, გამგეობის წევრი ბ. ტ-ე) შორის 2012 წლის 1 მარტს დადებული ნარდობის ხელშეკრულების, ასევე, ამხანაგობასა (თავმჯდომარე დ. დ-ე) და ლ. გ-ეს შორის 2012 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ქ. თბილისში, ძ-ის ქ. №...-ში, „ა“ კორპუსის მე-9 სართულზე მდებარე 187,70 კვ.მ „ა“ ბინის, ასევე, ამ კორპუსის მე-9 სართულზე მდებარე ამხანაგობის კუთვნილი 219,10 კვ.მ „ბ“ ბინისა და პირველ სართულზე მდებარე 363,00 კვ.მ საოფისე ფართიდან 300 კვ.მ ფართის მესაკუთრედ მოსარჩელის აღიარება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1.2.1. ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 23 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით ჩამოყალიბ-

და ამხანაგობა „შ.“ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკე-საბურთალოს გამგებლის 2001 წლის 6 თებერვლის №... განკარგულებით დამტკიცდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „შ-ის“ საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შევიდა მოსარჩელე. 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობა „შ-ის“ საერთო კრების ოქმის საფუძველზე ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლებთან და ამხანაგობის წევრებმა მიიღეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სადამფუძნებლო ხელშეკრულების პროექტი, ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ და წევრად აირჩიეს დ. დ-ე, თანათავმჯდომარედ – შ. მ-ი, ხოლო გამგეობის წევრებად: ზ. ა-ე და ბ. ტ-ე. კრებამ დამტკიცა ქ. თბილისში, ნ-ის მე-3 მიკრორაიონის პირველი კვარტლის მიმდებარედ 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მშენებარე „ა“ და „ბ“ კორპუსების ბინებისა და ავტოფარეხების განაწილების გეგმა. ამავე ოქმით განისაზღვრა, რომ „ბ“ კორპუსის აშენების შემდეგ, მიწის ნაკვეთი უნდა გაყოფილიყო ორ ნაწილად. „ბ“ კორპუსის მაცხოვრებლების საერთო საკუთრებად უნდა განსაზღვრულიყო 1600 კვ.მ ფართი, ამასთან, „ბ“ კორპუსის, 14 ავტოფარეხის აშენებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, დ. დ-ეს, ბ. ტ-ესა და ზ. ა-ეს, თანასაკუთრების ტაბულის მიხედვით, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთანავე უნდა შეწყვეტოდათ გამგეობის წევრის უფლებამოსილება. დარჩენილი 1990 კვ.მ ფართი უნდა გადასულიყო „ა“ კორპუსის მაცხოვრებელთა საერთო საკუთრებაში. აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდგომ კი, ამხანაგობის გამგეობის წევრი და თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო მხოლოდ შ. მ-ი. 2002 წლის 11 დეკემბრის კრების დღის წესრიგის მე-5 საკითხთან (ამხანაგობის მშენებარე სახლისა და გარაჟების განაწილება) დაკავშირებით დამტკიცდა მშენებარე „ა“ და „ბ“ კორპუსების, ასევე, ცალკე მდგომი გარაჟების განაწილების სქემა №1, №2 და №3 დანართების მიხედვით. №2 დანართის თანახმად, დ. დ-ეს მშენებარე „ბ“ კორპუსის მე-5 სართულზე უნდა მიეღო №10 ბინა და №5 ავტოფარეხი, ბ. ტ-ეს – №5 ბინა მე-3 სართულზე და №1 ავტოფარეხი, ხოლო ზ. ა-ეს – №11 ბინა მე-6 სართულზე და №... ავტოფარეხი.

1.2.2. 2002 წლის 24 დეკემბერს დაიდო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა „შ.“) ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ამხანაგობის მიზნად განისაზღვრა ქ. თბილისში, ნ-ის მე-3 მიკრორაიონის პირველი კვარტლის მიმდებარედ, 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი

სახლის მშენებლობა და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის, როგორც ამხანაგობის წევრთა წილობრივი თანასაკუთრების, მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა. ამხანაგობა „შ-ის“ მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება, ხოლო მმართველ (აღმასრულებელ) ორგანოს – გამგეობა, რომელიც შედგებოდა თავმჯდომარის, თანათავმჯდომარისა და ორი რიგითი წევრისაგან. გამგეობის თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეს მიენიჭათ ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ, ისინი უფლებამოსილი იყვნენ, წარმოედგინათ ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. ამხანაგობის სახელით დადებული გარიგებების ნამდვილობისათვის საჭირო იყო გამგეობის თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის ერთობლივი ხელმოწერა, ამ წესის დაუცველად ამხანაგობის სახელით შედგენილ დოკუმენტს ან დადებულ გარიგებას არ გააჩნდა იურიდიული ძალა.

1.2.3. 2005 წლის 1 ივლისს შ. მ-მა ხელშეკრულება გააფორმა შპს „მ. 2005-თან“, რომელსაც ამხანაგობის საკუთრებაში არსებული 3590 კვ.მ მიწის ნაწილზე – შ. მ-ის კუთვნილ 1990 კვ.მ მიწაზე უნდა აეშენებინა „ა“ კორპუსი, შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების სანაცვლოდ, მშენებელს უნდა მიეღო შესაბამისი ფართი. მოსარჩელის მიერ შეტანილი თანხის საფუძველზე მშენებელმა დაიწყო „ა“ კორპუსის შენება. ამხანაგობის გამგეობის წევრების მიმართ არსებული ვალდებულება შესრულდა ჯეროვნად, დ. დ-ის, ბ. ტ-ისა და ზ. ა-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა 2002 წლის 11 დეკემბრის №1 ოქმით განსაზღვრული უძრავი ქონება, შესაბამისად, ისინი აღარ წარმოადგენდნენ დამფუძნებელ წევრებს. ამხანაგობის დამფუძნებელი სხვა წევრების მიმართ ვალდებულების შესრულების შემდგომ მოსარჩელემ გააგრძელა „ა“ კორპუსის მშენებლობა. კორექტირებული პროექტის თანახმად, „ა“ კორპუსს მიემატა ახალი ფართები (187.70 კვ.მ და 219.10 კვ.მ. საცხოვრებელი ფართები, 363.00 კვ.მ საოფისე ფართი). 2008 წლის აგვისტოში „ა“ კორპუსის კორექტირებული პროექტით დამტკიცებული ფართები შ. მ-მა დაარეგისტრირა ჯერ ამხანაგობის, ხოლო 2008 წლის 15 სექტემბრისა და 22 სექტემბრის №2 და №3 კრების ოქმების საფუძველზე – თავის საკუთრებად. ეს კრების ოქმები, მოპასუხეთა სარჩელის საფუძველზე, გააბათილა სასამართლომ იმ დასაბუთებით, რომ დ. დ-ესა და ბ. ტ-ეს ამხანაგობის წევრობა არ შეწყვეტიათ, რადგან შ. მ-ს არ დაუსრულებია ცალკე მდგო-

მი 14 ავტოფარეხიდან ორის მშენებლობა.

1.2.4. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს არ დაურღვევია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მისი სათანადო წესით გაფრთხილების გარეშე 2011 წლის 28 ნოემბერს მოწვეულ იქნა ამხანაგობის საერთო კრება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2002 წლის 24 დეკემბრის კრების გადაწყვეტილების გაუქმების, წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების, გამგეობის ახალ წევრებად დ. დ-ისა და ბ. ტ-ის არჩევის, თანათავმჯდომარის ინსტიტუტის გაუქმებისა და თავმჯდომარედ დ. დ-ის დატოვების, ასევე, 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმით განსაზღვრულ მე-6 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ამასთან, 2011 წლის 29 ნოემბერს დაიდო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა „შ-ის“) ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ამხანაგობის წევრებად განისაზღვრნენ: დ. დ-ე, ბ. ტ-ე და ნ. ს-ე. 2011 წლის 28 ნოემბერს მოწვეული ამხანაგობის საერთო კრება ჩაატარეს არაუფლებამოსილმა პირებმა, ვინაიდან 2002 წლის 24 დეკემბერს დადებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების პირობების მიხედვით, საერთო კრება არის ამხანაგობის ორგანო, რომელშიც შედიან, როგორც დამფუძნებელი, ისე – ჩვეულებრივი წევრები. თავის მხრივ, ჩვეულებრივი წევრები არიან ყველა ის პირები, რომლებიც ხელს აწერენ მითითებულ ხელშეკრულებას ან რომლებიც ამხანაგობის წევრები გახდებიან შემდგომ. იმდენად, რამდენადაც სადავო კრებაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მხოლოდ სამი პირის მიერ, ისე, რომ მოწვეული არ ყოფილან მოსარჩელე და ამხანაგობის „ჩვეულებრივი“ წევრები, აღნიშნული კრების სახელით მიღებული გადაწყვეტილება არის უკანონო. ამასთანავე, უკანონოა 2011 წლის 29 ნოემბრის ხელშეკრულების (წესდების) საფუძველზე ჩატარებული ყველა მომდევნო კრებაც.

1.2.5. ამხანაგობა „შ-ის“ 2008 წლის 10 იანვრისა და 25 დეკემბრის დამფუძნებელთა კრების ოქმები ასევე ეწინააღმდეგება კანონს, რადგანაც ამ კრების მოწვევის თაობაზე არ ყოფილა ინფორმირებული მოსარჩელე. თავად კრების ოქმებით კი, მშენებარე „ა“ კორპუსის მე-9 სართულზე მდებარე 5-ოთახიანი ბინა გასხვისდა რ. ს-ის სახელზე. ვინაიდან „ა“ კორპუსის კორექტირებული პროექტით შექმნილი ახალი ფართები მთლიანად აშენებულია მოსარჩელის მიერ მხოლოდ საკუთარი სახსრებით, ხოლო მოპასუხეებს მშენებლობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, ეს ფართები მის საკუთრებას წარმოადგენს. რაც შეეხებათ დ. დ-ესა და ბ. ტ-ეს, სარჩელზე დართული აუდიტორული დასკვნის გათვალისწინებით, მათ ამ ფართებიდან შეიძ-

ლება მიეკუთვნოთ მხოლოდ 42,95 და 19,09 კვ. მეტრი.

1.2.6. მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ დ. დ-ესა და ბ. ტ-ეს ლ. გ-ესთან დაუდიათ ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც 2012 წლის 1 მარტითაა დათარიღებული, ეს ხელშეკრულება ასევე წარმოადგენს ბათილ გარიგებას, იგი 2011 წლის 29 ნოემბრის უკანონო ხელშეკრულების საფუძველზეა გაფორმებული, ამასთან, გარიგების საგანს წარმოადგენს ქონება, რომელიც იმ დროისათვის იყო აშენებული და არა ამხანაგობის, არამედ, მოსარჩელის საკუთრებად იყო აღრიცხული, ასევე, ედო ყადაღა. სადავო ფართიდან ერთ-ერთი – „ა“ კორპუსის მე-9 სართულზე მდებარე 187,70 კვ.მ №„ა“ ბინა 2012 წლის 24 აგვისტოს საკუთრების გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე აღი-რიცხა ლ. გ-ის საკუთრებად, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ ეს ქონება იყო სადავო, ამასთანავე, ქონების გადაცემას საფუძველად დაედო ამხანაგობის 2012 წლის 23 აგვისტოს უკანონო კრების ოქმი. ლ. გ-ისათვის ქონების გადაცემა მოჩვენებით ხასიათს ატარებს, რათა მოსარჩელემ ვერ შეძლოს მისი დაბრუნება, ამასთანავე, აღნიშნული მოქმედება განხორციელდა უსასყიდლოდ.

2. მოპასუხეების პოზიცია:

მოპასუხეებმა სარჩელი ნაწილობრივ – იბა „შ-ის“ 2008 წლის 10 იანვრისა და 2008 წლის 25 დეკემბრის დამფუძნებელთა კრების ოქმების ბათილობის ნაწილში ცნეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს. შესაგებლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია არაჯეროვნად ასრულებდა, რაც დადგენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ამასთან, ქ. თბილისში, ნ-ის მე-3 მიკრორაიონის პირველი კვარტლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე „ა“ კორპუსის მშენებლობა განხორციელდა არა შ. მ-ის, არამედ მშენებარე მრავალბინიან სახლში არსებული ფართების გასხვისებით მიღებული სახსრებით. გარკვეული სახსრების გაღება მოუწიათ ამხანაგობის სხვა დამფუძნებელ წევრებსაც. 2011 წლის 28 ნოემბერს მოწვეული ამხანაგობის საერთო კრება ჩატარდა სათანადო წესით, მოსარჩელეს საცხოვრებელ მისამართზე გაეგზავნა მოწვევა კრებაზე დასწრების თაობაზე, რაზეც თანდართული იყო კრების დღის წესრიგი, თუმცა, ვინაიდან შეტყობინების ჩაბარება ფოსტის მეშვეობით ვერ განხორციელდა, მის წარმომადგენელ მ. პ-ს სატელეფონო საუბრით ეცნობა, როგორც კრების მოწვევის თარიღი, ასევე – დღის წესრიგი, მიუხედავად აღნიშნული გარე-

მოებისა, შ. მ-ი არ გამოცხადდა კრებაზე და არც წარმომადგენლებს მიანიჭა მისი წარმოდგენის შესაძლებლობა საერთო კრებაზე. ამდენად, არ არსებობს, ამხანაგობის წევრთა მიერ ამ კრებაზე მიღებული, ასევე, მის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ ამხანაგობა თავდაპირველად 8 წევრის შემადგენლობით შეიქმნა, რომელთაგან სამმა: გ. გ-მა, ზ. ა-ემ და ო. ვ-ამ წევრობის უფლებები დაუთმეს დ. დ-ეს, თავის მხრივ, ეს უკანასკნელი თავადაა ამხანაგობის წევრი და მის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოვლენილი ნება წარმოადგენს არა ერთ, არამედ ოთხ ხმას. ამხანაგობის წევრ ი. ს-ს კი, ნოტარიულად აქვს დამონმებული საკუთარი ნება იმის თაობაზე, რომ ის გასულია ამხანაგობიდან. კრებაზე მონაწილეობა არ მიუღია შ. მ-ს, შესაბამისად, დ. დ-ის, ბ. ტ-ისა და ნ. ს-ის მონაწილეობით ჩატარებული კრება ნიშნავს მასში ყველა წევრის მონაწილეობას. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა ამხანაგობის მიერ დადებული ნარდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, სარჩელს არ ერთვის არც ერთი მტკიცებულება, რომელიც ამ მოთხოვნის საფუძვლიანობას დაადასტურებდა, მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტება კი, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გარიგების ბათილად ცნობას. საგულისხმოა, რომ ეს გარიგება დადებულია ამხანაგობის გამგეობის მიერ წესდების შესაბამისად, რომელიც კანონიერად ჩატარებულმა ამხანაგობის კრებამ დაამტკიცა, გარიგების დადება ემსახურებოდა არა მოჩვენებას, არამედ, მიზნად ისახავდა ქონებაზე საკუთრების გადაცემას ლ. გ-ისათვის, რომელიც კეთილსინდისიერი შემძენია და არავითარი შეხება მოდავე მხარეებთან არ გააჩნდა, ხოლო შ. მ-ის ამხანაგობიდან გარიცხვა მის მიერ ვალდებულებათა, ასევე, ამხანაგობის უფლებების უხეშმა დარღვევამ განაპირობა. რაც შეეხება მოსარჩელისათვის ქონების საკუთრებაში გადაცემას, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა შ. მ-ის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი, რის გამოც მას გაუუქმდა სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან რამდენიმე დღეში შ. მ-მა აღძრა ახალი სარჩელი იმ მიზნით, რომ ერთპიროვნულად კრების სახელით მიღებული გადაწყვეტილების ნაცვლად მას სურს სასამართლოს მეშვეობით მოიპოვოს საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც მისთვის ამხანაგობას არ გადაუცია. მოსარჩელეს შესასრულებელი ჰქონდა ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „შ-ის“ წევრთა 2011 წლის 28 ნოემბრის საერთო კრების ოქმი; 2011 წლის 29 ნოემბრის ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) შესახებ; იბა „შ-ის“ წევრთა 2012 წლის 20 აგვისტოს საერთო კრების ოქმი, იბა „შ-ის“ წევრთა 2012 წლის 27 აგვისტოს საერთო კრების ოქმი, შ. მ-ის სარჩელი იბა „შ-ის“ 2008 წლის 10 იანვრისა და 25 დეკემბრის დამფუძნებელთა კრების ოქმების, 2012 წლის 9 აგვისტოს, 14 აგვისტოსა და 23 აგვისტოს კრების ოქმების, ლ. გ-ეს, ბ. ტ-ესა და იბა „შ-ის“ თავმჯდომარე დ. დ-ეს შორის 2012 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების, ასევე, ლ. გ-ესა და იბა „შ-ის“ თავმჯდომარე დ. დ-ეს შორის 2012 წლის 1 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ქ. თბილისში, ძ-ის ქ. №...-ში, „ა“ კორპუსში, მე-9 სართულზე მოპასუხე ლ. გ-ის საკუთრებაში რიცხული 187.70 კვ.მ „ა“ ბინისა (მინის (უძრავი ქონების) ს/კ №...) და ამავე კორპუსში, მე-9 სართულზე, იბა „შ-ის“ საკუთრებაში რიცხული 219.10 კვ.მ №24 „ბ“ ბინის (მინის (უძრავი ქონების) ს/კ №...), ასევე, პირველ სართულზე მდებარე 363.00 კვ.მ საოფისე ფართიდან 300 კვ. მეტრის (მინის (უძრავი ქონების) ს/კ №...) მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

4. აპელანტების მოთხოვნა:

4.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება;

4.2. ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინეს მოპასუხეებმაც (დ. დ-ემ, ბ. ტ-ემ და ნ.ს-ემ), მოითხოვეს მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორების მოთხოვნა:

6.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება;

6.2. ამავე განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს მოპასუხებმა (იბა „შ-მა“ (თავმჯდომარე – დ. დ-ე), წევრებმა: დ. დ-ემ, ბ. ტ-ემ და ნ. ს-ემ), მოითხოვეს მათი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორთა მოთხოვნები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემონგებამდე სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საკასაციო მსჯელობის ფარგლებზე, კერძოდ, შეფასების საგანს წარმოადგენს იბა „შ-ის“ 2011 წლის 28 ნოემბრის, 2012 წლის 20 აგვისტოს, 23 აგვისტოსა და 27 აგვისტოს კრების ოქმების, 2011 წლის 29 ნოემბრის ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის), 2012 წლის 1 მარტის წარდობისა და 2012 წლის 24 აგვისტოს ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებების კანონშესაბამისობა, ასევე, ქ. თბილისში, ძ-ის ქ. №...-ში, „ა“ კორპუსის მე-9 სართულზე მდებარე 187,70 კვ.მ „ა“ ბინისა და პირველ სართულზე მდებარე 363 კვ.მ საოფისე ფართიდან 300 კვ.მ ფართის შ. მ-ისათვის მიკუთვნებაზე უარის თქმის მართლზომიერება (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე). კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს სარჩელის ნაწილობრივ საფუძვლიანობის/უსაფუძვლობის თაობაზე და პრეტენზიებს აცხადებენ გასაჩივრებული განჩინებით, როგორც მატერიალური, ისე – საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე.

1.2. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი

გარემოებები:

1.2.1. 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობა „შ-ის“ საერთო კრების გადაწყვეტილებით ამხანაგობის წევრებმა მიიღეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სადამფუძნებლო ხელშეკრულების პროექტი, ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ და წევრად აირჩიეს დ. დ-ე, თანათავმჯდომარედ – შ. მ-ი, ხოლო გამგეობის წევრებად: ზ. ა-ე და ბ. ტ-ე. ამხანაგობა „შ-ის“ „ჩვეულებრივ წევრებად“ მიღებულ იქნენ: ო. ვ-ა, გ. გ-ი, ნ. ს-ე, ი. ს-ი. ამავე კრებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ნ-ის მესამე მიკრორაიონის პირველი კვარტლის მიმდებარედ 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მშენებარე „ა“ და „ბ“ კორპუსების ბინებისა და ავტოფარეხების განაწილების გეგმა. კრების ოქმით განისაზღვრა, რომ „ბ“ კორპუსის აშენების შემდეგ, მიწის ნაკვეთი უნდა გაყოფილიყო ორ ნაწილად. „ბ“ კორპუსის მაცხოვრებლების საერთო საკუთრებად უნდა განსაზღვრულიყო 1600 კვ.მ ფართი, ამასთან, „ბ“ კორპუსის, 14 ავტოფარეხის აშენებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ დ. დ-ეს, ბ. ტ-ესა და ზ. ა-ეს, თანასაკუთრების ტაბულის მიხედვით, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების თანავე უნდა შეწყვეტოდათ გამგეობის წევრის უფლებამოსილება. დარჩენილი 1990 კვ.მ ფართი უნდა გადასულიყო „ა“ კორპუსის მაცხოვრებელთა საერთო საკუთრებაში. აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ კი, ამხანაგობის გამგეობის წევრი და თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო მხოლოდ შ. მ-ი;

1.2.2. 2002 წლის 24 დეკემბერს დაიდო ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ამხანაგობა „შ-ის“ მიზნად განისაზღვრა ქ. თბილისში, ნ-ის მესამე მიკრორაიონის პირველი კვარტლის მიმდებარედ 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მშენებლობის დასრულების შემდეგ, ამ შენობის, როგორც ამხანაგობის წევრთა წილობრივი თანასაკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა. ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, ამხანაგობის წევრები იყოფიან ორ ჯგუფად: „დამფუძნებელ“ და „ჩვეულებრივ“ წევრებად. ამხანაგობა „შ-ის“ მართვის ორგანოებს წარმოადგენდა: ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება; ამხანაგობის წევრთა საერთო კრება; გამგეობა; გამგეობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე. ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, „დამფუძნებელ წევრთა“ კრება არის ამხანაგობის მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნებოდა: ა) ამხანაგობის ძირითადი ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების გადაწყვეტა; ბ) ამხანაგობაში წევ-

რთა მიღება; გ) ამხანაგობაში შესატანების ოდენობისა და კვოტების განსაზღვრა; დ) განუთავსებელი ფართების განაწილება; ე) წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; ვ) ამხანაგობის წევრთა შორის წილობრივი საკუთრების იდენტიფიკაცია და განსაზღვრა; ზ) ამხანაგობის გამგეობის არჩევა; თ) ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის არჩევა. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, ამხანაგობის საერთო კრებაში შედიოდნენ, როგორც „დამფუძნებელი“, ისე – „ჩვეულებრივი“ წევრები, ხოლო მის კომპეტენციას განეკუთვნებოდა: ა) „ამხანაგობის“ საერთო სარგებლობაში არსებული ფართების სარგებლობის, ფლობის, განკარგვისა და შესაბამისი წესების დადგენა; ბ) „დამფუძნებელ წევრთა“ კრებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შედიოდა „დამფუძნებელ წევრთა“ კრების კომპეტენციაში; გ) „ამხანაგობის“ სხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც არ შედიოდა „დამფუძნებელ წევრთა“ კრების კომპეტენციაში. „ამხანაგობის“ მმართველ (აღმასრულებელ) ორგანოს წარმომადგენელ გამგეობა, რომელიც შედგებოდა ოთხი წევრის თავმჯდომარის, თანათავმჯდომარისა და ორი რიგითი წევრისაგან, ამასთან, გამგეობის თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეს მიენიჭათ ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ, ისინი უფლებამოსილი იყვნენ, წარმოედგინათ „ამხანაგობა“ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. „ამხანაგობის“ სახელით დადებული გარიგებების ნამდვილობისათვის კი, საჭირო იყო გამგეობის თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის ერთობლივი ხელმოწერა, ასევე, ამ ორი პირის ხელმოწერის გარეშე ამხანაგობის სახელით შედგენილ დოკუმენტს ან დადებულ გარიგებას არ გააჩნდა იურიდიული ძალა. ამხანაგობის ხელშეკრულების მე-8 მუხლით მოწესრიგდა წევრთა შორის წილის განსაზღვრის მექანიზმი, კერძოდ, 8.2. მუხლის თანახმად, „ამხანაგობაში“ წილი, კერძოდ კი, შენობის აშენების შემდგომ საკუთრებაში მისაღები საცხოვრებელი (ან არასაცხოვრებელი) ფართის ოდენობა, განლაგება და შესატანის ოდენობა განისაზღვრებოდა „დამფუძნებელ წევრთა“ გადაწყვეტილებით, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ფორმითა და მექანიზმით. 8.3. მუხლის თანახმად, „დამფუძნებელ წევრთა“ კრება პერიოდულად ამტკიცებდა ამხანაგობის წევრთა შორის წილობრივი თანასაკუთრების ტაბულას. 8.5 მუხლით განისაზღვრა, რომ „ამხანაგობის თანასაკუთრების ტაბულაში“ ნებისმიერი ცვლილე-

ბა ხორციელდებოდა „დამფუძნებელ წევრთა“ კრების გადაწყვეტილებით, რომელიც დამონმებული უნდა ყოფილიყო სანოტარო წესით და დარეგისტრირებულიყო ქ. თბილისის საჯარო რეესტრში;

1.2.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობა „შ-ის“ 2008 წლის 15 სექტემბრის კრების №2 ოქმი და 2008 წლის 22 სექტემბრის კრების №3 ოქმი. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შ. მ-ის მიერ არ იქნა სრულად შესრულებული ვალდებულება ცალკე მდგომი ავტოფარეხების აშენების თაობაზე, რის გამოც, ამხანაგობა „შ-ის“ გამგეობის წევრთა უფლებამოსილება არ იყო შეწყვეტილი. 2008 წლის 15 სექტემბრისა და 22 სექტემბრის კრების ოქმების შესაბამისად, შ. მ-ს მიეკუთვნა ფართები, რომელთა განაწილებაც არ ყოფილა შეთანხმებული 2002 წლის 11 დეკემბრის ამხანაგობის დამფუძნებელთა კრების მიერ დამტკიცებული გეგმით. აღნიშნული ფაქტობრივი მოცემულობა საქმის განხილვის ამ ეტაპზეც არ არის შეცვლილი და შ. მ-ის მიერ სრულყოფილად არ არის შესრულებული ამხანაგობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

1.2.4. 2011 წლის 28 ნოემბერს ჩატარდა ამხანაგობა „შ-ის“ საერთო კრება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2002 წლის 24 დეკემბრის წესდების გაუქმების, წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების, გამგეობის ახალ წევრებად დ. დ-ისა და ბ. ტ-ის არჩევის, თანათავმჯდომარის ინსტიტუტის გაუქმებისა და თავმჯდომარედ დ. დ-ის დატოვების, ასევე, 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმით განსაზღვრულ მე-6 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. კრებას ესწრებოდნენ დ. დ-ე, ბ. ტ-ე, ნ. ს-ე;

1.2.5. 2011 წლის 29 ნოემბერს გაფორმდა ამხანაგობა „შ-ის“ ხელშეკრულება (ერთობლივი საქმიანობა), რომლის მიხედვითაც ამხანაგობის „დამფუძნებელ“ წევრებად განისაზღვრნენ: დ. დ-ე, ბ. ტ-ე და ნ. ს-ე. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ამხანაგობის მიზანს წარმოადგენდა ოფიციალური სახელმწიფო ორგანოების მიერ შეთანხმებული და დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მშენებლობის დასრულების შემდგომ ამ შენობის, როგორც ამხანაგობის წევრთა ნილობრივი თანასაკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა.

ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, ამხანაგობაში განეწესა რიანების მიზნისა და პროექტის განსახორციელებლად, ამხანაგობის წევრები განახორციელებდნენ შესატანებს ამხანაგობაში, როგორც ფულადი, ისე – მომსახურების სახით. ამასთან, დ. დ-ის, ბ. ტ-ისა და ნ. ს-ის შესატანს წარმოადგენდა მინის ნაკვეთი, სხვა წევრებს უნდა განეხორციელებინათ ფულადი ან არაფულადი შესატანი, რომლის ოდენობა და სახეობა განისაზღვრებოდა ამხანაგობის მიერ, ამ დებულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით. ხელშეკრულებით ამხანაგობის წევრები დაიყვნენ ორ ჯგუფად: „დამფუძნებელ“ და „ჩვეულებრივ“ წევრებად. „ჩვეულებრივ წევრებს“ წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებიც ხელის მოწერით ეთანხმებოდნენ ან დაეთანხმებოდნენ ამ დებულებას და რომლებიც ამხანაგობის წევრებად გახდებოდნენ შემდგომში, წილის დათმობის საფუძველზე, გამგეობის ან საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად. ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა დ. დ-ის, ბ. ტ-ისა და ნ. ს-ის მიერ;

1.2.6. 2012 წლის 20 აგვისტოს მოწვეულ იქნა ამხანაგობა „შ-ის“ წევრთა საერთო კრება და განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ა) შ. მ-ისათვის საურავისა და ჯარიმის დაკისრება; ბ) შ. მ-ისათვის დამცავი კედლის მშენებლობისათვის პროექტირებისა და სამშენებლო თანხების დაკისრება; გ) შ. მ-ისათვის ცალკე მდგომი ავტოფარეხების პროექტირებისა და სამშენებლო თანხების დაკისრება. კრების გადაწყვეტილებით შ. მ-ს დაევალა, განეთავსებინა ამხანაგობის საბანკო ანგარიშზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაკისრებული საურავისა და ჯარიმის, დამცავი კედლის მშენებლობისათვის პროექტირებისა და სამშენებლო, ცალკე მდგომი ავტოფარეხების პროექტირებისა და სხვა სამშენებლო თანხები. კრების ოქმი ხელმოწერილ იქნა კრების თავმჯდომარე დ. დ-ის მიერ;

1.2.7. 2012 წლის 27 აგვისტოს მოწვეულ იქნა ამხანაგობა „შ-ის“ წევრთა საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა შ. მ-ის ამხანაგობა „შ-ის“ წევრობიდან გარიცხვის საკითხი. კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისა და ვალდებულებათა შესრულებაზე უარის თქმის გამო, ამხანაგობის წევრობიდან შ. მ-ის გარიცხვის თაობაზე;

1.2.8. 2012 წლის 1 მარტს, ერთი მხრივ, ამხანაგობა „შ-ს“, როგორც მენარდესა და, მეორე მხრივ, ლ. გ-ეს, როგორც შემკვეთს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა დამკვეთის დავალებით მენარდის მიერ ქ. თბილისში, ნ-ის მესამე მიკრორაიონის პირველი კვარტლის

მიმდებარედ, ძ-ის ქ. №...-ში მდებარე 3590 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №...) არსებულ №1 შენობის მე-9 სართულზე 187.70 კვ.მ ბინის მშენებლობა. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 60 000 აშშ დოლარით. ამხანაგობის სახელით ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერეს დ. დემ და ბ. ტემ;

1.2.9. 2012 წლის 24 აგვისტოს, ერთი მხრივ, ამხანაგობა „შ-სა“ და, მეორე მხრივ, ლ. გ-ეს შორის დაიდო ქ. თბილისში, ნ-ის მესამე მიკრორაიონის პირველი კვარტლის მიმდებარედ, მე-9 სართულზე მდებარე 187.70 კვ.მ ბინის ლ. გ-ის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (2012 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით), უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო ამხანაგობის საკუთრებად. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება. 2012 წლის 24 აგვისტოს ხელშეკრულებას ამხანაგობის სახელით ხელს აწერს დ. დემ, რომელსაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭებული ჰქონდა 2011 წლის 28 ნოემბრის ამხანაგობა „შ-ის“ საერთო კრების გადაწყვეტილებითა და 2011 წლის 29 ნოემბრის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება (სსსკ-ის 393-ე მუხლი).

1.4. საკასაციო პრეტენზიათა შესწავლით დასტურდება, რომ:

1.4.1. შ. მ-ი სადავოდ ხდის ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით 2012 წლის 1 მარტის ხელშეკრულების შეფასებას, რომლის დაცვის შემთხვევაშიც უნდა დადგენილიყო შემკვეთ ლ. გ-ის არაკეთილსინდისიერების ფაქტი. ამას ადასტურებს თუნდაც ხ.გ-ის წარმომადგენლობა ხელშეკრულების დადებისას, ასევე, ამხანაგობის თანათავმჯდომარის ხელმოწერის არარსებობა გარიგებაზე, რაც გამორიცხავდა რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციის დაშვებას. გარდა ამისა, კასატორი

პრეტენზიას აცხადებს იმაზეც, რომ მას არასწორად ეთქვა ფართების მიკუთვნებაზე უარი, რადგანაც ამხანაგობის წევრები ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა მან ვერ მიიღოს ქონებრივი სიკეთე, შესაბამისად, იგი იძულებულია, ქონებრივი უფლება მოიპოვოს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

1.4.2. ამხანაგობა „შ-ის“ წევრები: დ. დ-ე, ბ. ტ-ე და ნ. ს-ე არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს იმ შეფასებებს, რომელთა მიხედვითაც ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობის 2011 წლის 28 ნოემბრის კრების გადაწყვეტილება და ამავე კრებაზე მიღებული, 29 ნოემბრით დათარიღებული ამხანაგობის ხელშეკრულება, რადგანაც კასატორთა მოსაზრებით, ამხანაგობის ძველი წესდება აფერხებდა ერთობლივი საქმიანობის მიზნის მიღწევას, კერძოდ, წესდება შეიცავდა ჩანაწერს თანათავმჯდომარის ინსტიტუტის თაობაზე, რომლის ხელმოწერის გარეშეც ნებისმიერ გარიგებას იურიდიული ძალა არ გააჩნდა, თანათავმჯდომარე შ. მ-ი კი, თავს არიდებდა ამხანაგობასთან ურთიერთობას, ამ უკანასკნელისათვის მისი საკონტაქტო ნომერიც არ იყო ცნობილი. გარდა აღნიშნულისა, ზოგიერთი წევრი გავიდა ამხანაგობიდან, ერთ-ერთი წევრი – ო. ვ-ა გარდაიცვალა, რაც კიდევ ერთხელ აუცილებელს ხდიდა ამხანაგობის დოკუმენტაციის შექმნის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას, ამასთან, უნდა მიღწეულიყო ამხანაგობის საბოლოო მიზანი – დამცავი კედლისა და ავტოფარეხების მშენებლობის დასრულება და „ა“ კორპუსის ექსპლუატაციაში მიღება; 2002 წლის 11 დეკემბრის კრების №1 ოქმი არ შეესაბამება იმ დროს მოქმედ სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 323-ე მუხლების მოთხოვნებს; მითითებული კრების გადაწყვეტილებით განაწილდა ის ფართები, რომლებიც თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 23 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით და 2002 წლის დეკემბრის მდგომარეობით არსებული პროექტის (არქიტექტურის სამსახურის მიერ 2001 წელს დამტკიცებული) შესაბამისად უნდა აშენებულიყო; თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 17 მარტის ბრძანებით განხორციელდა ასაშენებელი ფართების კორექტირება. სწორედ ჩამოთვლილმა გარემოებებმა განაპირობა ამხანაგობის ძველი წესდების გაუქმება და მისი ახალი რედაქციის დამტკიცება, რომელიც სარეგისტრაციო სამსახურში უნდა წარდგენილიყო ბინებისათვის მისამართის მინიჭების მიზნით. მხოლოდ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას შეეძლო წესდების არსებული რედაქციის შეცვლა, თანახმად 2002 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულების 5.2.3. პუნქტისა. გასათვალისწინებელია, რომ 2011

წლის 28 ნოემბრისათვის გ. გ-ის, ზ. ა-ისა და გარდაცვლილ ო. ვ-ას უფლებები დათმობილი ჰქონდა დ. დ-ეს, რომელიც, საკუთარ თავთან ერთად, სარგებლობდა დამატებით სამი ხმის უფლებით. სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით დათმობილი უფლების ცალმხრივად გაუქმება კი, შეუძლებელია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი, გ. გ-ის მიერ სანოტარო წესით დამონმებული განცხადების საფუძველზე. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 4 000 ლარით დააჯარიმა ამხანაგობა, რაც გამოწვეული იყო იმ პირთა ქმედებებით, რომლებსაც „ა“ კორპუსში შ. მ-ისგან შეძენილი ჰქონდათ მშენებარე ფართები. შენობის ექსპლუატაციაში მიუღებლობის გამო კი, ზედამხედველობის სამსახურმა სწორედ მშენებლობის დამკვეთი – ამხანაგობა დააჯარიმა, რომელიც დღემდე არქიტექტურული პროექტის მესაკუთრეა. ფიზიკურ პირთა მხრიდან პროექტის დარღვევით მშენებარე ფართის გადაკეთების გამო დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა ამხანაგობის თავმჯდომარე დ. დ-ემ 2011 წლის 23 დეკემბერს. არქიტექტურული პროექტის ცვლილების, ასევე მშენებლობის დასრულების მიზნით, სავალდებულო იყო ამხანაგობის წესდების ახალი რედაქციის მიღება. ამ შემთხვევაში, სასამართლომ არ იმსჯელა შ. მ-ის, როგორც ამხანაგობის თანათავმჯდომარის მიერ საკუთარი უფლების სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის დარღვევით გამოყენების საკითხზე, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნა, რომ შ. მ-ი არ იყო მოწვეული ამხანაგობის 2011 წლის 28 ნოემბრის კრებაზე, რაც მიღებული გადაწყვეტილების, ასევე, 29 ნოემბრის სანოტარო წესით დადასტურებული წესდების ბათილობის საფუძველია, არასწორია, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო საუბრების ამონაწერით დასტურდება, რომ შ. მ-ის უფლებამოსილ წარმომადგენელს (მ. პ-ი) დაუკავშირდა ამხანაგობის წარმომადგენელი და აცნობა, როგორც კრების, ისე – მისი დღის წესრიგის თაობაზე. ეს გარემოება პაექრობის ეტაპზე აღიარა მხარის წარმომადგენელმაც, თუმცა ამ აღიარების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის ნამსჯელი. 2011 წლის 22 ნოემბერს განხორციელებული სატელეფონო ზარით დასტურდება ასევე, რომ შ. მ-ის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა თ. მ-მა აცნობა ამხანაგობას, რომ კასატორთა მოწინააღმდეგე მხარე 2011 წლის 28 ნოემბრისათვის იქნებოდა თბილისში, მასვე წაეკითხა კრების დღის წესრიგი და ეთხოვა შ. მ-ისათვის განკუთვნილი საფოსტო გზავნილის ჩაბარება, თუმცა, მოგვიანებით, თ. მ-მა გზავნილი არ ჩაიბარა, ხოლო ფოსტალიონმა შეტყობინების ჩაუბარებლო-

ბის მიზეზად მიუთითა ადრესატის კიევში ყოფნის ფაქტი, რომლის თბილისში ჩამოსვლის თარიღი მისთვის უცნობი იყო (თ. მ-ის სახელზე შ. მ-ის მიერ 20.05.2009წ. გაცემული მინდობილობა წარმოდგენილია საქმეში). ამხანაგობის კრების დროისა და დღის წესრიგის იგივეობის შესახებ თ. მ-ს ტელეფონის მეშვეობით დამატებით ეცნობა 25 ნოემბერს და ამ უკანასკნელმა, მოწმედ დაკითხვისას ვერ ახსნა, რა მიზნით დაუკავშირდა მას კასატორთა წარმომადგენელი. 2011 წლის 28 ნოემბრისათვის შ. მ-ი კვლავ ირიცხებოდა ამხანაგობის ჩვეულებრივ წევრად (რომლის ვალდებულებაც მშენებლობის დაფინანსება იყო და ფართი სწორედ ამ ვალდებულების სანაცვლოდ გადაეცა), თანახმად 2002 წლის 11 დეკემბრის კრების ოქმისა, რომელიც 2011 წლის 28 ნოემბრის წევრთა გადაწყვეტილებით სრულად არ გაუქმებულა, არამედ ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა 2002 წლის 11 დეკემბრის კრების მე-6 საკითხის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. შ. მ-ის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი დასტურდება მოწმედ დაკითხული პირების ჩვენებებითაც. შ. მ-ს არა თუ მშენებლობისათვის, არამედ, ამხანაგობის მიერ მისთვის გადაცემული უძრავი ქონების სანაცვლოდ არ განუხორციელებია არავითარი ფულადი შესატანი ამხანაგობაში. ამასთანავე, უდავოა, რომ შ. მ-ის ვალდებულებას წარმოადგენდა ი. ს-ის მიერ ჯერ კიდევ 2000 წლის 19 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ინვესტირება. ი. ს-მა ეს ვალდებულება ვერ შეასრულა, რაც დადასტურებულია ნოტარიულად დამონმებული განცხადებით. ამხანაგობის წევრთა მოტყუებით, კასატორთა მოწინააღმდეგე მხარემ, გარანტიის შესაქმნელად ჯერ კიდევ აუშენებელ კორპუსში პირობით საკუთრებაში მიიღო ფართები, რომლებიც შემდგომში გაასხვისა და ამ გასხვისებით მიღებული თანხების დიდი ნაწილი არ მოახმარა ამხანაგობაში ნაკისრი ვალდებულების შესრულებას – „ა“ კორპუსის, დამცავი კედლისა და ცალკე მდგომი ავტოფარეხების მშენებლობის დასრულებას, ეზოს კეთილმოწყობა-მოპირკეთებას. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა ამხანაგობის წევრად იმ პირთა მიჩნევის თაობაზე, რომლებმაც მშენებარე კორპუსში შეიძინეს საცხოვრებელი ფართები, რადგანაც ეს პირები არიან უძრავი ქონებების და არა ამხანაგობაში წილის (წევრობის უფლება) შემძენები, ამასთანავე, 2002 წლის 24 დეკემბრის წესდების 4.4.2. პუნქტის შესაბამისად, ამხანაგობას შესაბამისი პროცედურების დაცვით ეს პირები წევრებად არ მიუღია, ამდენად, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული სასამართლოს არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ 2011 წლის

28 ნოემბრის კრებას მხოლოდ სამი წევრი ესწრებოდა, რის გამოც კრება არ იყო გადანყვეტილებათუნარიანი. რაც შეეხება 2012 წლის 14, 20 და 27 აგვისტოს კრების ოქმების ბათილობის საკითხს, ან ნაწილში სარჩელი, მიუხედავად ხუთჯერ დაზუსტებისა, დაუსაბუთებელია, მოსარჩელე მხოლოდ ამ კრების ოქმების ბათილად ცნობას მოითხოვს იმგვარად, რომ ბათილობის ფაქტობრივი საფუძველი არ მიუთითებია. ხსენებულ კრებებზე იხილებოდა შ. მ-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი. კასატორთა შეფასებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ 2011 წლის 29 ნოემბრის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება ბათილად იქნება მიჩნეული, 2002 წლის 24 დეკემბრის წესდებასთან მიმართებაში კრების ოქმების კანონიერების შემონახვის თვალსაზრისით, მათი ბათილობის წინაპირობები მაინც არ დასტურდება. კრების დღის წესრიგის თაობაზე შ. მ-მა განაცხადა, რომ 14 აგვისტოსათვის არ იყო ჩამოყალიბებული განსახილველ საკითხზე, კრება გადაიდო 20 აგვისტოს, თუმცა, არც ამჯერად მიღებულა გადანყვეტილება, შ. მ-ს კრებაზე არავითარი დოკუმენტაცია არ წარუდგენია ვალდებულების შესრულების კუთხით და არც იმ საკითხს დაეთანხმა, რომ ამხანაგობის დაჯარიმება მის მიერ გაყიდული ფართების მესაკუთრეების თვითნებურმა ქმედებამ გამოიწვია, ასევე, არ დაეთანხმა იმას, რომ მას არ ჰქონდა მშენებლობის კონკრეტული ვალდებულება შესრულებული, რომლის დასრულებასაც შესაბამისი პროექტის შედგენა ესაჭიროებოდა, რის გამოც პასუხისმგებლობა სწორედ შ. მ-ს უნდა დაკისრებოდა. მან უარი განაცხადა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მშენებლობისათვის განეული ყველა ხარჯის ანაზღაურებაზე. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ამხანაგობა იძულებული გახდა 2012 წლის 27 აგვისტოს ჩატარებულ კრებაზე გაერიცხა შ. მ-ი ამხანაგობიდან. 2012 წლის 14-20 აგვისტოს კრებების მსვლელობისას ამხანაგობის მხრიდან კასატორთა მონინაალმდეგე მხარეს შეეთავაზა ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რომლის პასუხადაც მან კვლავ ამხანაგობის ქონების განკარგვის უფლებამოსილების მინიჭება მოითხოვა, ამ პირობას, ბუნებრივია, არ დაეთანხმნენ ამხანაგობის წევრები, თუმცა, მას მიეცა დამატებითი ვადა რათა ამხანაგობისათვის წარედგინა მის მიერ მიღებული და გახარჯული თანხების შესახებ ანგარიში, ასევე, შედგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო თანხა შეეტანა ამხანაგობის ანგარიშზე, რაც უშედეგოდ გავიდა. შ. მ-ის ამგვარი ქმედება პირდაპირ კავშირშია ამხანაგობის მიზნის მიღწევის საპირისპირო შედეგთან, რაც სა-

ფუძვლად დაედო ამხანაგობიდან მის გარიცხვას 2002 წლის 24 დეკემბრის წესდების მე-10 მუხლის თანახმად. ის ფაქტი, რომ შ. მ-მა დაარღვია ვალდებულება, დადასტურებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითაც.

1.5. საკასაციო პალატა ნაწილობრივ უარყოფს (დანვრილებით იხილეთ მომდევნო პუნქტები) კასატორთა ზემოხსენებულ პრეტენზიებს იმ დასაბუთებით, რომ მათი შესწავლით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობების არსებობა არ დასტურდება. საკასაციო სასამართლოს მოცემული დასკვნა ემყარება შემდეგ მსჯელობას:

1.5.1. საქმეში წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად) დასტურდება, რომ 2002 წლის 11 დეკემბრის კრების გადაწყვეტილებით მხარეებმა დამტკიცეს ერთობლივი საქმიანობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების პროექტი და 2002 წლის 24 დეკემბერს, იურიდიული პირის შეუქმნელად შეთანხმდნენ ერთობლივ მოქმედებაზე საერთო მიზნის მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით (სკ-ის 930-ე მუხლი). უდავოა, რომ 2002 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულების ფარგლებში შ. მ-ი, როგორც დამფუძნებელი წევრი (ერთობლივი საქმიანობის ხელშემკვრელი მხარე), არჩეულ იქნა ამხანაგობის თანათავმჯდომარედ.

1.5.2. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამხანაგობის წევრთა გადაწყვეტილება (კრების ოქმი), სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლით განსაზღვრული ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც გარკვეული იურიდიული შედეგის დადგომისკენაა მიმართული, თავის მხრივ, გარიგების საფუძველი – ნება, როგორც სუბიექტური კატეგორია, სამართლებრივ ძალას იძენს მისი გარეგანი ფორმირების პროცესის დასრულების შემდგომ, შესაბამისად, ფორმირებული (მით უფრო წერილობით) ნების კანონთან შესაბამისობის საკითხის განხილვისას სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს იმის შემოწმება, მართლზომიერია თუ არა გარიგება, რაც გამოვლენილი ნების განმაპირობებელ გარემოებათა შესწავლა-ანალიზით ხორციელდება.

1.5.3. განსახილველ შემთხვევაში, სადავოდ მიჩნეული კრების ოქმების ნამდვილობა სწორედ ზემოხსენებული წინაპირობების შესაბამისად უნდა შემოწმდეს, ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ კრების ოქმებში ფორმირე-

ბული ნების შინაარსი მხარეთა შორის სადავო არაა. სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადანყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით, და არა შესატანის ოდენობით. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამხანაგობის თითოეული წევრი ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის მმართველობაში და იმოქმედოს საერთო მიზნის მიხედვით, რაც გვევლინება მმართველობითი უფლებამოსილების განმსაზღვრელ ფაქტორადაც. სამოქალაქო კოდექსი ამხანაგობის მმართველობითი უფლებამოსილების საკითხის ამომწურავ ჩამონათვალს არ შეიცავს, თუმცა, უდავოა, რომ მას მიეკუთვნება ამხანაგობის წევრთა მიერ გადანყვეტილების მიღება (კრების გადანყვეტილება) ამხანაგობის სასარგებლოდ, რომლის სამართლებრივი მოწესრიგება ხელშემკვერელ მხარეთა დისკრეციის საგანია, კერძოდ, კრების გადანყვეტილება უნარიანობის საკითხი შესაძლოა სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში იქნას მოქცეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კანონისმიერ რეგულაციას დაექვემდებარება.

1.5.4. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქმეში წარმოდგენილი 2002 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულების მე-3 მუხლი ადგენს ამხანაგობის მმართველობითი ორგანოების ჩამონათვალს და მე-4-მე-6 მუხლებით მოწესრიგებულია კონკრეტულ საკითხებზე გადანყვეტილების მიღების წესი (იხ. წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.2. პუნქტი). დასახელებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2011 წლის 28 ნოემბერს მოწვეულ იქნა ამხანაგობის წევრთა საერთო კრება, რომლის ბათილობასაც ითხოვს მოსარჩელე. ქვემდგომმა სასამართლოებმა ამ ნაწილში სარჩელი საფუძვლიანად ძირითადად იმ დასაბუთებით მიიჩნიეს, რომ ერთი მხრივ, არ იყო დაცული შ. მ-ის ინფორმირების წესი, ხოლო, მეორე მხრივ, კრება არ იყო გადანყვეტილება უნარიანი. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს ამხანაგობა „შ-ის“ წევრების: დ. დ-ის. ბ. ტ-ისა და ნ. ს-ის პრეტენზიას ხსენებული კრების თაობაზე შ. მ-ის ინფორმირების შესახებ, კერძოდ, პალატა დადასტურებულად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ადრესატს ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა შეტყობინება ამხანაგობის კრების

დროისა და ადგილის, ასევე, დღის წესრიგის მითითებით და ამ კორესპოდენციის გაგზავნაზე ინფორმირებული იყო ადრესატის წარმომადგენელი თ. მ-ი, რომლის უფლებამოსილებაც დადასტურებულია საქმეში არსებული მინდობილობით. კრების მოწვევის თაობაზე კორესპოდენციის გაგზავნის საკითხთან დაკავშირებით (და არა დღის წესრიგის შესახებ) მოსარჩელის წარმომადგენლების ინფორმირების ვარაუდის დაშვების საფუძველს იძლევა საქმეზე დართული ამხანაგობის თავმჯდომარის წარმომადგენლის სატელეფონო საუბრის ამონაწერი. რაც შეეხება ამხანაგობის წევრთა პრეტენზიას შ. მ-ის მეორე წარმომადგენლის – მ. პ-ის განმარტების არასწორად შეფასების თაობაზე, მას საკასაციო პალატა არ იზიარებს, რამდენადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერის შესწავლით დასტურდება მ. პ-ის მხრიდან მხოლოდ იმ გარემოების აღიარება, რომ ამხანაგობის წევრთა წარმომადგენელი მას ტელეფონით დაუკავშირდა იმ საკითხის გასარკვევად, ჩაიბარებდა თუ არა შ. მ-ისათვის გადასაცემ კორესპოდენციას, თუმცა, ვინაიდან მ. პ-ი იყო შ. მ-ის საპროცესო წარმომადგენელი და დავალების ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობებში მ. პ-ის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ამ უკანასკნელმა ამხანაგობის წარმომადგენელს განუმარტა, რომ მხოლოდ მარწმუნებელთან გასაუბრების შემდგომ აცნობებდა, შეძლებდა თუ არა შეტყობინების შ. მ-ის სახელით მიღებას. ამავე სხდომაზე მ. პ-მა განმარტა, რომ შ. მ-თან ვერ შეძლო დაკავშირება, რის თაობაზეც აცნობა ამხანაგობის წარმომადგენელს და უარი განაცხადა დღის წესრიგის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე. საქმეში წარმოდგენილი შპს „მ-ის“ სატელეფონო ამონაწერი, მიუხედავად საუბრის ხანგრძლივობის ფიქსაციისა, ბუნებრივია, არ შეიცავს საუბრის შინაარსის აღწერას, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის დარღვევის ფაქტი არ დასტურდება, რადგანაც შ. მ-ის წარმომადგენელს არ უღიარებია იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მოპასუხე ამყარებდა თავის მოთხოვნას, აღნიშნული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, არ ათავისუფლებდა მოპასუხეს, როგორც კრების მოწვევის წესის დაცვაზე მიმთითებელ მხარეს, წარედგინა სათანადო და უტყუარი მტკიცებულებები. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თუკი მივიჩნევთ, რომ თ. მ-თან სატელეფონო გასაუბრება და მისი მხრიდან კორესპოდენციის შ. მ-ის სახელით ჩაუბარებლობა შ. მ-

ის ამხანაგობის კრებაზე მონვევის ფაქტს ადასტურებს, მაინც არ იკვეთება სასამართლოს მხრიდან საპროცესო ნორმის (სსსკ-ის 105-ე მუხლი) იმგვარი დარღვევა, რასაც შედეგად არასწორი გადანყვეტილების მიღება მოჰყვა, რამდენადაც დადგენილია, რომ კრება არ იყო უფლებაუნარიანი, მიელო გადანყვეტილება. ამ საკითხთან დაკავშირებით ამხანაგობა (მისი თავმჯდომარე და წევრები) საკასაციო პრეტენზიას აცხადებს იმ თვალსაზრისით, რომ ამ დროისათვის ამხანაგობის წევრებს წარმოადგენდნენ კრებაზე დამსწრე პირები: დ. დ-ე, ბ. ტ-ე და ნ. ს-ე, რომელთაგან დ. დ-ე სარგებლობდა, როგორც საკუთარი, ისე – გ. გ-ის, ზ. ა-ისა და ო. ვ-ას ხმის უფლებით, რადგანაც ამ უკანასკნელებმა დ. დ-ეს დაუთმეს მოთხოვნის უფლება ამხანაგობაში, ხოლო ი. ს-ი გასული იყო ამხანაგობიდან. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ი. ს-ის სანოტარო წესით დამონმებულ განცხადებაზე და დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2009 წლის 9 ივლისიდან იგი ამხანაგობის წევრს აღარ წარმოადგენს, რაც შეეხება გ. გ-ის, ზ. ა-ისა და ო. ვ-ას მხრიდან უფლების დ. დ-ისათვის დათმობისა და ამ უკანასკნელის მიერ დამატებით სამი ხმის უფლებით სარგებლობის ფაქტს, ამ გარემოებების შეფასების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხზე: მხარეთა შორის დავას არ იწვევს, რომ 2004 წლის 6 ივლისს გ. გ-მა გაასხვისა ამხანაგობიდან მიღებული უძრავი ქონება; 2007-2008 წლებში მიღებული ფართი ასევე გაასხვისა ზ. ა-ემ, ხოლო ო. ვ-ამ ქონება 2005 წელს განკარგა. მოპასუხეები მიიჩნევენ, რომ ამ პირებმა ქონების გასხვისებით „ნატურით გაიტანეს წილი“, რაც არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, ასევე, 2002 წლის ხელშეკრულებიდან. ფაქტია, რომ ამხანაგობის მიზანი საქმის განხილვის ამ ეტაპზე მიღწეული არ არის და ამ გზით ხელშეკრულება არ შეწყვეტილა, შესაბამისად, ამხანაგობის მონაწილეთა ინდივიდუალური საკუთრების საგანზე მსჯელობა გამორიცხულია. ამხანაგობის წევრების მიერ უკვე განხორციელებული შესატანები, ისევე, როგორც ამ შესატანების შედეგად შექმნილი სამართლებრივი სიკეთე, სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მე-3 ნაწილის, ასევე, 2002 წლის ხელშეკრულების 2.1. მუხლის ძალით, წარმოადგენს ხელშეკრულების თანამონაწილეთა საერთო საკუთრებას. სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლის პირველი ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს ამხანაგობის წევრის მიერ წილის გასხვისებას, რომელიც შეიძლება იყოს უშუალოდ ქონება ან უფლება ქონებაზე. სამართლის თეორიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ამხანაგობის წევრობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ობიექტი. წილის გადა-

ცემის გზით მიღწეული წევრობის გადაცემა ამხანაგობაში განაპირობებს მთლიან და ერთდროულ ცვლილებას ამხანაგობის ყველა წევრისა ისე, რომ ამხანაგობის, როგორც პერსონალური საზოგადოების იდენტურობა და მისი ქონების არსებობა იქნას დაცული. საკასაციო პალატის შეფასებით, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს 2002 წლის ამხანაგობის ხელშეკრულებით დადგენილ რეგულაციებზე: ხელშეკრულების პრეამბულა ითვალისწინებს ტერმინთა განმარტებას, რომლის თანახმადაც „წილი“ არის შენობის ან მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზედაც საკუთრების უფლებას იძენს ამხანაგობის თითოეული წევრი. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხეთა პოზიცია ზ. ა-ის, გ. გ-ისა და ო. ვ-ას მიერ „წილის ნატურით გატანისა“ და უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე მიანიშნებს მათ მიერ ამხანაგობაში წილის განკარგვის ფაქტზე. პალატა აქვე მხედველობაში იღებს საქმეში წარმოდგენილ ცესიის ხელშეკრულებებს, სადაც გ. გ-ი, ზ. ა-ე და ო. ვ-ას მემკვიდრე მ. ჩ-ე (წარმომადგენელი ზ. ჩ-ე) ადასტურებენ ამხანაგობიდან გამომდინარე უფლებამოვალეობების დ. დ-ისათვის დათმობას, თუმცა, აღნიშნული გარიგებები გაფორმებულია ამ პირთა მიერ ქონების განკარგვის შემდეგ (რომელიც, როგორც აღინიშნა, ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წარმოადგენდა „წილს“), ხოლო სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის კონტექსტში მოთხოვნის დათმობის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მოთხოვნა ან უფლება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორთა პოზიცია იმის თაობაზე, რომ კრება იყო გადაწყვეტილებაუნარიანი და დ. დ-ე წარმოადგენდა ამხანაგობიდან გასულ პირთა უფლებამონაცვლეს ცესიის ხელშეკრულების ფარგლებში, არ არის დასაბუთებული და ვერ აქარწყლებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას სადავო კრების ოქმის სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით ბათილობის თაობაზე (ენინაალმდეგება კანონით დადგენილი წესსა და აკრძალვებს). აქვე სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს, რომ თუკი ზემოხსენებულ პირთა მიერ წილის რეალიზაციის შედეგად სხვა პირებს წარმოეშვათ ამხანაგობის წევრის უფლება-მოვალეობები, ხოლო ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების ნამდვილობის საკითხი განხილულია მათი მოწვევის გარეშე, მაინც არ იარსებებს წინამდებარე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით განსაზღვრული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც ის პირები, რომლებმაც შეიძინეს ამხანაგობის ქონება, კრებაზე არ ყოფილან მიწვეული და მათ საკუთარი ნება არ გამოუვლენიათ

სადავო საკითხებთან მიმართებით, შესაბამისად, მიღებულ გადაწყვეტილებას (რომლითაც გაბათილებულია კრების ოქმები) მათ უფლება-მოვალეობებზე გავლენა არ მოუხდენია. აქვე საკასაციო სასამართლო შეეხება ამხანაგობის თავმჯდომარის გამონწვევის საკითხს, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაიშვება ამხანაგობის წევრების ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, თუმცა, ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს თავმჯდომარის მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული უფლება-მოვალეობების უხეში დარღვევა. ამგვარ დარღვევაზე მითითებას 2011 წლის 28 ნოემბრის კრების გადაწყვეტილება არ შეიცავს და მას, ბუნებრივია, ვერ შეცვლის მოპასუხეთა მიერ შესაგებლებსა თუ სასამართლოსათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში გადმოცემული ფაქტები.

1.5.5. რაც შეეხება თავად 2011 წლის 28 ნოემბრის კრებაზე წარდგენილი და 29 ნოემბერს დამონმებული ხელშეკრულების ბათილობას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილშიც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობები. საკასაციო პრეტენზიას იმის შესახებ, რომ 2011 წლის 29 ნოემბრის ხელშეკრულება წარმოადგენდა არა ახალ გარიგებას, არამედ, 2002 წლის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ გარიგებას, რომლის ნამდვილობის შემონმების მიზნით, გარდა ზემოხსენებულისა, პალატა დამატებით განმარტავს შემდეგს: ერთობლივი საქმიანობა, მსგავსად ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისა, წარმოადგენს სამოქალაქო გარიგებას, რომლის დადებულად მიჩნევისა და იურიდიული ძალმოსილების განსაზღვრისათვის სავალდებულოა, შემონმდეს აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება გარიგების დადებისათვის სახელშეკრულებო სამართლით განსაზღვრულ ზოგად მოთხოვნებს. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლით დეფინირებული ამხანაგობის ცნებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ იგი ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა და სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ანალოგიური წესები ვრცელდება იმ ნების ნამდვილობის მიმართ, რომლითაც ცვლილება შევიდა ხელშეკრულებაში. 2011 წლის 29 ნოემბრის გარიგება მოწონებულია რა მხოლოდ დ. დ-ის, ბ. ტ-ისა და ნ. ს-ის მიერ, პალატა თვლის, რომ ამ გარიგების ნამდვილობის თაობაზე ქვემდგომი სასამართლოს

დასკვნა კანონიერია და არ არსებობს მის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი. აქვე სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ 2002 წლის ამხანაგობის ხელშეკრულების თანახმად, ვინაიდან წესდებაში ცვლილების შეტანა დამფუძნებელ წევრთა კომპეტენციაში არ შედის, ხოლო 5.2.3. მუხლის მიხედვით, სხვა საკითხების შესახებ გადანყვეტილების იღებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრება (თუმცა ხელშეკრულება არ არეგულირებს საკითხის გადანყვეტისათვის საჭირო ხმების რაოდენობას), გადანყვეტილების მიღებისათვის გამოყენებული უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, საკითხის ყველა წევრის თანხმობით გადანყვეტის თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში, არ არის დაცული.

1.5.6. 2012 წლის 20 აგვისტოს კრების ოქმის კანონიერების შეფასების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას აღარ გაამახვილებს კრების ჩატარების პროცედურული დარღვევების თაობაზე, რაზეც 1.5.4. პუნქტში გვექონდა საუბარი. უდავოა, რომ 20 აგვისტოს გამართულ კრებას ესწრებოდნენ დ. დ-ე, ნ. ს-ე, ბ. ტ-ე და შ. მ-ი (იხ. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.6. პუნქტი). საკასაციო პალატის მოსაზრებით, კრებაზე მიღებული გადანყვეტილებიდან გაურკვეველია, მშენებარე სტატუსის მქონე ამხანაგობის თანასაკუთრების ობიექტში ზინების შემდეგ პირთა მხრიდან პროექტის თვითნებურად გადაკეთების გამო, ზედამხედველობის სამსახურის მიერ ამხანაგობისათვის დაკისრებული ჯარიმის, ასევე, ამ ჯარიმის დროულად გადაუხდელობით წარმოშობილი საურავის, როგორც ამხანაგობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შ. მ-ისათვის დაკისრების საფუძველი, რამდენადაც ამხანაგობის, როგორც პირთა გაერთიანების ნიშნის მქონე სუბიექტის (რომელიც არ არის იურიდიული პირი) მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის საკითხს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილი და თუკი ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან გამომდინარე, ჯარიმის დაკისრების ფაქტს ამხანაგობის ვალდებულებად განვიხილავთ, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვექნება ხელშეკრულების მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე. ჯარიმის გადაუხდელობით გამოწვეული საურავის ანაზღაურება, ამავე ნორმიდან გამომდინარე, შიდა ურთიერთობაში ასევე არ შეიძლება შ. მ-ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველი გამხდარიყო. ამასთან, უშუალოდ სადავო კრების გადანყვეტილება არ შეიცავს შ. მ-ის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 408-ე ან 992-ე მუხლებს.

ბით გათვალისწინებულ წინაპირობებზე მითითებას. კრების გადაწყვეტილების კანონიერებაზე მსჯელობისას საგულისხმოა მხარეთა შორის ის უდავო გარემოებაც, რომ შ. მ-ი, მიუხედავად 2002 წლის ამხანაგობის ხელშეკრულებაში პირდაპირი მითითების არარსებობისა, წარმოადგენდა ამხანაგობის ინვესტორ წევრს, რომლის შესატანიც მშენებლობა და მისი დაფინანსება იყო (იხ. 2002 წლის ხელშეკრულების მე-2 მუხლი), მხარეთა მიერ შეთანხმებული ამ პირობის რაიმე ფორმით შეცვლა საქმის მასალებით დადასტურებული არ არის და არც საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას, შესაბამისად, მშენებლობის დასრულების სანაცვლოდ თანხის ამხანაგობის ანგარიშზე შეტანა რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება, კრების გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული. საპირისპირო ვითარებაშიც კი, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კრების ოქმში ამხანაგობას არ აუსახავს შ. მ-ისათვის დაკისრებული თანხის ოდენობა და ამ ვალდებულების შესრულების ვადა (რომლის თაობაზეც ქვემოთ დამატებით იმსჯელებს სასამართლო). სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლი კი, გარიგების ნამდვილობის წინაპირობად არსებით პირობებზე განჭვრეტადი ნების გამოვლენას მიიჩნევს, რამდენადაც, გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი.

1.5.7. 2012 წლის 27 აგვისტოს კრების ოქმის ბათილობის თაობაზე საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას და დამატებით აღნიშნავს, რომ პალატა ზოგადად დასაშვებად მიიჩნევს ამხანაგობიდან წევრის გარიცხვის – ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას, თუმცა, აღნიშნული იურიდიული მოქმედება კანონით განსაზღვრული პროცედურების განუხრელი დაცვით უნდა განხორციელდეს. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ამხანაგობიდან გარიცხული წევრის საკასაციო პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ამხანაგობიდან წევრის გარიცხვის შესაძლებლობას და ამგვარი აქტი არ დაიშვებოდა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის ნორმები საერთო საქმიანობის ხელშეკრულების შესახებ ამხანაგობიდან გარიცხვის საკითხზე მართლაც არ შეიცავს მითითებას, მათ შორის, არც კრძალავს მას. ეს სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც მოცემული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობაა და მისი ყოვლისმომცველი მოწესრიგება მხოლოდ კონკრეტული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებით არ შემოიფარ-

გლება. სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ ამხანაგობიდან გარიცხვა, მოცემულ შემთხვევაში, უთანაბრდება ხელშეკრულების შეწყვეტას ამხანაგობის წევრთან, რაც წარმოშობს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შედეგებს (იხ. სუსგ №ას-400-648-08, 2 დეკემბერი, 2008 წელი). დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით (რომელიც მითითებითი ნორმაა და ამავე კოდექსის 405-ე მუხლით დადგენილი პროცედურის დაცვის აუცილებლობაზე მიაწინებს), ამხანაგობის წევრთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისათვის საჭიროა შეწყვეტის ინიციატორმა მხარემ – კრედიტორმა (შესაბამისი წინაპირობების არსებობისას) დამრღვევს დამატებით დაუწესოს გონივრული ვადა, რომელიც საკმარისი აღმოჩნდება შესრულებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, 2012 წლის 20 აგვისტოს კრების გადაწყვეტილებით ინვესტორ წევრს დაევალა თანხის ამხანაგობის ანგარიშზე განთავსება, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, მას არც თანხის ოდენობა და არც მისი განთავსების ვადა არ განსაზღვრია, ხოლო 2012 წლის 27 აგვისტოს, ვალდებულების შეუსრულებლობის მოტივით, შ. მ-ი გაირიცხა ამხანაგობიდან. თუკი ვივარაუდებთ, რომ ამხანაგობა გაურკვეველი ოდენობის თანხის ამხანაგობის ანგარიშზე განთავსების ვადად მიიჩნევა ერთ კვირას, მაშინ კრების ოქმი არ იძლევა დასაბუთებულ პასუხს ამ ვადის გონივრული ხანგრძლივობის თაობაზე. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს 2002 წლის 24 დეკემბრის ამხანაგობის ხელშეკრულების მე-10 მუხლის რეგულაციასაც, რომელიც წევრის გარიცხვის უმთავრეს წინაპირობად შესატანის შეტანისა და ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების დარღვევას ადგენს. თავის მხრივ, დამრღვევი წევრისათვის განსაზღვრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, გამგობა წინადადებით შევა დამფუძნებელ წევრთა საერთო კრებაზე დამრღვევი პირის გარიცხვის შესახებ (იხ. ხელშეკრულების 10.3. პუნქტი), ამავე ხელშეკრულების 4.3. და 4.4.5. მუხლების თანახმად, წევრის გარიცხვის საკითხი წყდება ყველა დამფუძნებელი წევრის თანხმობით. საკითხის სრულყოფილი ანალიზის, ასევე, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების როლის გათვალისწინებით, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამხვილოს მსგავს შემთხვევაში რესტიტუციის სამართლებრივ შედეგებზეც: სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას მიღებული შესრულება და სარგებელი მხარე-

ებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). ნორმის მეორე ნაწილი გადმოსცემს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, როდესაც ნატურით დაბრუნების სანაცვლოდ დასაშვებია გამსვლელი პირისათვის ფულადი კომპენსაციის მიცემა, თუმცა, იბადება კითხვა: დაიშვება ამხანაგობის ტიპის პირთა გაერთიანებიდან ვალდებულების დამრღვევი წევრის გარიცხვისას განხორციელებული შესატანის დაბრუნება? ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო პარალელს გაავლებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის იმ რეგულაციასთან, როდესაც კაპიტალური ტიპის საზოგადოების წევრი პარტნიორი არღვევს შესატანის შეტანის ვალდებულებას. მოხმობილი კანონის ადრე მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა ვალდებულების დამრღვევი პარტნიორის გაფრთხილებას და მისთვის დამატებით სულ ცოტა ერთთვიანი ვადის დაწესებას, რომლის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაშიც იგი კარგავდა წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, კანონის დღეს მოქმედი რედაქციის 3.7. მუხლის შესაბამისად კი, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მოცემული მაგალითით საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, არ ცდილობს სპეციალური კანონის ნორმათა ანალოგიით გამოყენებას, თუმცა, მიიჩნევს, რომ სამოქალაქო ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობა) შემთხვევაში, რესტიტუცია უნდა დაიშვებოდეს წევრის მიერ ნაწილობრივ განხორციელებული შესრულების – შენატანის ეკვივალენტური ღირებულების შესაბამისად. საკასაციო პალატის ამ განმარტების მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს საქმეში არსებული 2002 წლის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების 10.6 მუხლიც (ამხანაგობიდან გარიცხვისას წევრს უკან დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი თანხა, ამასთან, დასაბრუნებელ თანხას პირგასამტეხლოს სახით გამოაკლდება 10% და სანოტარო და საჯარო რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯები. თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წევრის გარიცხვის შედეგად გამოთავისუფლებული ფართი განთავსებული იქნება).

1.6. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შ. მ-ის პრეტენზიას ლ. გ-ესთან დადებული ნარდობის, ასევე, ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობისა

და მოსარჩელისათვის ფართების მიკუთვნების თაობაზე. საკასაციო სასამართლო აღარ მიუბრუნდება ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.8.-1.2.9. პუნქტებში მითითებულ უდავო გარემოებებს, თუმცა ყურადღებას გაამახვილებს კასატორის აღიარებითი მოთხოვნის საფუძვლებზე:

1.6.1. შ. მ-ის მიზანს წარმოადგენს იმ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება, რომელიც ამჟამად რეგისტრირებულია ამხანაგობასთან ნარდობის ურთიერთობაში მყოფი მოპასუხის საკუთრებად. გარიგებათა ბათილობის საფუძვლის კვლევას სამართლებრივი შედეგი შეიძლება მაშინ მოჰყვეს, თუ ამით მოსარჩელისათვის მიიღწევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრული იურიდიული ინტერესი (ამ შემთხვევაში უძრავი ქონების მიკუთვნება). სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამხანაგობა „შ-თან“ ლ. გ-ე იმყოფებოდა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით გათვალისწინებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომლის საფუძველზეც ამხანაგობას, როგორც მენარდეს, შემკვეთისათვის უნდა აეშენებინა საცხოვრებელი ფართი. ნარდობის ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 1 მარტს, ამხანაგობის მიერ წესდების ახალი რედაქციის მიღების შემდეგ, სადაც მხანაგობის ერთპიროვნულ წარმომადგენლად მითითებულია დ. დ-ე. 2012 წლის 23 აგვისტოს ამხანაგობამ განიხილა უძრავი ქონების ლ. გ-ისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხი და დ. დ-ეს ნება დართო ამხანაგობის სახელით ხელი მოეწერა ამ ქონების განკარგვის ხელშეკრულებაზე. ამ კრების გადაწყვეტილების საფუძველზე 2012 წლის 24 აგვისტოს დ. დ-ემ ამხანაგობის სახელით გააფორმა ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება. უდავოა, რომ ნარდობის საგანი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო ამხანაგობის საკუთრებად, ხოლო უფლების დამდგენი დოკუმენტი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა ზემოხსენებული ფაქტების ანალიზის შედეგად იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას შემძენის კეთილსინდისიერების თაობაზე და დამატებით განმარტავს, რომ კეთილსინდისიერება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს და არა ობიექტურს, რომელიც არსებობს უფლების წარმოშობამდე. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. შემძენის ინტერესების დამცავი ზემოხსენებული სანივთო დანაწესი ნაკარნახევია თავისუფალი სამოქალაქო

ბრუნვის ინტერესებით, რასაც ხელს უწყობს კანონითვე დაშვებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფიცია (სკ-ის 312-ე მუხლი). რაც შეეხება საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის ცოდნას, უფლების შემძენს ტვირთად აწევს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემის ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შემძენის ნამდვილობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა ნიშნავს იმ გარემოებათა ცოდნას, რის გამოც ჩანაწერია უზუსტო. საკასაციო პალატის მოსაზრებით, შემძენს არ უნდა მოეთხოვოს იმაზე მეტის ცოდნა, რაც გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება. იმ ვითარებაში, როდესაც ამხანაგობას ქონებაზე უფლება საჯარო რეესტრში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჰქონდა რეგისტრირებული, ამასთანავე, გამსხვისებელი მოქმედებდა ამხანაგობის ხელშეკრულების ახალი რედაქციის ფარგლებში (რომლის ბათილობაც მხოლოდ წინამდებარე განჩინების მიღების დროისათვის შევიდა კანონიერ ძალაში), პალატა თვლის, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ მენარდესა და შემკვეთს ჰყავდათ საერთო წარმომადგენელი, არ შეიძლება საფუძველად დაედოს შემძენის არაკეთილსინდისიერად მიჩნევას, უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლო მოიხმობს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმადაც, თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძლოა დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მონაწილეს, საეჭვოობისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია. ამდენად, თუკი დაეუშვებთ იმას, რომ ლ. გ-ეს უნდა სცოდნოდა ამხანაგობის მიერ დადებული გარიგების ნაკლის შესახებ, ზემოხსენებულ ნორმაზე დაყრდნობით, ახალი რედაქციის ხელშეკრულების მოქმედების პირობებში, მას სრული უფლება ჰქონდა, დაყრდნობოდა რეესტრის ჩანაწერს და, როგორც კეთილსინდისიერ შემძენს, საკუთრებაში მიეღო წარდობის საგანი. შესაბამისად, რადგანაც არ არსებობს ლ. გ-ესთან დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო, საკასაციო პალატა აღარ მსჯელობს შემძენისათვის საკუთრების უფლების გადაცემამდე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებსა და სადავო ფართზე მოსარჩელის უფლების საკითხზე, ვინაიდან შ. მ-თან შედარებით ლ. გ-ეს, როგორც კეთილსინდისიერ შემძენს, ქ. თბილისში, ნ-ის მესამე მიკრორაიონის პირველი კვარტლის მიმდებარედ, მე-9 სართულზე მდებარე 187.70 კვ.მ უძრავ ქონებაზე გააჩნია უპირატესი უფლება.

1.6.2. რაც შეეხება შ. მ-ის მოთხოვნას, ქ. თბილისში, ნ-ის მესამე მიკრორაიონის პირველი კვარტლის მიმდებარედ, ძ-ის ქ. №...-ში, „ა“ კორპუსის პირველ სართულზე არსებულ ფართთან დაკავშირებით, პალატა თვლის, რომ არც ამ ნაწილში არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები, კერძოდ: მხარეთა შორის დავას არ ინვესტის გარემოება, რომ სადავო ფართი შენობის („ა“ კორპუსის) კორექტირებული პროექტის შედეგადაა წარმოშობილი, რომელიც შ. მ-მა დაარეგისტრირა ჯერ ამხანაგობის, შემდეგ კი – თავის საკუთრებად. უფლების დამდგენი დოკუმენტი (ამხანაგობის კრების ოქმი) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი და ფართი კვლავ ამხანაგობის საკუთრებად აღირიცხა (იხ. სამოტივაციო ნაწილი 1.2.3. პუნქტი). გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ინვესტორ ნევრს ვალდებულება არ ჰქონდა სრულყოფილად შესრულებული და ამხანაგობის თავმჯდომარისა და გამგეობის ნევრის უფლებამოსილება დ. დ-ესა და ბ. ტ-ეს არ ჰქონდათ შეწყვეტილი, რის გამოც შ. მ-ი არ იყო უფლებამოსილი, ერთპიროვნულად განეკარგა სადავო ფართი. საქმის განხილვის ამ ეტაპზე მხარეთა შორის უდავოა შ. მ-ის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, რის გამოც, კვლავ ვერ იქნება მიჩნეული ამოქმედებულად ამხანაგობის 2002 წლის 11 დეკემბრის კრების მიერ დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება (შ. მ-ის მიერ ამხანაგობის ერთპიროვნული თავმჯდომარეობა), ამასთანავე, 2002 წლის 24 დეკემბრის ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად, ამხანაგობის კუთვნილი ფართის განაწილება ხორციელდება დამფუძნებელ ნევრთა მიერ დამტკიცებული ამხანაგობის თანასაკუთრების ტაბულით.

1.7. ამდენად, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს სარჩელის ნაწილობრივ საფუძვლიანობის თაობაზე და თვლის, რომ კასატორებს არ მიუთითებიათ იმგვარ ფაქტებსა და გარემოებებზე, რაც ამ განჩინების გაუქმების საფუძველი გახდებოდა (სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

2. სასამართლო ხარჯები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინებით იბა „შ-ს“, მის თავმჯდომარესა და წევრ დ. დ-ეს, ასევე, ნ. ს-ესა და ბ. ტ-ეს გადაუვადდათ სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის – 600 ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო შ. მ-ი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა მხარეთა მოთხოვნები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, იბა „შ-ს“, დ. დ-ეს, ნ. ს-ესა და ბ. ტ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ გადავადებული ბაჟის – 600 ლარის გადახდა, ხოლო შ. მ-ის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. იბა „შ-ისა“ და მისი წევრების: დ. დ-ის, ბ. ტ-ისა და ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. შ. მ-ი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ხოლო იბა „შ-ს“, დ. დ-ეს, ბ. ტ-ესა და ნ. ს-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაეკისროთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის – 600 ლარის გადახდა.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. სამისდღეუმიო რჩენა

უარი სამისდღეუმიო რჩენის ხელშეკრულებაზე

განჩინება

№ას-178-167-2017

14 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, მოძრაი ნივთების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ-ემ (შემდგომში: მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ-ის (შემდგომში – თავდაპირველი მოპასუხე) მიმართ 31785 ლარის ანაზღაურებისა და საყოფაცხოვრებო მოძრაი ნივთების დაბრუნების შესახებ.

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხე არის მისი ბიძა. მხარე მზრუნველობას იჩენდა ბიძისა და ბიცოლის მიმართ, რის შემდეგ, მაღლიერების გამოხატვის მიზნით, მოპასუხემ მას აჩუქა სოლიდური თანხა. მხარეთა შორის დაიდო სამისდღეუმიო რჩენის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა მოპასუხის სახელზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი მასზე აღმართული შენობა-ნაგებობით. მოპასუხის კუთვნილი სახლი იყო საცხოვრებლად უვარგის მდგომარეობაში, რის გამოც, მოსარჩელემ საკუთარი სახსრებით ჩაუტარა 31,785 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები და შეიტანა თავისი კუთვნილი საყოფაცხოვრებო ნივთები.

3. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მოპასუხემ გააუქმა სამისდღეუმიო რჩენის ხელშეკრულება და უძრავი ნივთი აღრიცხა კვლავ თავის სახელზე. ამასთან, მოპასუხეს გადაეცა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული და კეთილმოწყობილი სახლი.

4. თავდაპირველმა მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხავ შედეგებში განმარტა, რომ სადავო უძრავი ნივთის გაუმჯობესებაზე განეული სახსრები მოსარჩელემ გაიღო მის მიერ რუსე-

თის ფედერაციიდან გამოგზავნილი თანხიდან, რომელიც მოსარჩელემ მიითვისა. აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს გამოძიება. ამასთან, სამისდღეშიო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაღებული თანხის დაბრუნებას მოცემული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა.

5. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

6. საქმეში ვ-ის გარდაცვალების გამო, მოპასუხის უფლება მონაცვლედ ჩაება ვ-ი (შემდეგში: უფლებამონაცვლე ან მოპასუხე ან აპელანტი).

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი თანხის დაკისრების ნაწილში, არ დაკმაყოფილდა, ხოლო უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვის ნაწილში, სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია რომ 2013 წლის 24 მაისს მოსარჩელესა და თავდაპირველ მოპასუხეს შორის დაიდო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება), რომლითაც მოსარჩელემ იკისრა თავდაპირველი მოპასუხისა და მისი მეუღლის კვებითა და სხვა აუცილებელი დახმარებით უზრუნველყოფის ვალდებულება. სანაცვლოდ, მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი.

9. ხელშეკრულების თანახმად, სახლს სჭირდებოდა სარემონტო სამუშაოები, რომლებიც უნდა შეესრულებინა მოსარჩელეს საკუთარი სახსრებით. სახლში საცხოვრებლად კი, უნდა დარჩენილიყვენ თავდაპირველი მოპასუხე და მოსარჩელე.

10. ხელშეკრულების დადების დროს მხარეებს განემარტათ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში გადაცემული უძრავი ქონება დაუბრუნდებოდა სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე განეული ხარჯები მარჩენალს არ აუნაზღაურდებოდა.

11. ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოპასუხის კუთვნილი ბინის ღირებულება იყო 8000 ლარი.

12. ხელშეკრულების დადების შემდეგ მოსარჩელემ ქონება გაარემონტა, რაშიც მან დახარჯა 31 785 ლარი.

13. 2015 წლის 15 აგვისტოს თავდაპირველი მოპასუხე გარდაიცვალა და საქმეში ჩაება მისი უფლებამონაცვლე.

14. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 378-ე მუხლით და განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტმა მონინალმდევე მხარის მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვის ნაწილში სააპელაციო საჩივარზე უარი თქვა, შესაბამისად, მითითებულ ნაწილში სააპელაციო წარმოება შეწყდა.

15. სააპელაციო პალატა დაეთანხმა აპელანტს, რომ მოსარჩელეს ქონებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა.

16. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 494-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეწყდა, ხოლო მარჩენალისათვის ხელშეკრულების შეწყვეტამდე განეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე მხარეები შეთანხმებულნი არ იყვნენ. მეტიც, სანოტარო აქტშიც პირდაპირი მითითება იყო მასზე, რომ განეული ხარჯი მარჩენალს არ აუნაზღაურდებოდა.

17. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაცემული ქონების რემონტის ვალდებულება, ხელშეკრულების თანახმად, მარჩენალს – მოსარჩელეს ევალებოდა. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი შედიოდა რჩენის ვალდებულებაში და, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მის ანაზღაურებას მარჩენალი ვეღარ მოითხოვდა.

18. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეცდომით შეაფასა, რასაც, შედეგად, მცდარი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

19. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

20. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება სადავო სახლში საცხოვრებლად მოსარჩელესთან ერთად მოპასუხის დარჩენასთან დაკავშირებითაც. ფაქტობრივად, იქვე უნდა ეცხოვრა მოპასუხის მეუღლესაც. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია, რადგან მოსარჩელე მოპასუხის მეუღლეს უვლიდა ჯერ კიდევ ამ უკანასკნელის ქ.მოსკოვში ყოფნისას, შემდეგ კი – საქართველოშიც.

21. კასატორის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად გაიზიარა მოსარჩელის მითითება, რომ მოპასუხეს ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ დაუბრუნდა არა ე.წ კარკასულ

მდგომარეობაში არსებული სახლი, როგორც სარემონტო სა-
მუშაოებამდე იყო, არამედ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული.
მის კეთილმოწყობაზე მოსარჩელემ დახარჯა საკუთარი სახ-
სრებიდან 31 785 ლარი.

22. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწო-
რად და შესაძლოა, შეცდომითაც მიუთითა სსკ-ის 494-ე მუხ-
ლზე. სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 980-ე, 987-ე მუხლების,
ასევე, სსსკ-ის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები. უგულე-
ბელყოფილ იქნა მოსარჩელის უფლება სამართლიანი სასამარ-
თლო განხილვაზე.

23. კასატორი არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტი-
ლების მსჯელობას სამისდღეშიო ხელშეკრულების შეწყვეტის
შემდეგ მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე.

24. კასატორის მითითებით, დაუშვებელია კანონის განმარ-
ტება მისი ცალკეული ნაწილის ძირითადი ტექსტისაგან განყე-
ნებულად.

25. სსკ-ის 52-ე და 949-ე მუხლების საფუძველზე კასატორ-
მა მიიჩნია, რომ გონივრული განსჯა ხელშეკრულების შინაარ-
სის სწორ განმარტებას გულისხმობს. სააპელაციო სასამარ-
თლოს არ დაუსაბუთებია, რა კრიტერიუმით შედის სახლის გა-
რემონტება რჩენის ვალდებულებაში, მაგრამ, ცხადია, აღნიშ-
ნული დასაბუთების გარეშე, დაუშვებელია დავის სწორად გა-
დანყვეტა.

26. კასატორის მითითებით, სსკ-ის 941-ე მუხლში განმარ-
ტებულია, რომ რჩენა მოიაზრებს გადასახადის – სარჩოს გა-
დახდას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ფულად სახსრებში
და ნატურით, ანუ კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახ-
მარებით. შესაბამისად, რემონტი არ ნიშნავს რჩენას. გადაცე-
მული ქონება თვითონ მესაკუთრემ შეაფასა 8000 ლარად და
ხელშეკრულებითაც დადასტურდა, რომ სახლის რემონტს მისი
სახსრებით მოსარჩელე გააკეთებდა.

27. კასატორის მოსაზრებით, მოპასუხემ მიიღო 31 785 ლა-
რით გაზრდილი ღირებულების უძრავი ნივთი და ამით უსაფუძ-
ვლოდ გამდიდრდა. სსკ-ის 991-ე მუხლის საფუძველზე მოსარ-
ჩელე უფლებამოსილია, მოპასუხისაგან მოითხოვოს უსაფუძ-
ვლოდ მიღებული თანხის დაბრუნება. სააპელაციო პალატამ არ
გამოიყენა სსკ-ის 987-ე და 991-ე მუხლები, რომლებიც უნდა
გამოეყენებინა და არასწორად განმარტა 949-ე მუხლის მეორე
ნაწილი. შედეგად მიღებული იქნა უკანონო გადაწყვეტილება,
რომელიც სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების მი-
ხედვით, უნდა გაუქმდეს.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 2 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2017 წლის 28 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

29. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

30. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები. აგრეთვე, რჩენის ვალდებულების შემადგენელ ნაწილად გადაცემული ქონების რემონტის კვალიფიცირება. საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზების) საფუძვლიანობის კვლევისათვის, უნდა შემოწმდეს მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ის თუ რა უფლება-მოვალეობებს უდგენდა იგი მასში მონაწილე მხარეებს და რაც მნიშვნელოვანია, წარმოადგენდა თუ არა რჩენის ვალდებულებას იმ საცხოვრებელი სახლის რემონტი, სადაც ცხოვრობდა სარჩენი პირი. აქედან გამომდინარე, უნდა დადგინდეს მოთხოვნის იურიდიული მართებულობა.

31. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეთა მიერ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოდგენილა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების მართ:

– მხარეთა შორის გაფორმდა რჩენის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ იკისრა თავდაპირველი მოპასუხისა და მისი მეუღლის კვებითა და სხვა აუცილებელი დახმარებით უზრუნველყოფის ვალდებულება. სანაცვლოდ, მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა მინის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი. ხელშეკრულების თანახმად, სახლს სჭირდებოდა სარემონტო სამუ-

შაოები, რომლებიც უნდა შეესრულებინა მოსარჩელეს საკუთარი სახსრებით. სახლში საცხოვრებლად კი, უნდა დარჩენილიყვენ თავდაპირველი მოპასუხე და მოსარჩელე.

– ხელშეკრულების დადების დროს მხარეებს განემარტათ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში გადაცემული უძრავი ქონება დაუბრუნდებოდა სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე განეული ხარჯები მარჩენალს არ აუნაზღაურდებოდა.

– ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოპასუხის კუთვნილი ბინის ღირებულება იყო 8000 ლარი.

– ხელშეკრულების დადების შემდეგ მოსარჩელემ ქონება გაარემონტა, რაშიც მან დახარჯა 31 785 ლარი.

– 2015 წლის 15 აგვისტოს თავდაპირველი მოპასუხე გარდაიცვალა და საქმეში ჩაება მისი უფლებამონაცვლე.

32. მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობის კვალიფიკაციის მიზნებისათვის პირველ რიგში, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე.

33. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონების საკუთრებაში გადაცემის ისეთ ხელშეკრულებებს, როგორიცაა: ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სამისდღეშიო რჩენა, სესხი. ეს ხელშეკრულებები განკარგვითი ხასიათისაა და შედეგად შემძენისათვის საკუთრების უფლების გადაცემას იწვევს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებებს შორის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ხასიათი, შესაძლებლობას გვაძლევს ცალკე გამოვყოთ ამ ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რომლითაც იგი განსხვავდება ყველა სხვა ტიპის სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან, კერძოდ:

ა) სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება მიეკუთვნება ქონების გადაცემის ტიპის ხელშეკრულებებს (ამ ხელშეკრულებებს მიეკუთვნება აგრეთვე ნასყიდობა, ჩუქება, სესხი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) და ამით განსხვავდება სამუშაოს შესრულების (ნარდობა), მომსახურების განევის (დავლება, შუამავლობა და სხვ.) და სადამფუძნებლო ხელშეკრულებებისაგან (ერთობლივი საქმიანობის-ამხანაგობის ხელშეკრულება).

ბ) სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით ხდება განსაზღვრული ქონების გადაცემა საკუთრებაში. ამით იგი განსხვავდება ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ტიპის ხელ-

შეკრულებებისაგან (იჯარა, ქირავნობა და სხვ.).

გ) სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადება შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებით, ძირითადად იგი იდება იმ შემთხვევებში, როდესაც სარჩენი არის შრომისუნარო, ანდა განიცდის მატერიალურ გაჭირვებას და საქიროებს მოვლას. იგი დებს ხელშეკრულებას მარჩენალთან, რომელსაც ამ მოვლისა და დახმარების სანაცვლოდ გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებას (სარჩენის საკუთრებაში არსებული უძრავი თუ მოძრავი ნივთები).

დ) სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის ვადიანი, მაგრამ ვადა, როგორც წესი, კალენდარული თარიღით კი არ განისაზღვრება, არამედ სარჩენის მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით. თუმცა ხელშეკრულებით შეიძლება სხვა რამეც იყოს გათვალისწინებული ანუ მარჩენალი და სარჩენი შეთანხმდნენ კონკრეტულად განსაზღვრულ დროზე, რომლის განმავლობაშიც მარჩენალი კისრულობს სარჩენისათვის სარჩოს გადახდას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება მისი სასყიდლიანი ხასიათია, რადგან მიზნად ისახავს მომავალში სარჩენის ქონების გადასვლას მარჩენალის საკუთრებაში განსაზღვრული შემხვედრი ანაზღაურების გადახდის გზით. ამით სამისდღეშიო რჩენა განსხვავდება ჩუქების ხელშეკრულებიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებათა ცალმხრივად და ორმხრივად კლასიფიცირება ხდება იმის მიხედვით, ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულება ეკისრება ორივე მხარეს, თუ იგი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს წარმოეშობა. პირველ შემთხვევაში, სახეზეა ორმხრივად მავალდებულებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის სინალაგმატური ანუ ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება, რამეთუ თითოეულ მხარეს გააჩნია ერთდროულად უფლებებიც და ეკისრება მოვალეობებიც (იხ., სუსგ 2011 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1220-1071-2010).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებების რეალურად და კონსენსუალურად დაყოფის კრიტერიუმია, თუ რა მომენტიდან ითვლება ხელშეკრულება დადებულად. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება კონსენსუალურია, რამეთუ იგი დადებულად ითვლება მას შემდეგ, როცა მხარეები ყველა მის არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

34. იმავდროულად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებელი ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით გარკვეულ დანაწესებს ისეთ შემთხვევებში განსაზღვრავს, როდესაც ეს საჭიროა თავად სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ფორმის დაწესებას შესაბამისი მიზანი გააჩნია.

სამისდღემო რჩენის ხელშეკრულება მიეკუთვნება ფორმასავალდებულო ხელშეკრულებათა რიცხვს. თუ სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, ასეთ შემთხვევაში, სამისდღემო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით და დამოწმდეს სანოტარო წესით. უძრავი ნივთის ცნება და სახეები განსაზღვრულია სსკ-ის 149-ე მუხლში. სსკ-ის 942-ე მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა ამავე კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებული წესებთან ერთობლიობაში უნდა განხორციელდეს და უძრავი ქონების გადაცემისათვის ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმება საკმარისი არ არის. „სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლის დანაწესით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემა უნდა განიმარტოს, როგორც სანივთო უფლების საკუთრების გადაცემა, რაც ამავე სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე გარკვეულ უფლებრივ შეზღუდვას ექვემდებარება, მაგრამ ამ უფლების გადაცემა იურიდიული ძალის მქონეა მხოლოდ მაშინ, როდესაც უფლების წარმოშობისათვის დადგენილი წინაპირობები არსებობს“ (იხ., სუსგ 2012 წლის 19 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-185-178-2012).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამისდღემო რჩენის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სარჩენის მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით ანდა განსაზღვრული ვადით. ამასთან ერთად, კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, დადგენილი საფუძვლების არსებობისას ცალმხრივად განაცხადონ უარი სამისდღემო რჩენის ხელშეკრულებაზე. უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს სახელშეკრულებო მოვალეობათა ისეთი დარღვევა, რომლის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა არსებობს სხვა მიზეზები, რომლებიც უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მხარეთა შორის ურთიერთობების შემდგომ გაგრძელებას.

35. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის დაიდო სამისდღემო რჩენის ხელშეკრულება, რომელიც მის მონაწილე მხარეებს (სარჩენი და მარჩენალი) უდგენდა როგორც კანონით ისე, უშუალოდ ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს.

36. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ხელშემკრველ მხარეთა უფლება-მოვალეობების დადგენამდე უპრიანია ყურადღება მიექცეს ხელშეკრულების მხარეთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სარჩენსა და მარჩენალს შორის წარმოშობილი სადავო ურთიერთობის სწორად განწყვეტას.

37. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერების საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაქტის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია ეკისრება: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის.

38. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს 2013 წლის 24 მაისს მხარეთა შორის დადებულ სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების მეათე აბზაცით გათვალისწინებულ დებულებაზე, კერძოდ, „ხელშეკრულების შეწყვეტამდე განუვლი ხარჯები მარჩენალს არ აუნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. აგრეთვე საქმეში განთავსებული სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების მე-6 აბზაცით გათვალისწინებულ დებულებაზე, კერძოდ, „უძრავ ქონებას სჭირდება სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რომელსაც შეასრულებს გ-ე (მარჩენალი) თავისი სახსრებით“.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსი, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამოვლენა პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამოვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამოვლენმა, სხვაგვარად გაი-

გო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემცენების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ. ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღია დაარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს. (ხელშეკრულების განმარტების საკითხებზე იხ., სუსგ №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი). შესაბამისად, საქმეში განთავსებული სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულების მე-6 აბზაცით გათვალისწინებულ დებულება – „უძრავ ქონებას სჭირდება სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რომელსაც შეასრულებს გ-ე (მარჩენალი) თავისი სახსრებით“, უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მარჩენალს არ აქვს სარჩენისაგან (მისი მემკვიდრისაგან) ამ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

39. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 949-ე მუხლის თანახმად, როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულებაზე. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უზრუნველავს სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე განეული ხარჯები მარჩენალს არ აუნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

40. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკანონმდებლო მონესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი

ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები ერთის მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში.

კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადანყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადანყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის გავრცობის საჭიროების შემოწმებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ინტერპრეტაციის მიზნის მისაღწევად ანუ კანონის აზრის გასაგებად, გამოიყენება განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები. „გრამატიკული“ ინტერპრეტაციის მიზანია, დაადგინოს, ენობრივი თვალსაზრისით, რა მნიშვნელობით იხმარება კანონის სიტყვები ამ ენის მატარებელთა საზოგადოებაში და რა მნიშვნელობით იყენებს მათ კანონმდებელი. (რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, გვ.53)

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა ინვესტირდეს. კანონის ინტერპრეტაცია არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვების მიღმა მდგომი აზრის ახსნას, არამედ იგი ნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ყველაზე სწორი და გა-

დამწყვეტი მნიშვნელობის შერჩევას. „ინტერპრეტაციას აქვს მსჯელობითი ხასიათი, როდესაც არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა ხდება, რომელთაგან უკეთეს მოტივაციას უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. (რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, გვ.59). გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში.

41. საკასაციო პალატას განმარტავს, რომ სსკ-ის 949-ე მუხლის მეორე ნაწილის დებულება „...ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ აუნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“, უნდა განიმარტოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გამომოებების გათვალისწინებით.

42. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემონიშნაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ, სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

43. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები. სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

იმავედროულად, აღსანიშნავია, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განანიღებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 6-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთ-

რებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადანყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებობით საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დაწინაურება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

44. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა (მოსარჩელემ) განსახილველ შემთხვევაში, ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ მის მიერ გაღებული 31785 ლარის ოდენობის ხარჯები არ იყო გამონვეული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების 6-ე აბზაცით გათვალისწინებული ვალდებულების, კერძოდ, „უძრავ ქონებას სჭირდება სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რომელსაც შეასრულებს გ-ე (მარჩენალი) თავისი სახსრებით“, შესრულების საფუძველზე, ამიტომაც, საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია.

45. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. აღნიშნული კი, სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გასაჩივრებული გადანყვეტილების ძალაში დატოვების და საკასაციო საჩივრის (შესაბამისად, სარ-

ჩელის) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

46. საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჭი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიბელო

1. ნასყიდობა	
ნივთობრივად უნაკლო ნივთის მიწოდება	3
2. იჯარა	
ქირავნობის (იჯარის) ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმა საიჯარო ქონების უკან დაბრუნება ვადამდე	11
იჯარა, საიჯარო ქონების უკან დაბრუნება ვადამდე	40
3. სესხი	
სესხის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება	76
სესხის ხელშეკრულების დადება	92
სესხის ზეპირი ხელშეკრულება	106
4. ნარდობა	
ნარდობის ხელშეკრულების მოშლა	118
შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა	136
5. დაზღვევა	
ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან	145
6. საბანკო გარანტია	
გარანტიის ვალდებულების დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან	155
7. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)	
კრების ოქმის ბათილად ცნობა	169
8. სამისდღეშო რჩენა	
უარი სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულებაზე	200